

რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო



STATE AGENCY FOR
RELIGIOUS ISSUES



**ინტერრელიგიური დიალოგი
მშვიდობისათვის
კონფერენციის მასალები**

**INTERRELIGIOUS DIALOGUE
FOR PEACE
CONFERENCE MATERIALS**

25 ივლისი, 2016 წელი



**რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო**

თბილისი, 2016

მთავარი რედაქტორი: ზაზა ვაშაყმაძე

რედაქტორი: პაატა გერგანი

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
დეკლარაცია	8
DECLARATION	10
ზაზა ვაშაყმაქა	
რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე.....	12
არქიმანდრიტი ადამი (ახალაქა)	
ეკლესია ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის სამსახურში და კულტურათმორისი პოლილოგი დღევანდელ მსოფლიოში.....	18
რაზინი ბენსიონ ისრაელაშვილი	
ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის.....	23
ვაჟა ვარდიკა	
დიალოგის არსი და მნიშვნელობა ინტერრელიგიურ პროცესებში.....	28
არქიმანდრიტი სორან ჰოვანისიანი	
გავიცნოთ, მივილოთ ერთმანეთი და ვიყოთ ტოლერანტულები.....	32
რევაზ მიქაელაქა	
რელიგიისა და ადამიანის არსი მსოფლიო მშვიდობისათვის.....	37
პასტორი ირინა სოლეი	
„მცირედში ერთგული ბევრშიც ერთგულია“.....	42
ლელა სონელიქა	
რელიგიათა შორის კულტურული ურთიერთობის პრაქტიკა საქართველოში.....	44
მთავარეპისკოპოსი მერაზ გაფრინდაშვილი	
ქრისტიანთა და მუსლიმთა შორის დიალოგის აუცილებლობა საქართველოში.....	46
პასტორი შაბაგი ჭანკვეტაქა	
რელიგიები მშვიდობისათვის.....	52
პასკალ მონია	56
ზაქი ლევანთ გუმრუქიშვილი	60
ირაკლი ბრაჭული	
რელიგიათა დიალოგის ფილოსოფიური ხასიათი.....	63
გოდერძი თევდორაქა	
რელიგიური თანაარსებობა – კონფლიქტები და სტერეოტიპები.....	67
ალექსანდრა რუსეცი	
ინტერკონფესიური თანამშრომლობის ეფექტური კომუნიკაციის ეროვნული სტრატეგია.....	71
შოთა ჯიჯიაშვილი	
ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობისათვის აჭარაში.....	74
თინა ივალაშვილი	
ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის.....	78
მანია გურამიშვილი	
რელიგია და პოლიტიკა.....	82
მინდია ალაქა	
რელიგიური კონფლიქტების პრევენცია და ინტერრელიგიური თანამშრომლობა.....	88
ანუკი ფიფია	
მასმედიის როლი რელიგიური კონფლიქტების პრევენციაში.....	91

წინასიტყვაობა

მე არასოდეს ვყოფილვარ პროგრესის, ცივილიზაციისა და აუცილებელი კომფორტის უარმყოფელი, მაგრამ ჩემთვის გამაოგნებელია უწყვეტი ტექნიკური რევოლუციის ვნებით შეპყრობილი აფეთქებული გონის დაუოკებელი, ლამის გიჟური სწრაფვა დედამიწის გამალებული ტექნიზაციისა.

უსაზღვრო, სწორედაც უსაზღვრო კომფორტის ობიექტად გამოყენებული დედამიწა სულ უფრო ღრმად ეშვება მათემატიზაცია-დეეთიზაციის ღრმა უფსკრულში, საიდანაც ამოსვლა იოლი არ იქნება. თუმცა, ჯერჯერობით, არც „ჭვავის ყანაში“ ჩანს ის, ვინც მას ხელს შეაშველებს და ამ ტექნიკური უფსკრულიდან დაიხსნის.

უტილიტარულ ჭაობში გამომწყვდელი დედამიწა ყოველდღიურად კარგავს თავის პირველსახეს. ამასობაში კი აქ ყველა და ყველაფერი ერთმანეთს ემსგავსება.

დღეს, როდესაც ამ ფონზე მსოფლიოში მოვლენები თვალდაუშვებარე სისწრაფით ვითარდება და ის ხშირ შემთხვევაში დრამატული მოვლენების შემცველია, აუცილებელია ამ ახალი გლობალური საფრთხეების წინაშე საერთაშორისო თანამეგობრობის, ზოგადად, თითოეული ადამიანის რესურსის სრული მობილიზება.

ერთ-ერთ ასეთ სერიოზულ საფრთხედ, გამომწვევად თანამედროვე კაცობრიობისთვის მიჩნეულია რელიგიური კონფლიქტები. აღნიშნული კონფლიქტები ატარებს ცივილიზაციათა დაპირისპირების ხასიათს, რადგან ცივილიზაციის არსი თავის თავში უპირატესად კულტურულ და რელიგიურ ფაქტორებს მოიცავს.

ერთი შეხედვით, თითქოს დამთავრდა „ცივი ომის“ ეპოქა მსოფლიოში, მაგრამ ამ ფონზე, როგორც უკვე ითქვა, კაცობრიობა შევიდა ახალი დაპირისპირების, ცივილიზაციათა დაპირისპირების სტადიაში და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ის უკვე ატარებს არა იდეოლოგიურ, არამედ კულტურულ და, მათ შორის, რელიგიურ ხასიათს.

სწორედ რელიგიური მომენტიდან გამომდინარე, სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები სწაღიან ძალმომრეობას განსხვავებული მრწამსის პირების, ჯგუფების, რელიგიური გაერთიანებების მიმართ. მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ მათი პროგნოზირება თითქმის შეუძლებელი ხდება. ამასობაში კი ძალადობა კულმინაციას აღწევს და მისი მსახვრალი ხელი დაუნდობლად უსწორდება უდანაშაულო ადამიანებს, ანადგურებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და აჩენს დაუსრულებელი ქაოსის განცდას.

არსებულ ვითარებაში ადამიანთა მხრიდან სულ უფრო ხშირად ისმის შიშნარევი კითხვა იმის თაობაზე, თუ საით მიექანება კაცობრიობა? ხომ არ მიიღებს ეს პროცესები მომავალში კიდევ უფრო მძიმე ხასიათს?

ამ დაწყველილი ლაბირინთიდან გამოსვლის ძიება გეოპოლიტიკოსთა ხვედრია. ისინი კი ისეთი მექანიზმების შემუშავებით არიან დაკავებული, რომლებიც არსებულ პროცესებს დაპირისპირებიდან თანამშრომლობის რეჟიმში გადაიყვანენ.

2016 წლის 25 ივლისს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თაოსნობით თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“.

კონფერენცია ფრიად წარმომადგენლობითი იყო. მას ესწრებოდნენ ქვეყანაში მოქმედი ყველა რელიგიის წარმომადგენლები, უნივერსიტეტების პროფესორები, სხვადასხვა ქვეყნის ელჩები და მთავრობის წევრები, ასევე ჟურნალისტები.

გამომსვლელთაგან დასაწყისშივე ხაზგასმით აღინიშნა ამ სახის და ასეთი მასშტაბური კონფერენციის საჭიროება და მნიშვნელობა. ითქვა, რომ სამყარო დგას ახალი გამოწვევების წინაშე და პასუხი ამ გამოწვევებზე მხოლოდ საერთო ძალისხმევითაა შესაძლებელი.

კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა მოხსენება გაჯერებული იყო ერთი საერთო პათოსით, რომ კონფესიებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობისთვის აუცილებელია თანამშრომლობა, ურთიერთდიალოგი.

რელიგიებს შორის კონფრონტაციული დინამიკის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტურ მექანიზმს სწორედ ინტერრელიგიური დიალოგი წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ისეთ საერთო ღირებულებებს, როგორცაა უნივერსალური კულტურა და, მათ შორის, უნივერსალური ცნობიერება.

მომხსენებელთაგან არც ის მომენტი იქნა დავინწყებული, რომ ინტერრელიგიური დიალოგი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება ერთიანი, ყველასათვის მისაღები ფუნდამენტი, რომელიც მოიცავს უნივერსალურ, ზოგადსაკაცობრიო მარადიულ ღირებულებებს, როგორც გზას თანხმობისა და ურთიერთგაგებისკენ.

მე კი, ჩემი მხრივ, დავამატებ, რომ ინტერრელიგიური დიალოგი სწორედ მაშინ და მხოლოდ მაშინაა ეფექტური, თუ თითოეული რელიგია ამ მულტიცივილიზაციურ სამყაროში, მრავალრელიგიურ-კონფესიურ ლანდშაფტში, თავს არ წარმოიდგენს მთავარ აქტორად, აქცენტს არ გააკეთებს განსაკუთრებულობაზე, საკუთარი თავის აღქმა არ იქნება განპირობებული საკუთარი უპირატესობის განცდით, არ იქნება გათანგული საბოლოო ჭეშმარიტების ამბიციით.

რაც შეეხება ქართულ სინამდვილეს, კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ძალისხმევით შეიქმნა ღირებულებათა თვითმყოფადი სულიერი სისტემა და ცხოვრების ნორმები. ითქვა ისიც, რომ, როგორც მართლმადიდებლობა, ისლამი, იუდაიზმი, ასევე კათოლიციზმი და სომხური ეკლესია, ყოველთვის იყო ქართული საზოგადოების რელიგიური, კულტურული ცხოვრების შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი. ისინი დღემდე იკავებენ მნიშვნელოვან ადგილს ქართული საზოგადოების სულიერ, კულტურულ, ეთნოკულტურულ და პოლიტიკურ ლანდშაფტში. სწორედაც ისტორიული რელიგიების გამაერთიანებელი როლის წყალობით შენარჩუნდა ნაციონალური კულტურის უნიკალური ერთობა და მრავალფეროვნება.

აქცენტი გაკეთდა იმაზეც, რომ სწორედ ქვეყანაში მოქმედ რელიგიურ მიმდინარეობებზე და კონფესიებზე, მათ ლიდერებზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ქართული სახელმწიფოს სტაბილურობა და მისი ხვალისდელი დღე. მხოლოდ ყველას საერთო ძალისხმევითაა შესაძლებელი რელიგიურ საკითხებში გარანტირებული მშვიდობის მიღწევა ქვეყანაში.

კონფერენციის მონაწილეთა ყურადღების მიღმა არც ის ფაქტი დარჩენილა, რომ დღეს დასავლური სამყარო იქცა მატერიალისტურ, აგრესიულ ცივილიზაციად, დაკარგა რა

ჰარმონია ადამიანის შინაგან და გარე სამყაროს შორის, მან ახალი ღმერთები შეიძინა მატერიალისტური კომფორტის და მატერიალისტური პროგრესის სახით, ხოლო მისი ცხოვრება უპირატესად რაციონალისტურ იდეას და მატერიალისტურ საზრუნავს დაექვემდებარა. საკაცობრიო კულტურაში წამყვანი გახდა არა მაღალი სულიერი იდეალები, არამედ ახალევროპული მატერიალიზმი. ყოველივე ამის ინსპირატორად კი პროგრესი – ცივილიზაციაზე ორიენტირებული ტრანსცენდენტალური, ფაუსტური გონი იქცა, რომელიც სამყაროს უპირობო დემიურგად გამოცხადდა. ასეთ პირობებში სამყაროს ძველი წესრიგი – ტრადიცია, სულიერება, რელიგია და გამოცდილება, უპირობო ნეგაციას დაექვემდებარა.

მეცნიერთა მხრიდან გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ სიტუაციიდან გამოსავალი ხომ არ მდგომარეობს ახალი გონის დაფუძნებაში, ტრანსცენდენტალიზმის უარყოფასა და თავისუფლების ახალი მოდელის დამკვიდრებაში? ახალი ანთროპოკოსმოსის შექმნაში?

მე კი მთელ ამ სცენარში, მსოფლიო პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე მოხაზულ სცენარში, მინდა შემოვიდე კოსტა-რიკის ყოფილი პრეზიდენტის, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის, ოსკარ არიასის მართლაცდა გენიალური სიტყვებით: „ჩვენს საუკუნეში ძალმომრეობა და ომი გახდა მეტად ჩვეულებრივი მოვლენა და მსხვერპლნი ამ ძალმომრეობისა, ძირითადად, სამოქალაქო პირები ხდებიან. XXI საუკუნის ლიდერებს მოუწევთ გაიაზრონ, რომ კაცობრიობა ვერ გადარჩება, თუ გააგრძელებს XX საუკუნის ეთიკით ცხოვრებას, ნამდვილი ჭეშმარიტი ვაჟკაცობა კრიზისისადმი პასუხში ან ომის გამოცხადებაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმის აღიარებაში, რომ არანაირი პრობლემა არაა იმდენად დიდი, რომ მას ვერ გავუმკლავდეთ, არც იმდენად პატარა, რომ იგი ჩვენ არ გვეხებოდეს“.

დიახ, ჩვენ, ადამიანებს, ყველაფერი შეგვიძლია, თვით შეუძლებელიც კი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებულ წინააღმდეგობებს, მიმდინარე პროცესებს მხოლოდ ერთი პრინციპით – სამართლიანობის პრინციპით – მივუდგებით. მათ შორის, არც რელიგიური წინააღმდეგობებია დაუძლეველი.

მაგრამ მე კვლავ კონფერენციას მივუბრუნდები და ვიტყვი, რომ მან ღრმა, ინტელექტუალური ხასიათი მიიღო. ის ერთგვარად შეჯიბრებითობის რეჟიმში გადავიდა. თითოეული გამოსვლა ღრმა თეოლოგიურ-ფილოსოფიური პასაჟებით გამოირჩეოდა. ეს იყო ნამდვილი ინტელექტუალური დისპუტი, დიალოგი წარმოდგენილი თემის გარშემო.

დაბოლოს, მონაწილეთაგან ერთხმად აღინიშნა კონფერენციის მაღალი სტანდარტი და გამოითქვა სურვილი მსგავსი კონფერენციების ხშირად ჩატარების თაობაზე. ასევე მადლობა ითქვა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და მისი თავმჯდომარის – ზაზა ვაშაყმაძის მისამართით აღნიშნული კონფერენციის მაღალ დონეზე გამართვის გამო.

კონფერენციის დასასრულს ხელი მოეწერა დეკლარაციას „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“.

პაატა გერბაია
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

დეკლარაცია

ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის

ჩვენ, კონფერენციის – „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ – მონაწილენი, ვაცხადებთ, რომ:

საქართველო არის მრავალეროვანი, მრავალკონფესიური სახელმწიფო და მის განვითარებაში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ რელიგიების წარმომადგენლებმა.

ჩვენ ვხედავთ უკანასკნელ ათწლეულში რელიგიურ ნიადაგზე მსოფლიოში მიმდინარე დაპირისპირებებს და ვაცნობიერებთ ინტერრელიგიური ურთიერთობის მნიშვნელობას მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

გვწამს, რომ ინტერრელიგიური დიალოგი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა ურთიერთცნობადობის ამაღლებისა და ურთიერთპატივისცემის გასაღრმავებლად, მით უმეტეს საქართველოში, ქვეყანაში, სადაც საუკუნეების განმავლობაში მუდამ არსებობდა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ტოლერანტობა სხვადასხვა კულტურათა და რელიგიათა წარმომადგენლებს შორის.

მივიჩნევთ რა, რომ აუცილებელია რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის გაძლიერება და რელიგიის თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებული უფლების გათვალისწინებით ქვეყანაში სტაბილურობისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა, ვთანხმდებით შემდეგზე:

- რწმენა არ არის ძალადობის, რელიგიურ ნიადაგზე ომისა და კონფლიქტის წამახალისებელი;
- ინტერრელიგიური დიალოგი არის განსხვავებული რწმენის ადამიანთა ურთიერთობის ჰუმანური ფორმა;
- ინტერრელიგიური დიალოგისას წარმოშობილი შესაძლო სირთულეები არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი, იგი უნდა დაიძლიოს ურთიერთგაგებით, სამართლიანობისა და სარწმუნოებრივ-მორალური პრინციპების გათვალისწინებით;
- ინტერრელიგიური დიალოგი ხელს უწყობს რა კულტურათა კვლევასა და რელიგიური ცნობიერების ამაღლებას, ასუსტებს ნეგატიურ განწყობებს და ქმნის მშვიდობიან გარემოს;
- ინტერრელიგიური დიალოგი თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავს ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების დაცვასა და ღვთის ცნებებზე დაფუძნებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დანერგვას;
- ინტერრელიგიურ დიალოგში ჩართული მხარეები იღვნიან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის, ამასთან, თანაუგრძნობენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ყველა ხალხს, რომლებიც მოკლებული არიან მშვიდობას, სამართლიანობასა და სოციალურ სიკეთეებს;

- ინტერრელიგიურ დიალოგში ჩართული მხარეების მოღვაწეობა არის შემოქმედებითი და საქმიანი და ხელს უწყობს რელიგიათა შორის თანამშრომლობასა და მაღალზნეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას, ორიენტირებულს ადამიანის ღირსებისა და ოჯახის სინამდის დაცვაზე, თანასწორუფლებიანობაზე, სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, სწეულთა და საპრობილეში მყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ნარკომანიის, ლოთობის, ძალადობისა და სხვა მავნე გამოვლინებების აღმოფხვრაზე;
- რელიგიური ორგანიზაციები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ რელიგიური ჯგუფების მშვიდობიან თანაარსებობას კავკასიის რეგიონში და ამით ხელი შეუწყონ მრავალფეროვანი მსოფლიოს შენარჩუნებას.

ხელმომწერი მხარეები ვაცხადებთ მზადყოფნას, ერთად ვიზრუნოთ ინტერრელიგიური დიალოგის გზით მშვიდობის მხარდასაჭერად და ზემოაღნიშნულ მიზანთა განსახორციელებლად :

1. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;
2. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;
3. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;
4. ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია;
5. სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
6. საქართველოს ებრაელთა კავშირი;
7. იეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში;
8. საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
9. საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია;
10. საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
11. საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია.

25 ივლისი, 2016 წელი

DECLARATION

INTERRELIGIOUS DIALOGUE FOR PEACE

We, the participants of conference – „Interreligious Dialogue for Peace“ – declare that:

Georgia is a multi-ethnic, multi-religious state and the representatives of all religions should contribute to its development.

Over the last decade we have seen religious confrontations around the world and realized the importance of inter-religious relations in strengthening peace.

We believe that inter-religious dialogue is an important way to raise awareness and further mutual respect, especially in Georgia, where the peaceful coexistence and tolerance between different cultures and religions has been existed over the centuries.

We believe that, it is necessary to strengthen co-operation on regional and international levels and promote the stability and development of the state, considering that the right to freedom of religion is universally recognized, Therefore we declare, that:

- Faith does not encourage violence, conflict or war based on religion;
- Interreligious dialogue is a humane form of relations between people with different faith;
- Any possible difficulties within interreligious dialogue should not be an obstacle. It must be overcome by mutual understanding, justice and religious and moral principles;
- Interreligious dialogue contributes to strengthening cultural and religious awareness, weakens negative attitudes and creates a peaceful environment;
- One of the main goals for interreligious dialogue is a protection of peaceful coexistence and implementation of general human values based on God’s commandments;
- The participants of interreligious dialogue, seek to achieve our country’s territorial integrity, and at the same time, compassionate all the pain of the people, in different parts of the world, who are deprived of peace, justice and social assistance;
- Their effort is very creative and productive and promotes inter-religious cooperation and establishment of moral society, oriented on human dignity and protection of sanctity of the family, equality, resolution of social problems, improving conditions for those who are sick and in prison, elimination of drug abuse, drunkenness, violence and other harmful exposures;
- Religious organizations are required to encourage peaceful co-existence of religious groups in the region and contribute to the preservation of a diverse world.

The signatories declare their readiness to support the peace through inter-religious dialogue and to implement aforementioned:

1. The State Agency for Religious Issues;
2. Georgian Orthodox Church;
3. Jewish Union of Georgia;
4. Diocese of the Armenian Apostolic Orthodox Holy Church in Georgia;
5. Administration of All Muslims of Georgia;
6. Apostolic Administration of the Caucasus;
7. Evangelical-Baptist Church of Georgia;
8. Evangelical-Protestant Church of Georgia;
9. Evangelical-Lutheran Church of Georgia;
10. Clerical Council of Yazidis of Georgia;
11. Church of Evangelical Faith of Georgia.

25 July, 2016

ზაზა ვაშაყმაძე

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე

ადამიანური აზროვნების უმდიდრესი საგანძური თანამედროვე კულტურული საზოგადოების მოქალაქეს აძლევს მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას. მრავალგვარი მსოფლმხედველობა, მსგავსი და ერთმანეთთან დაპირისპირებული, თანაბრად, მთელი თავისი ბრწყინვალეობითა და ხიბლით არის წარმოდგენილი ამ საგანძურში.

არადა არასოდეს, არც ერთ ფილოსოფიურ მიმდინარეობას, სოციალურ-პოლიტიკურ დანესებულებას არ გაუერთიანებია ყველა ადამიანი. სწორედ ერთი იდეის, ერთი რწმენის არარსებობა არის საუკეთესო დასტური ადამიანის ბუნების მრავალფეროვნებისა. ასევე დასტურია იმ უიმედობისა პირის, სახელმწიფოს, ხალხის მხრიდან, გააჩნდეს პრეტენზია სრულ ჭეშმარიტებაზე.

თუმცა რელიგიური მიმდინარეობების შემთხვევაში სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე, რადგან ქრისტიანობასაც, იუდაიზმსაც და ისლამსაც, რომლებმაც თავისი სულიერ-ჰარმონიული მოღვაწეობით კაცობრიობის ცხოვრებაში მრავალი მკვეთრი და განუმეორებელი ფერი შემოიტანეს, აქვთ პრეტენზია სრულ ჭეშმარიტებაზე. მაგალითად, ქრისტიანობის შემთხვევაში, სხვადასხვა ისტორიულ-კულტურულ ეპოქაში მოღვაწე თითქმის ყველა მოაზროვნის შემოქმედებაში შეხვდებით ქრისტიანული რელიგიის დოგმატური და მორალური დოქტრინის ძირითად პრინციპებს. რეფორმაციის შემდგომი პერიოდის ევროპელი სოციალისტი თეორეტიკოსები სამართლებრივი წყობის დასამკვიდრებლად სწორედ ქრისტიანული იდეებით ხელმძღვანელობდნენ და თავიანთ თხზულებებში ჰუმანიზმის, ფილოსოფიურ, ეთიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს ეხმიანებოდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ფრანგული უტოპიური სოციალიზმის ცნობილი წარმომადგენლები სენ-სიმონი და შარლ ფურიე, რომლებიც ქრისტიანულ სოციალიზმს ქადაგებდნენ. მაგალითად, გრაფი ანრი სენ-სიმონი თავის ფუნდამენტურ შრომებში სწორედ ქრისტიანულ მოძღვრებას ეყრდნობოდა და სოციალიზმს „ახალი ქრისტიანობის“ განხორციელებად განიხილავდა.

რაც შეეხება XVIII-XIX საუკუნეების დიდ პოლიტიკურ მიმდინარეობებს, ისინი თავიანთ თეორიულ მოდელებსა და საპროგრამო დებულებებს სწორედ ქრისტიანული რელიგიის უნივერსალური კატეგორიებით – ჰუმანურობით, თავისუფლებით, თანასწორობით ტვირთავდნენ, ანუ ყოველი მათგანი საკუთარი სოციალური დოქტრინის დასაყრდენს ქრისტიანულ ზნეობაში ხედავდა. სხვათა შორის, ცნობილი ავსტრიელი სოციოლოგი პოპერი შენიშნავდა: „დასავლური საზოგადოება ჰუმანურობის, თავისუფლების, თანასწორობისა და მრავალ მის კეთილ მიზანსა და მისწრაფებას ქრისტიანობის გავლენას უნდა უმაღლოდეს“.

ასეთ ვითარებაში მორწმუნე ადამიანი ალბათ მაინც დასვამდა შეკითხვას იმის თაობაზე, რელიგია უფრო დღეგრძელია თუ იდეოლოგია?

ფრანგ ისტორიკოსს ფერნან ბროდელს უყვარდა თქმა, რომ ისტორიკოსის ამოცანაა შეისწავლოს წარსული, წარსულის ფონზე გააანალიზოს მომავალი. ამასთან იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიდეს მომავლის მკითხაობამდე. XIX საუკუნის დასასრულს საფრანგეთის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა გონმა ერნესტ რენანმა არ იცოდა ამ ბრძნული სიტყვების შესახებ. იბნ რაშიდზე შესანიშნავი ნიგნის ავტორი დაბეჯითებით

აცხადებდა, რომ ისლამს არ აქვს არანაირი მომავალი. აქვე შეიძლებოდა გაგვეხსენებინა სტალინის თანამებრძოლის, კიროვის, მიერ 1928 წელს გამოჩენილი წინდაუხედაობაც, როცა იგი აცხადებდა, რომ სულ რაღაც 30 წელიწადში ისლამისაგან დარჩებოდა მხოლოდ არაკეთილი მოგონება ისევე, როგორც ფეოდალიზმის ეპოქისაგან დარჩა. თუმცა 1990 წელს აზერბაიჯანულმა ქალაქმა კიროვაბადმა ისევ დაიბრუნა თავისი მუსლიმანური სახელწოდება – განჯა. მოლები, როგორც მაშინ, ახლაც გულმოდგინედ კითხულობდნენ ყურანს, კიროვის სახელი კი სამუდამო დავინწყებას მიეცა.

შეცდნენ საბჭოელი კიროვი და საფრანგეთის სიამაყე – რენანი, თუმცა კიროვისაგან განსხვავებით, რენანის ინტელექტსა და ავტორიტეტს დღემდე დიდად აფასებენ მუსულმანი თეოლოგები და ინტელექტუალები.

პოსტულატი კვლავ იგივეა: რელიგია უფრო დღეგრძელია თუ იდეოლოგია?

რაც შეეხება იუდაიზმს, აქ, უფლის სამშობლოში, რელიგია ყოველთვის იყო და დარჩება უცილობელ ჭეშმარიტებად, მარადიულობად. ხოლო სიონიზმი, როგორც ანტისემიტიზმის საწინააღმდეგო იდეური მიმდინარეობა, სწორედ მესიანიზმის ნიადაგზე აღმოცენდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და იგი მისტიკურ-რელიგიურ ხასიათს ატარებდა. მართალია, დროთა განმავლობაში ევროპაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, რაც თეოლოგიაზე იერიშის მიტანაში გამოიხატა, სიონიზმის რელიგიურ-მისტიკური ხასიათი რაციონალისტურმა და კულტურულმა შეცვალა, მაგრამ ტერმინი „სიონიზმი“ ცალსახად იერუსალიმის მაღლობ „ციონს“ და იქ მეფე სოლომონის მიერ ძვ. წ. 970-930 წწ. აგებულ ტაძარს უკავშირდება. ყოველ შემთხვევაში, თეოდორ ჰერცლმა და სიონიზმის სხვა ფუძემდებლებმა ასეთი მიმდინარეობის შექმნით თავდაცვის, თვითგადარჩენის ისეთი მექანიზმის შემუშავება შეძლეს, რომელსაც იშვიათად მოეძებნება ანალოგი.

სამივე შემთხვევაში კვლავ ნახსენები პოსტულატი გვახსენებს თავს: რელიგია უფრო დღეგრძელია თუ იდეოლოგია?

ამდენი ხნით ეს „მწვალებლური“ შეკითხვა მხოლოდ იმიტომ დაისვა, რომ ამით ერთგვარად გამოგვეკვეთა ყველა დროში რელიგიის როლი და მნიშვნელობა ხალხისათვის. ამასთან, გვეთქვა ისიც, რომ დღეს ამ უტილიტარულ გარემოცვაში, რომელმაც რაციონალიზმის ტოტალური იდეის რიტმში ჩაიარა და პოზიტიური ევროპული გონის პრიმატით ხასიათდება, ასევე მკაცრად ინტელექტუალურია თავისი ლოგიკური იდეებითა და აბსტრაქტული კონცეფციებით, ადამიანური ფიქრების, სწრაფვების, გრძნობების, მოღვაწეობის მთელი სიმდიდრე ანუ კაცობრიობის წმინდა ტრადიცია და რელიგიური ჭეშმარიტება, თითქმის გარდაუვალ ნეგაციად იქცა.

არადა, მიწიერ სამყაროში არსებულ უწესრიგობაში, სადაც ბატონობს ერთიანი კანონი, რისი გამოხატულებაცაა ეგოცენტრისტული იმპულსები, ამბიციები, დიდების სურვილი, თვითდამკვიდრების მოტივი, რელიგიის მიზანი ყოველთვის იყო მატერიალისტური ცხოვრების წესის შეცვლა, სულიერი სრულყოფილება, ჭეშმარიტი „მეს“ პოვნა და ერთიანობა ღვთიურთან.

ადამიანური არსებობის ჭეშმარიტებას რელიგია მუდმივად ხედავდა ღმერთთან ერთიანობაში, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ არის ადამიანური ევოლუციის დასასრული, ბოლო სიტყვა ადამიანის შინაგან კულტურაში.

სამწუხაროდ, დღეს კაცობრიობის ნაწილი ცხოვრობს ადამიანებს შორის რელიგიურ ნი-
ადაგ ზე უთანხმოების კულტივირების ხანაში. ცნობილია, რომ მსგავსი უთანხმოება წარ-
მოადგენს არა მხოლოდ ექსტრემიზმის განვითარების მზარდ წყაროს, არამედ ადამია-
ნებს სულ უფრო აშორებს ძმობისა და თანაცხოვრების იდეალებს.

როგორც წარსულში, ასევე დღესაც თვალსაჩინოა, რომ როგორც კი რელიგიებს შორის
ურთიერთობა უნდობლობით, ურთიერთმტრობითა და კონფლიქტებით იცვლება, ეს
საფრთხის ქვეშ აყენებს ხალხებს შორის ურთიერთობას, აქეზებს ცალკეულ პირებსა და
ეთნიკურ ჯგუფებს ძალადობისკენ.

ამიტომ ჩვენს ეპოქაში სულ უფრო აქტუალური ხდება საერთო ფუნდამენტის მოძებნის
იდეა რელიგიებს, კონფესიებს შორის დიალოგის დასაწყებად. ასეთია ინტერრელიგიური
დიალოგი ანუ თანამშრომლობის საფუძველზე სხვა რელიგიების შემწყნარებლობა. ეს ის
პროცესია, როცა უპირატესობას იღებს თავისუფალი ნება, ჭარბობს რელიგიებს შორის
დიალოგის სურვილი და მაშინ მას შეუძლია ითამაშოს გადამწყვეტი როლი დაპირისპი-
რების, წინააღმდეგობის მოხსნაში. ასევე იმოქმედოს სამშვიდობო მიზნებით იქაც კი, სა-
დაც წარსული ომებისა და კონფლიქტების ისტორიით გამოირჩეოდა.

ფაქტია ისიც, რომ ინტერრელიგიური დიალოგი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევა-
ში, თუ შეიქმნება ერთიანი, ყველასათვის მისაღები ფუნდამენტი. ასეთ ფუნდამენტად კი
მიჩნეულია უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო, მარადიული ღირებულებები, როგორც
გზა თანხმობისა და ურთიერთგაგებისკენ.

ასე რომ, საკითხის – „დიალოგი რელიგიებს შორის“ – წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

ვაჩვენოთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა მნიშვნელობა, როგორც რელიგიური
ეთიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების ფუნდამენტისა;

ვაჩვენოთ რელიგიებს, მეცნიერებას, ხელოვნებას შორის საერთო ფუნდამენტის – ზოგად-
საკაცობრიო ღირებულებათა საფუძველზე დიალოგის შესაძლებლობა და აუცილებლობა;

ვაჩვენოთ მაგალითი ასეთი დიალოგისა.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ქვეყანა მრავალეროვნული, მრავალკონფესიური სა-
ხელმწიფოა. ძირითად ისტორიულ კონფესიებად აქ აღიარებულია მართლმადიდებლო-
ბა, ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამი. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქარ-
თველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში. სწორედაც ისტორიული რელიგიების
გამაერთიანებელი როლის წყალობით იქნა შენარჩუნებული ნაციონალური კულტურის
უნიკალური ერთობა და მრავალფეროვნება.

საუკუნეების განმავლობაში საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ძალისხ-
მევით შეიქმნა ღირებულებათა თვითმყოფადი, სულიერი სისტემა, ცხოვრების ნორმები,
პრიორიტეტები. როგორც მართლმადიდებლობა, ასევე ისლამი და იუდაიზმი ყოველთ-
ვის იყო ქართული საზოგადოების რელიგიური და კულტურული ცხოვრების შემადგენე-
ლი და განუყოფელი ნაწილი. ისინი დღემდე იკავებენ მნიშვნელოვან ადგილს ქართული
საზოგადოების სულიერ, კულტურულ, ეთნოკულტურულ და პოლიტიკურ ლანდშაფტში.
ბოლო წლებში ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესმა მნიშ-

ვნელოვნად აამალა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა რელიგიური ცნობიერება, გაათავისუფლა ისინი წარსულის მემკვიდრეობისაგან, ათეიზმის ბატონობისაგან. ათეიზმისა და მარქსიზმის დოგმების მრავალწლიანი დიქტატის დასრულების შემდეგ საქართველოს კონსტიტუცია გახდა თითოეული მოქალაქის სინდისისა და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების გარანტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო სამართლებრივი საზოგადოების ასაშენებლად. ეს კი, თავის მხრივ, რელიგიებსა და კონფესიებს აძლევს შესაძლებლობას, დაიკავონ ჯეროვანი ადგილი, სათანადო მდგომარეობა ქართულ ფასეულობათა საერთო სისტემაში. ამან ხელი შეუწყო საზოგადოების კონსოლიდაციასა და ქართული სახელმწიფოს ერთიანობის განმტკიცებას. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ფონზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ არსებობენ ძალები, რომლებიც ცდილობენ, ისარგებლონ ჩვენი ქვეყნის დროებითი სიძნელეებით და ამ სფეროში ითამაშონ დემასტაბილიზებელი როლი. როცა ამ ადამიანებზე ვფიქრობ (აქ, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ვგულისხმობ), საკუთარი ეგოთი დაბრმავებულ ადამიანებზე, რომლებმაც თავისი თავი ასეთ სტატუსში ჩაიყენეს მშობლიური კონფესიისა და, რაც მთავარია, ქვეყნის წინაშე, ეს უბრალოდ დანაშაულია. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მათი არჩევანია, ოღონდ ძალიან ცუდი არჩევანი. ვაღიარებ იმასაც, რომ ხშირ შემთხვევაში მათ ასეთ გააზრებულ ქმედებებსა და გამობტომებს არც დღემდე და, მით უფრო, არც მომავალში, ბუდისტური სიმშვიდით ნამდვილად არ შევხვდები.

ახლა წამიერად გამახსენდა ჯორჯ ბენჟამენ კლემანსოს ცნობილი გამონათქვამი – „მას სიგიჟემდე უყვარდა საფრანგეთი, მაგრამ ჭირის დღესავით ეზიზღებოდა ყოველი ფრანგი“. ძალიან მომინდა მისი გამონათქვამის პერიფრაზირება და ვიტყვი, რომ მე, როგორც მოქალაქეს, ამ ქვეყნის შვილსა და ამ სამსახურის ხელმძღვანელს, მიყვარს, პატივს ვცემ ყველა რელიგიას, კონფესიას, მაგრამ არ მიყვარს და ბოლომდე ვიბრძოლებ ყველა იმ ადამიანისა თუ ჯგუფის წინააღმდეგ, ვინც ინტერრელიგიური დიალოგის მტერია და ამით შეგნებულად ძირს უთხრის ქვეყნის ერთიანობას.

ეს ჩემი, როგორც მოქალაქის, ასევე როგორც ბუნებით დემოკრატი ადამიანის პოზიციაა. მე ამისათვის მზად ვარ.

ასეთ პირობებში კი რელიგიებისა და რელიგიურ მოღვაწეთა როლი მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში სულ უფრო იზრდება. ამიტომ არის უმნიშვნელოვანესი ქართულ სინამდვილეში ინტერრელიგიური დიალოგი. იგი გახლავთ ქართული საზოგადოების სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთი გარანტი. დიალოგი, თავის მხრივ, უნდა დაეფუძნოს ჩვენი ხალხების მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ პოზიტიურ გამოცდილებას, რომელიც კვლავ უნდა გაგრძელდეს და უფრო გამდიდრდეს. ამასთან, არც ის უნდა დაგვაზინყდეს, რომ რელიგია არა მხოლოდ მსოფლმხედველობა, არამედ საზოგადოების მძლავრი სოციალური და პოლიტიკური ძალაცაა, რომლის უკანაც დგას ათასობით მორწმუნე.

დღეს აქ, კონფერენციაზე, წარმოდგენილია საქართველოს რელიგიური გაერთიანებებისა და კონფესიების თითქმის მთელი პალიტრა. სწორედ ინტერრელიგიური დიალოგის საფუძველზე მათ უნდა გადაწყვიტონ ჩვენი საზოგადოების სულიერ-მორალური და სოციალური პრობლემები, ბოლო მოუღონ რელიგიურ საფუძველზე წარმოქმნილ გაუგებრობებს.

კონფერენციები, დისკუსიები, დიალოგი, ერთობლივი საქველმოქმედო აქცია კი, თავის მხრივ, გახდება კარგი მაგალითი თითოეული ადამიანისათვის, დამოუკიდებლად კონფე-

სიისა, რელიგიური მრწამსისა, ჰქონდეს სხვა ადამიანებთან კეთილი და თანასწორი ურთიერთობა.

ჩვენი სააგენტოს მთელი ძალისხმევაა შექმნის დღიდან ვიდრე მოცემულ მომენტამდე, სწორედ ასეთი დიალოგისკენაა მიმართული. მცდელობა, მიგვეღწია ამ მიმართულებით სერიოზული შედეგისათვის, იყო ჩვენი უმთავრესი ამოცანა, მაგრამ მიღწეულის შეფასება არა ჩვენი, არამედ საზოგადოების პრეროგატივაა.

დასასრულ, რადგან მოცემულ მომენტში წარმოვადგენ სახელმწიფო მოხელეს, არ მაქვს უფლება არ გამოვხატო ის გაუნელებელი ტკივილი, რასაც განვიცდი ჩემი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. თუ ამას იმასაც დავამატებთ, რომ არც ინტერ-რელიგიური დიალოგია ამ პრობლემათა გადაჭრის საქმეში ერთ-ერთი ბოლო მექანიზმი, ვიტყვი, რომ სამშობლო, სამართლიანობა, ღირსება ის საბაზო ცნებებია, რომლებიც უნდა გახდეს საფუძველი საერთო – ეროვნული დიალოგისა ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან.

დადგა დრო შევურიგდეთ ისტორიას, გავიაზროთ წარსული, შევკრათ დროთა შორის განწყვეტილი ჯაჭვი. მხოლოდ მაშინ ვიგრძნობთ ჩვენს თავს იმ ერად, რომელსაც აქვს ერთიანი, საერთო სამშობლო.

ZAZA VASHAKMADZE

Chairman of the State Agency for Religious Issues

Human thinking is the richest treasure of contemporary cultural society that enables its citizens a variety of choices. A diversity of world outlooks, similar and opposite, with all its brilliance and charm are equally represented in this treasury.

Unfortunately, today a part of humanity lives in the period of increasing religious-based disagreement among people. It's known that such disagreement is not only a growing source of extremism but it makes people more and more distant from the ideals of brotherhood and coexistence.

As in the past, and even today, it's obvious that as soon as a relationship between religions changes for mistrust, hostility and conflicts, it endangers interrelation among peoples encouraging both individuals and ethnic groups to violence.

Therefore, in our era, an idea of finding a common basis for starting a dialogue between religions and confessions is becoming more and more of current interest. Such is an interreligious dialogue that is based on cooperation and tolerance between different religions. This is a process when free will takes advantage, a desire for dialogue between religions prevails and then it can play a crucial role in eliminating conflict and resistance. It also can act for peaceful purposes even there where past history was marked by wars and conflicts.

It's also a matter of fact that interreligious dialogue is possible only in case of creating united, widely acceptable basis. Such basis is considered to be universal, common to all mankind and eternal values as a way to mutual consent and understanding.

So, the issue - „Dialogue Between Religions“ - faces the following tasks:

- To show the importance of common to all mankind values as a basis of religious ethics, science and art;
- To demonstrate the possibility and necessity of dialogue between religions, science and art on the common basis of universal values;
- To show an example of such dialogue.

As for Georgia, it's a multinational and multi-religious country. Here, Orthodoxy, Christianity, Judaism and Islam are recognized as main historical religions. They played an important role in the formation of Georgian statehood.

Throughout the centuries, with great effort of people of different nationalities living in Georgia formed a system of original spiritual values, living standards and priorities. Together with Orthodoxy, Islam and Judaism have always been an integral and indivisible part of religious and cultural life of the Georgian society. They still occupy an important place in the Georgian society's spiritual, cultural, ethno-cultural and political landscape.

In Georgian reality, interreligious dialogue is one of the guarantees for achieving stability in the Georgian society.

Today, here at the conference, different religious communities and confessions of Georgia are presented. On the basis of interreligious dialogue they should solve our society's spiritual, moral and social problems and put an end to misunderstandings caused on the grounds of religion.

Conferences, disputes, dialogue and joint charity events, in turn, would be a good example for everyone to have amiable and equal relations with other people regardless of confession and religious belief.

All our efforts since the establishment of the agency until now are focused on such kind of dialogue. In an attempt our main goal was to achieve significant results in this direction however achievement assessment is not our but the society's prerogative.

Finally, as far as I am a state official at present have no right not to express my everlasting pain towards my country's territorial integrity. I'll add that inter-religious dialogue is not one of the last mechanisms in solving these problems and homeland, justice and dignity are those basic concepts that should become the basis of common, national dialogue with our Abkhaz and Ossetian brothers.

It's time to reconcile to the history, realize the past and tie together a broken chain. Only then we'll feel ourselves as the nation that has a single and common homeland.

არქიმანდრიტი ალამი (ახალაძე)

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია

ქალაქის ხალხთა მშვიდობიანი თანარსებობის სამსახურში და კულტურათმცოდნეობის პოლიტიკის დღევანდელ მსოფლიოში

XXI საუკუნის არცთუ ხანგრძლივ ისტორიასაც ყურადღებით რომ გადავხედოთ და შემდგომ გავანალიზოთ, ცხადი გახდება, რომ ჩვენი დღევანდელი ფორუმი და მისი თემა – „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“- სწორედ ამ ისტორიული მონაკვეთის მოვლენებითაც გახლავთ ნაკარნახევი.

კაცობრიობის ისტორიაში მშვიდობის შესახებ უპირველესი ფუნდამენტური სწავლება რელიგიურ მოძღვრებებში გვხვდება. ანგელოსთა ზეციური გალობა: „**დიდება მალალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება**“ (ლუკა, 2, 14) – ქრისტიანობის ჟამს შემოესმათ ადამიანებსაც. ამიტომაც იგი აღიქმება როგორც გზავნილი ზეციდან, რომლის შინაარსი გახლავთ მასში შემავალი სამივე თეზის არა მხოლოდ ერთიანობა, არამედ ურთიერთდამოკიდებულებაც: ქვეყნიერებაზე მშვიდობა წარმოუდგენელია ღვთის დიდების ან ადამიანთა შორის კეთილურთიერთობათა გარეშე, ხოლო ადამიანთა შორის კეთილურთიერთობანი განსრულდება ოდენ ღვთის დიდებისა და მშვიდობის პირობებში.

ისტორიულ გამოცდილებასთან ერთად, ამ მოსაზრებებსაც ეყრდნობა ჩვენი შეხედულებანი იმის თაობაზე, რომ შეუცვლელია რელიგიის როლი მშვიდობის სულისკვეთებით აღზრდის, მშვიდობის დაცვისა და აღდგენის საქმეში. აკი, სარწმუნოება ნათელია მშვიდობის გზაზე, სარწმუნოება თავადაა მშვიდობა და მშვიდობის მსახური. სარწმუნოებაა მშვიდობის მასწავლებელი, მშვიდობის განმამტკიცებელი და მშვიდობისმყოფელი.

ჩვენ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ გარეგანი მშვიდობა: – სინყნარე, სიმშვიდე, ცხოვრება სისხლისღვრის, ტერორიზმის, ტრეფიკინგის, სიკვდილით დასჯის, სამხედრო კონფლიქტებისა და ომების გარეშე, შინაგანი სულიერი სამყაროს მანიფესტაციაა, სულიერი ცხოვრების ნაყოფია. შინაგანი სულიერი სამყაროს სრულყოფა კი წარმოუდგენელია სარწმუნოებრივი ცხოვრების გარეშე. მხოლოდ ამ შემთხვევაში დადგება ის კურთხეული დრო, რომლის შესახებაც გვაუწყებს ისაია წინასწარმეტყველი: „**და დასჭრიდნენ მახვილებსა მათსა სახნისად, და ლახვრებსა მათსა მანგლად: და არა აღილოს ნათესავმან ზედა მახვილი, და არღა ისწავებდნენ მერმე ბრძოლასა**“ (ისაია, 2, 4).

დიახ, ცალკეულ სახელმწიფოებსა და მთელ მსოფლიოშიც, მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება შეუძლებელია რელიგიური განზომილების ადეკვატური შეფასებისა და გათვალისწინების გარეშე. რელიგიური განზომილება თავისთავად მრავალფაქტორულია, მრავალსახოვანი, პოლიმორფული, მულტიკონფესიური და კომპლექსური. ეს ქარაქტეროლოგია ეხება არა მარტო საკუთრივ რელიგიის სფეროს, არამედ იმ სამყაროს, რომლის ნაწილიცაა იგი. მხედველობაში გვაქვს კულტურის¹ განზომილება.

¹ უკანასკნელი ათწლეულებში დამკვიდრდა ერთგვარი სინთეზური გაგება კულტურის ცნებისა, „რომელიც აღწერს ინტელექტუალური, სულიერი ან ესთეტიკური განვითარების ზოგად პროცესს“ (რ. უილიამსი, 1976). ტ. ბენეტი კულტურას განსაზღვრავს, როგორც სოციალურ რეგულაციათა ისტორიულად წარმოებულ ზედაპირს, რომლის გამორჩეულობა იდენტიფიცირებული უნდა იყოს შემდეგი ნიშნებით: (i) ატრიბუტებისა და წარმართვის ფორმების სპეციფიკური ტიპები, რომლებიც დგინდება, როგორც მისი მიზნები, (ii) ხერხები, რომლებიც შემოთავაზებულია ამ ატრიბუტებისა და წარმართვის ფორმების განსახორციელებლად, (iii) ამგვარი ხერხების მოხმობა მართვის კონკრეტულ პროგრამებში, (iv) ამგვარი პროგრამების ჩართვა სპეციფიკური კულტურული ტექნოლოგიების სამოქმედო პროცედურებში (ტ. ბენეტი, 1992). იხ.: CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი. – <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3701> (წვდომა 2016 წლის 9 ივლისს).

ამ პირობებში ადგილი აქვს რელიგიის სამშვიდობო ფუნქციის მიჩქმალვას, მისდამი განურჩევლობას, მის გაუთვალისწინებლობას, ხოლო აქედან გამომდინარე – საჭირო ნაყოფის მოცემის უუნარობას, აუცილებელი შედეგების მიუღწევლობას, რასაც განაპირობებს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები.

ერთი მხრივ, ეს არის რელიგიური ფანატიზმი, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია, თავად იქცეს კონფლიქტის ესკალაციის საფუძვლად; მეორე მხრივ – ეს გახლავთ მარგინალური (აგრესიულობის ელემენტებითაც) სეკულარიზმი, რომელიც საზოგადოებრივი ცნობიერებისა და კაცობრიობის მოღვაწეობის ყველა გამოვლინების რელიგიისგან გაუცხოების, ტოტალურად გამოთავისუფლების გამო უძლური ხდება და არც სურს, გამოიყენოს კონფლიქტის მოგვარების სულიერი რესურსი. ამის გამო სამშვიდობო პროცესი ჩიხში შედის.

ინტერრელიგიური დიალოგით, ერთი მხრივ, ჩვენ გავამდიდრებთ კონფლიქტების მოგვარების საქმეში ცალკეული რელიგიური მიმდინარეობების გამოცდილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ერთობლივი ძალისხმევით აღვუდგებით წინ ექსტრემიზმსა და აგრესიას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ორი მსოფლმხედველობრივი პარადიგმის – რელიგიურისა და სეკულარულის – წარმომადგენელთა დიალოგი არის საუკეთესო საშუალება ორი უკიდურესობის – რელიგიური ფანატიზმისა და მარგინალური სეკულარიზმის დასაძლევად. რელიგიური და სეკულარული ცნობიერების მქონე ადამიანებს შორის დიალოგის წარმატება კი შეუძლებელია ინტერრელიგიური დიალოგის გარეშე. იმასაც აღვნიშნავთ, რომ ინტერრელიგიური დიალოგი ცივილიზაციათა დიალოგისა და ტრანსკულტურული პოლილოგის² აუცილებელ და ბაზისურ ელემენტთაგანია.

რა კონკრეტული მისიის აღსრულება ხელენიფება საქართველოს ამ საქმეში – ინტერრელიგიურ სამშვიდობო დიალოგში?

ცივილიზაციათა შორის დიალოგის მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და ისტორიული გამოცდილების მქონე საქართველომ და ქართულმა ეკლესიამ, შესაძლოა, შეასრულოს მედიატორის როლი, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ასევე სამხრეთისა და ჩრდილოეთის, ევროპისა და აზიის, ძველი და ახალი მსოფლიოს, პირველი, მეორე და მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის.

ქართული ეკლესია მუდამ იდგა ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის სამსახურში. იგი გამოირჩევა არა მარტო სხვა აღმსარებლობათა და ეროვნებათა მიმართ შემწყნარებლობით, არამედ მათი კულტურული იდენტობის წვდომისა და დაფასების უნარით. გავიხსენ-

² ეს ტერმინი ეკუთვნის თანამედროვე ავსტრიელ ფილოსოფოსს ფრანც მარტინ ვიმერს (დ. 1942). მისი აზრით, კულტურათშორის ურთიერთობათა ფილოსოფიაში უნდა მოიძებნოს მეთოდი, რომელიც გააუვნებელყოფს ყოველგვარ დაუფიქრებელ და ნაჩქარევ უნივერსალიზმსა და რელატივისტურ პარტიკულარიზმს. ამგვარი მეთოდი იძლევა საშუალებას, გავიგონოთ სხვების ხმა და ჩვენც ვილაპარაკოთ, ოღონდაც მხოლოდ ის კი არ უნდა ვიკითხოთ, რას და რატომ ამბობენ, არამედ თუ რა დგას ამის უკან, რა გამართლება, რისი რწმენა და რაგვარი მრწამსი. ეს მესამე გზა რადიკალიზმსა და უნივერსალიზმს შორის განსხვავებულ კულტურათა დახმარებით შეიძლება ვიპოვოთ. სწორედ ესაა პოლილოგი, ანუ მრავალთა დიალოგი. იხ.: Wimmer F. M. *Interkulturelle Philosophie. Eine Einführung*. Wien: Wiener Universitätsverlag, 2004. cit.: Intercultural philosophy. Approaches to an intercultural dialogue. polylogue. - https://en.wikipedia.org/wiki/Intercultural_philosophy#cite_note-Wimmer-2 (წვდომა 2016 წლის 9 ივლისს).

ნოთ წმიდა ანთიმოზ ივერიელისა³ და გრიგოლ ფერაძის⁴ ფენომენები: მათი მრავალმხრივი მოღვაწეობა ევროპაში და გამორჩეული როლი, რომელიც შეასრულეს რუმინული, პოლონური, აგრეთვე გერმანული კულტურის განვითარების საქმეში.

დღეს საერთაშორისო კონფლიქტების უმეტესი ნაწილი ევრაზიის ცენტრალურ ზონაშია მოქცეული. ამავე გეოგრაფიულ ზონაში უდიდესი სახელმწიფოების – ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთის, თურქეთის, ირანის, ჩინეთის (რა თქმა უნდა, აგრეთვე, სხვა ქვეყნების), ყურადღების ცენტრში მყოფი საქართველო, შესაძლებელია, მართლაც გახდეს მსოფლიო თანამეგობრობის სამშვიდობო დიალოგის ერთ-ერთი წამყვანი აქტორი.

ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს ჩვენი ხალხის იდენტობის ერთი უმთავრესი ნიშანი – მტკიცე და შეურყეველი რწმენა სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებისა და ასევე, რწმენა იმისა, რომ ბოროტებაზე გამარჯვების მთავარი იარაღი არის სიყვარული. აკი, „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. ამგვარი სიყვარული იმაში ვლინდებოდა, რომ ქართველს უნდა შეძლებოდა მტრისთვის მიტევება, მისი ღირსებათა დანახვა და დაფასება. ქართული სულის გამოვლინების ერთი საუკეთესო მაგალითია „ბალადა მოყმისა და ვეფხისა“, რომლის კულმინაციაცაა ვეფხთან შებმაში დაღუპული მოყმის დედის წუხილი და სხვისი ჭირის გათავისების მტკიცე სურვილი – დედის გადაწყვეტილება, რომ უნდა წავიდეს და სამძიმარი უთხრას ვეფხის (მტრის, მონინააღმდეგის ხატის) დედას – „იქნება ვეფხის დედა, ჩემზე მწარედა სტირისა“.

საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდნენ და, საბედნიეროდ, დღესაც ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების – არა მარტო ქართველი, – მაჰმადიანები, მათ შორის, იმ ქვეყნების წარმომადგენლებიც, რომელთაც არაერთხელ დაურბევიათ ან დაუპყრიათ საქართველოს სხვადასხვა კუთხე.

სრულიად უნიკალური ფენომენია თურქეთელი ქართველობა⁵, ⁶. ეთნოტრადიციული და ისტორიული ფესვების (ენის, ადათდნესების, ისტორიული მეხსიერების...) შენარჩუნებასთან ერთად, მათ შეძლეს მაღალი მოქალაქეობრივი აქტივობის გამომჟღავნება და დემონსტრირება როგორც ოსმალეთის იმპერიის, ასევე, თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში⁷.

საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნიდან ცხოვრობენ იუდეველები. ჩვენი ურთიერთობების ისტორიამ არა მარტო ანტისემიტიზმი არ იცის, არამედ დევნა-შევი-

³ ანთიმოზ ივერიელმა სიცოცხლე შესწირა მეორე სამშობლოდ ქცეულ ვლახეთის (რუმინეთის) გათავისუფლებას თურქთა და ფანარიოტთა უღლისაგან. როგორც ფრანგი მეცნიერი ე. პიკო აღნიშნავდა, „საქართველოს წიაღიდან მოსულმა, გვიჩვენა იშვიათი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისა“. ის გახლდათ ფუძემდებელი ახალი რუმინული სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენისა, ბრწყინვალე მწერალი და აღიარებული ორატორი. იხ.: ო. გვინჩაძე. ანთიმ ივერიელი. იხ.: ოთარ გვინჩაძე. ანთიმ ივერიელი: მესტამბე და პოლიტიკური მოღვაწე; გამ-ბა, „მეცნიერება“, თბილისი, 1973; რეკონსტრუქციის დამ. *Activities of Anthim the Iberian in the context of intercultural communicative competence*, Constanta-Ramnicu-Valcea (Romania), 2016.

⁴ 1942 წლის მაისში გრიგოლ ფერაძე ვარშავაში გესტაპომ დააპატიმრა იმ მიზეზით, რომ ის ეხმარებოდა და იფარავდა ებრაელებს. 28 მაისს მისი ბინის ჩხრეკისას ბიბლიოთეკაში ინგლისური და ამერიკული ვალუტა იპოვეს, რომელიც, გესტაპოს მტკიცებით, ებრაელთა დახმარების ფონდს ეკუთვნოდა და უტყუარ ნივთ-მტკიცებას წარმოადგენდა. 18 ნოემბერს აუშვიცის (ოსვენციმი, პოლონეთი) საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს. იხ.: H. Paprocki. *Ks. archimandrita dr Grzegorz Peradze...* 1986; H. Paprocki. *Niektore okolicznosci arestowania i pobytu w...* 1994.

⁵ ლ. ჩლაიძე. თურქეთელი ქართველები, თბ., 2005, გვ. 440-449.

⁶ არქიმანდრიტი ადამი. თურქეთელ ქართველთა ეთნოკულტურული რემიგრაციის... - 2016, გვ. 300-302.

⁷ არქიმანდრიტი ადამი. ქართულ-თურქულ კულტურულ ურთიერთობათა... 2012, გვ. 12-15.

წროების ყოფითი ფაქტებიც კი⁸. ამიტომაც ებრაელები საქართველოში მოდიოდნენ მეზობელ ქვეყნებში (ბიზანტია, სომხეთი, ხაზარეთი, თურქეთი, რუსეთი) ანტისემიტიზმის გაძლიერების პერიოდებშიც⁹. მეტად საინტერესოა ემიგრირებული ქართველი ებრაელების ცხოვრება და მოღვაწეობა ისრაელის სახელმწიფოში. მეცნიერული ანალიზისას ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქცევით იმ ეთნოკულტურულ, ეთნოფსიქოლოგიურ და ეთნოსოციალურ თავისებურებებს, რითაც გამოირჩევა ქართველი ებრაელობა და რამაც ხელი შეუწყო მათ წარმატებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობას სახელმწიფო და საერთაშორისო ასპარეზზე.

ქართული სახელმწიფო მუდამ იდგა კავკასიის ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის სამსახურში, ხოლო ქართული ეკლესია ერთგვარი რელიგიური ლიდერის როლს ასრულებდა, ყოველ შემთხვევაში, კავკასიის ქრისტიან ხალხებში ვიდრე მე-18 საუკუნის ბოლომდე – მეფის რუსეთის გამოჩენამდე, რასაც არა მარტო უძველესი ქართული ეკლესიის უფლებებისა და იურისდიქციის (ავტოკეფალიის) არაკანონიკური შევიწროება მოჰყვა, არამედ მრავალი რელიგიური ცენტრის აღგვა პირისაგან მიწისა მთელს კავკასიაში.

ბოლო სამი ათწლეული ხასიათდება ხელოვნურად შექმნილი რთული ვითარებით აფხაზეთთან, ოსებთან, რუსებთან. ამ ერების წარმომადგენლები დღეს თავისუფლად და შეუზღუდავად ცხოვრობენ საქართველოში, თუმცა ქართული სახელმწიფოს მიერ ვერკონტროლირებად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამაჩაბლოში) განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად, აქ თითქმის აღარ ცხოვრობენ ქართველები ან განიცდიან უკიდურეს შევიწროებას^{10, 11}. დიალოგის ფარგლებში ყურადღება უნდა მიექცეს ამ რეგიონში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სავალალო ბედს.

კულტურათა და რელიგიათა შორის დიალოგის ერთ-ერთი მოთავე და ხელშემწყობი გახლავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. მისი ინიციატივით ჩატარებულია არაერთი სამშვიდობო ფორუმი, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა, კულტურის მოღვაწეებმა, პოლიტიკურმა და რელიგიურმა ლიდერებმა.

ჯერ კიდევ 2001 წლის 29 მაისს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე გაეროს პროგრამის - „ცივილიზაციათა დიალოგის“, ჩარჩოებში შეხვდა ირანის ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებსა და სასულიერო პირებს. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა აღნიშნა: **„ჩვენ უნდა ვანარმოთ დიალოგი ცივილიზაციათა შორის. დღევანდელი მდგომარეობა მსოფლიოში საგანგაშოა და რელიგიას ეფექტურად შეუძლია მოაგვაროს არსებული უთანხმოებები“**.

ქართული ეკლესია აქტიურად თანამშრომლობს გაეროსთან, ევროსაბჭოს წარმომადგენლობასთან, კონრად ადენაუერის ფონდთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. 2004 წლის შემოდგომაზე გაიმართა ორდღიანი საერთაშორისო ფორუმი „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი“, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ინიციატივითა და საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდნენ ნატოს, რომის კლუბისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების,

⁸ Eischiz L. Evrei v Gruzii: 26 vekov vmeste [Jews in Georgia: 26 centuries together]. – Lechaim, 2001, September.

⁹ მამისთვალაშვილი ე. ქართველ ებრაელთა ისტორია. – <http://www.georgianjews.org/stat.php?id=113&lang=gr>.

¹⁰ გიორგი ცაგარეიშვილი. საქართველოში მხოლოდ ქართველი ერის უფლებები ილახება... – 2 აპრილი, 2011.

¹¹ ქართულ-რუსული დავის განხილვა ჰააგის სასამართლოში. – 24 საათი. – 24 სექტემბერი, 2010.

მსოფლიო საპატრიარქოს, რუსეთის, პოლონეთის ეკლესიების, კავკასიის მუსლიმანთა სამართავლოს, მრავალი ქვეყნის სხვადასხვა მრწამსისა და აღმსარებლობის წარმომადგენლები. ფორუმის მონაწილეებმა იმსჯელეს ცივილიზაციათა შეჯახების საფრთხეებსა და მათი აცილების გზებზე, გლობალიზაციასა და ეროვნული სუვერენიტეტის პრობლემებზე.

დასკვნა:

როგორც დავინახეთ, დიალოგში მშვიდობისათვის ჩვენ მიერ ორი პარალელური პროცესი იქნა გამოყოფილი: დიალოგი რელიგიურ და სეკულარულ წრეებს შორის და ინტერრელიგიური დიალოგი.

ამასთან, ჩვენი მიზანი იყო ინტერრელიგიურ და ინტერკულტურულ კომუნიკაციებში საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ასევე ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებსა და განსხვავებულ კულტურათა შორის დიალოგისა და ტრანსკულტურული პოლილოგის ხელშემწყობის, ერთგვარი მედიატორის, როგორც უძველესი ცივილიზაციის ქვეყნის საერთაშორისო ფუნქციის გამოკვეთა, რომელიც შესაბამისი კულტურული მემკვიდრეობის მატარებელიცაა და დამცველიც, ანუ ხასიათდება ტრანსკულტურული კომუნიკაციური კომპეტენტურობის სარწმუნოდ მაღალი დონის მაჩვენებლებით.

ADAM (AKHALADZE)
Georgian Orthodox Church
MD, Ph.D, SciD, Dr.h.c., Professor

THE CHURCH IN THE SERVICE OF THE PEACEFUL COEXISTENCE OF PEOPLES AND TRANSCULTURAL POLYLOGUE IN THE MODERN WORLD

Both in each state and in the whole world the preservation and consolidation of peace can not be imagined without adequate assessment and incorporation factors of the religious dimension. The religious dimension is in itself a versatile, polymorphic, complex, multi-factorial and multi-confessional. This feature applies not only to the sphere of religion, but all that space, of which religion is. We have in mind the cultural dimension.

In the dialogue for peace, which we view as a component of transcultural polylogue, we released two running in parallel processes: (a) the dialogue between the religious and secular communities and (b) interreligious dialogue.

The aim of our report was also to highlight and emphasize the international role of Georgia in the inter-religious and inter-cultural relations, as the mediator, facilitates dialogue and transcultural Polylog between countries of different cultures – the Nations of the East and West, North and South, Europe and Asia, the Old and the New World, the First, Second and third Worlds. This concept is based on the fact that being a country of one of the oldest civilizations Georgia is both the carrier and the custodian of this cultural heritage, i.e. is characterized by a fairly high rate of transcultural communicative competence.

ინტერრელიგიური დიალოგი გვიდობისათვის

მაქვს პატივი, საქართველოს ებრაელთა სახელით მოგესალმოდ კონფერენციის – „ინტერრელიგიური დიალოგი გვიდობისათვის“, მონაწილეებს, რომლებსაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მასპინძლობს.

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ჩვენთვის, ქართველი ებრაელებისათვის, დიდი პატივია, რომ ვცხოვრობთ საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ტოლერანტობის დღე აღინიშნება ყოველდღე ქართველი ხალხისა და ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანის ცხოვრების წესით. ამის დასტურია ისიც, რომ საქართველოში მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს და ლოცულობს სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის ადამიანი; ამის დასტურია პატარა იერუსალიმად წოდებული ძველი თბილისის ერთი მონაკვეთი, სადაც ერთმანეთის გვერდით იხილავთ ყველა სარწმუნოების სალოცავს.

საქართველოში ჩვენ ვხვდებით ქრისტიანების, მუსლიმანებისა და ებრაელების მრავალსაუკუნოვანი, მშვიდობიანი თანაცხოვრების გამორჩეულ მაგალითებს. ჩვენი, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეების, განსაკუთრებით კი სასულიერო პირების, საერთო ამოცანაა მომავალი საუკუნეების განმავლობაშიც შევინარჩუნოთ ასეთი თანაცხოვრება.

თითოეული ჩვენგანი აცნობიერებს იმ მნიშვნელობას, რაც კულტურათა შორის დიალოგს მოაქვს მშვიდობის შენარჩუნებაში. ჩვენი რეგიონის ქვეყნები განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგას. ამ გამოწვევებს კი განაპირობებს ტრადიციულად მრავალეთნიკური საზოგადოების და მნიშვნელოვანი რაოდენობით უმცირესობების არსებობა. მრავალრელიგიურ საზოგადოებას განსაკუთრებულად ფაქიზი მიდგომა ესაჭიროება, რათა შენარჩუნებულ და დაცულ იქნეს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ერისა და სარწმუნოების უფლებები. ეს კი, საერთო ჯამში, ქვეყანაში მშვიდობის განმტკიცებას, მისი მოსახლეობის კეთილდღეობას ემსახურება, რაც, თავისთავად, ძლიერი სახელმწიფოს საფუძველია.

1995 წელს საფრანგეთში, პარიზში, ხელი მოეწერა ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაციას, რომლის თანახმადაც ტოლერანტობა – „მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, გახსნილობა, ურთიერთობა, აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა – ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არა მარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც. ტოლერანტობა – სათნოებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობას და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას ეხმარება“. სამწუხარო დამთხვევაა, რომ რამდენიმე დღის წინ, სწორედ საფრანგეთში, ქალაქ ნიცაში, მოხდა ვანდალური ტერორისტული აქტი, რომელმაც შეძრა მსოფლიო. ასევე შემადრწუნებელია ისრაელში, თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გახშირებული ტერორისტული აქტები. ჩემი აზრით, ეს არის ტოლერანტობისა და დემოკრატიული აზროვნების არასწორი გაგების შედეგი.

ბოლო წლებში, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც, გააქტიურდა ტოლერანტობას ამოფარებული სხვადასხვა ჯგუფი, რომელიც ასრულებს რა შემკვეთის დავალებებს,

ცდილობს სხვადასხვა ხერხით და მედია საშუალებების გამოყენებით საზოგადოებას თავს მოახვიოს და დააკანონოს სამყაროსა და თვით ადამიანის არსის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, რაც მიუღებელია მრავალეთნიკური საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის. ცნობილი ავსტრიელი ფილოსოფოსი კარლ პოპერი წიგნში „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ წერდა: „შეუზღუდავი ტოლერანტობა მიდის ტოლერანტობის გაქრობისკენ. თუ არატოლერანტებს შეუზღუდავი შემწყნარებლობით მივუდგებით, თუ არ ვართ მზად ტოლერანტული საზოგადოება დავიცვათ არატოლერანტების შემოტევისგან, მაშინ ტოლერანტი და მასთან ერთად, ტოლერანტობა განადგურდება“. ამ ფორმულირების ციტირებით არ ვგულისხმობ, რომ ვთქვათ, არატოლერანტულ ფილოსოფიათა გაჟღერება უნდა ჩავახშოთ; სანამ შეგვიძლია, რაციონალური არგუმენტით უნდა დავუპირისპირდეთ და საზოგადოებრივი აზრით უნდა შევაკავოთ ის, ხოლო მათი აკრძალვა ნამდვილად არაგონივრული იქნებოდა. ამავდროულად, ჩვენ უნდა გვქონდეს უფლება, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ისინი ძალითაც კი ჩავახშოთ, რადგანაც, შესაძლებელია, არც კი იყვნენ მზად ჩვენთან რაციონალური არგუმენტებით დებატებისთვის, არამედ პირიქით, შესაძლოა, დაგმონ ყველანაირი არგუმენტი. მეტიც, შესაძლოა, მიმდევრებს რაციონალური არგუმენტისთვის, როგორც ცბიერებისთვის, ყურის დაგდებაც კი აუკრძალონ და არგუმენტებზე მუშტებითა და პისტოლეტებით პასუხი ასწავლონ. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ისლამის, იუდაიზმისა და ქრისტიანობისთვის. სამი მონოთეისტური რელიგია საფუძველს ქმნის ურთიერთდაკავშირებული იდენტობების ჩამოსაყალიბებლად. ამგვარად, მთავარი მიზანი ისაა, რომ ამ რელიგიათა სწავლება და რელიგიათაშორისი ურთიერთობები მიმართული იყოს მშვიდობის დასამყარებლად და განსამტკიცებლად. დიალოგი შეიძლება ემყარებოდეს (და თავად ქმნიდეს) რეალობას, რომელიც აერთიანებს ინდივიდებს. ურთიერთნდობა რომ გაჩნდეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის ჩვენებას, თუ რამდენად მსგავსია და რამდენი საერთო აქვს ამ სამ რელიგიას ერთმანეთთან.

ინტერკულტურული და ინტერრელიგიური დიალოგი ესაა დიალოგი განსხვავებული კულტურული და რელიგიური იდენტობის მქონე ინდივიდთა შორის; ამიტომ პროცესის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მონაწილეთა მიერ, ერთი მხრივ, იდენტობის, მსგავსების, ხოლო, მეორე მხრივ, გასხვავების, სხვაობის აღქმაზე. ტოლერანტობა ეს ადამიანის აქტიური პოზიციაა, რომელსაც იგი ავლენს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაძლებელია ბავშვს მიმბაძველობით, სწავლის შედეგად განუვითარდეს ე.წ. ტოლერანტული ქცევისათვის დამახასიათებელი ჩვევები, რაც ამ ჩვევების ჩამოყალიბებისას ბავშვის მიერ არ იყოს გააზრებული (შინაარსის, მიზეზებისა თუ მიზნების თვალსაზრისით) ინტელექტუალურად, მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ ასეთი ქცევა დამახასიათებელი იყოს იმ გარემოსთვის, რომელშიც იზრდება ბავშვი. ამ გარემოს შექმნაზე, პირველ რიგში, უნდა ზრუნავდნენ სახელმწიფო და სასულიერო პირები. განუზომლად დიდია სკოლისა და ოჯახის როლი ამ საქმეში, მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ ყველა ოჯახი უზრუნველყოფილი იყოს ფინანსურად, რადგან ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რაზედაც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები. სახელმწიფო ვახსენე და არ მინდა, გვერდი ავუარო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნის პოზიტიური როლის მნიშვნელობას რელიგიათაშორისი ურთიერთობების გაღრმავებაში, რასაც დიდი და დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მშვიდობის განსამტკიცებლად. რელიგიის სააგენტოს დახმარებით ჩვენ კიდევ უფრო მეტი მიზეზი და საშუალება გვაქვს, განვამტკიცოთ საქართველოში ტრადიციულად ჩამოყალიბებული სხვადასხვა ერისა და რელიგიის მშვიდობიანი თანაცხოვრება. ჩვენს ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა და ისტორიის სახით მყარი ფუძე, ბევრისათვის ამოუხსნელი ფენომენი აქვს, მაგრამ ჩვენ ამით თვითკმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ და ძალა და გონება არ უნდა დავი-

შუროთ იმისთვის, რომ მომავალშიც, მრავალი საუკუნეების განმავლობაში, საქართველო იყოს სამაგალითოდ გამორჩეული, მშვიდობიანი და ტოლერანტული ქვეყანა.

მოგინოდებთ და გთხოვთ ყველას: გვიყვარდეს ადამიანი, რადგან ყველაზე საუკეთესო, რაც შექმნა გამჩენმა, არის ადამიანი და სიყვარული, ხოლო ტოლერანტობა არის გააზრება იმისა, რომ ადამიანი ადამიანია და ის წარმოადგენს კაცობრიობას. ვინაიდან მშვიდობა, სიყვარული და თანადგომა ყველა რელიგიისთვის უზენაესი სულიერი ფასეულობებია; ვინაიდან ტერორიზმი სპობს არა მარტო ადამიანებს, არამედ ადამიანის მიერ შექმნილ კულტურასა და სულიერ სიკეთეებს; გთხოვთ დამიჭიროთ მხარი, რათა ერთად დავგმოდოთ ნებისმიერი სახის ძალადობა, მტრობა, მკვლევლობა და ტერორიზმი, მით უფრო, განხორციელებული ამა თუ იმ რელიგიის სახელით, რადგან ეს არა მხოლოდ სპობს ღმერთის ქმნილებას – ადამიანს და მის მიერ შექმნილ კულტურას, არამედ ამახინჯებს და შეურაცხყოფს თავად ღმერთს და მის სიტყვას, რადგან ძალადობა რელიგიის სახელით არის ძალადობა რელიგიის წინააღმდეგ, სიძულვილი ღმერთის სახელით – არის სიძულვილი თავად ღმერთისა. ხელი შევუწყობთ ინტერრელიგიურ დიალოგს, როგორც რელიგიათა ურთიერთდაახლოების, ხელშეწყობისა და რელიგიათა შორის გაუცხოების, სტერეოტიპული ურთიერთაღქმისა და შუღლის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედით საშუალებას; ვთავაზობთ პარტნიორობას საქართველოში მოქმედ ყველა რელიგიურ გაერთიანებას, სახელმწიფოს, სამეცნიერო წრეებსა თუ სამოქალაქო ინსტიტუტებს, მშვიდობისა და ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და ძალადობისათვის ყოველგვარი რელიგიური ნიღბის ჩამოსახსნელად ძალისხმევა მიემართოს სათანადო რელიგიური განათლების უზრუნველსაყოფად, რათა გაიზარდოს ქვეყნის რელიგიური და სულიერი ღირებულებებისადმი რწმენა, როგორც სასულიერო პირებში, ასევე მრევლში და მოესპოს ნიადაგი დამახინჯებულ, ფსევდორელიგიურ და ფუნდამენტალისტურ მიმართულებებს;

გავაძლიეროთ ჰუმანიტარული და სოციალური აქტივობები, რათა საზოგადოებაში გამყარდეს რწმენა, რომ რელიგია წარმოადგენს არა მხოლოდ ტრანსცენდენტული ქვეყნის განზომილებას, არამედ ადამიანთა ყოფითი საჭიროებების მიმართ მაღალი მგრძობელობისა და პასუხისმგებლობის მქონე სიკეთეს;

მივმართავთ სახელმწიფოს, კიდევ უფრო განავითაროს რელიგიურ თემებს შორის რეგულარული, გამჭვირვალე, ღია და გულახდილი დიალოგისათვის საჭირო მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის დასამკვიდრებლად აუცილებელ თანამშრომლობას, გააძლიეროს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული უფლებებით სარგებლობის საკანონმდებლო გარანტიები და პოლიტიკა, უზრუნველყოს ანტიდისკრიმინაციული გარემოს დამკვიდრება და განახორციელოს სათანადო ანტიტერორისტული ღონისძიებები; მივესალმებით სახელმწიფოს ინიციატივას, რათა ხელი შეუწყოს საქართველოში სამაგალითო ტოლერანტული ტრადიციის გამყარებასა და პოპულარიზაციას ახალგაზრდა თაობებში და გამოვთქვამთ მზადყოფნას, რათა ერთობლივი თანამშრომლობა განვითარდეს ჩვენ ქვეყანაში ურთიერთშემწყნარებლობისა და თანაცხოვრების კულტურის კიდევ უფრო გასამტკიცებლად.

ჩვენ ყველას გვწამს ერთი გამჩენის, რომლის ერთ-ერთი სახელია მშვიდობა, ამიტომ ჩვენ გვაკისრია მოვალეობა, ყველაფერი ვილონოთ მშვიდობის განსამტკიცებლად.

მოგინოდებთ, ვეძებოთ და ვიპოვოთ ერთმანეთში მხოლოდ სიკეთე, რაც ყველას ერთად გაგვაძლიერებს.

BENSION ISRAELASHVILI
Rabbi

INTERRELIGIOUS DIALOGUE FOR PEACE

on behalf of Jews of Georgia I have the honor to welcome the participants of the Inter-religious Dialogue for Peace conference, hosted by the State Religious Affairs Agency.

For the very first, I would like to stress that we, Jews of Georgia, are the mostly honored to live in Georgia, the country celebrating the Day of Tolerance every day – according to rules and manners of the lifestyle of Georgians and all other nationalities residing in the country. The fact is proven by centuries people of numerous nationalities and faiths living and praying in Georgia side by side – and a small part of the Old Tbilisi is said to be the Little Jerusalem, where the shrines of all religions are located each one next to another.

Georgia stands for many centuries of peaceful cohabitation ideal examples from Christians, Muslims and Jews. Being citizens of the country, and especially – the priesthood, our common task and responsibility is to secure and prolong this peaceful cohabitation for many future centuries as well.

We totally understand the importance of intercultural education is vital to keep the peace.

In recent years, both in the world and in Georgia certain groups acting under the cover of tolerance have become more active, as per requests and instructions from their patrons, in trying various methods – mass media usage inclusive – to impose the community and legitimize destructive actions against the world and even human beings, what is unacceptable to the vast majority of multi-ethnic Population of Georgia.

The inter-cultural and inter-religious dialogue is the dialogue among individuals with different cultural and religious identity; and the success of the process depends significantly on the perception of participants' both similarity – and difference.

I urge and please everyone to love the human, because love and human are the most best of the Creator, and the tolerance means understanding of the fact that the human is human, thus representing the humankind.

As peace, love and mutual support are supreme spiritual values for every religion – I appeal for your support to condemn any kind and form of violence, enmity, murder and terrorism, especially being committed in the name of any religion.

We must support the inter-religious dialogue, as it stands for measures to converge religions mutually – and combats estrangement, mutual stereotypical perception and incitement effectively; we offer the partnership to all religious unions, as well to state and scientific communities or civil institutions based in Georgia, in order to progress with the growth of peaceful and tolerant culture – and to remove all kinds of religious covers for violence.

We appeal to the government for further development of measures necessary for the regular, transparent, open and honest inter-religious dialogue on religious topics. We welcome the government's initiative to support strengthening and promotion of the exemplary tradition of tolerance with younger generations in Georgia, and we express our readiness for mutual cooperation to develop mutual tolerance and peaceful living together culture strengthens even more.

We urge you to seek and find only the good with one another, thus we will become stronger – all together.

დიალოგის არსი და მნიშვნელობა ინტერრელიგიურ ჰროცესებში

1. კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური დოკუმენტები

ყველა რელიგია თავის პრეტენზიას აცხადებს არა მხოლოდ ჭეშმარიტების შესახებ, არამედ აყალიბებს კიდევ ცხოვრების კონკრეტულ ფორმას კულტურული, პოლიტიკური, სოციალური თუ ანთროპოლოგიურ-მსოფლმხედველური სახით. შესაბამისად, რელიგიათა პრაქტიკული ცხოვრება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, რომლის მტკივნეული გამოვლინება ვიხილეთ არა მხოლოდ ევროპული ისტორიის მაგალითზე. ისტორიის ტრაგიკული გამოცდილების გათვალისწინებით, ისტორიულ მიღწევად შეიძლება მივიჩნიოთ რწმენისა და რელიგიის თავისუფლების საყოველთაო აღიარება, როგორც ცივილიზაციური განვითარებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებელი ფუნდამენტი. თუმცა, ამ აღიარების მიუხედავად, მისი პრაქტიკული განხორციელების მცდელობა მაინც ყველა საზოგადოების დიდ გამოწვევად გვევლინება. ვატიკანის მეორე კრება ცალკე დოკუმენტად აყალიბებს საკუთარ პოზიციას, როგორც შიდაქრისტიანული ეკუმენიზმის (ნიტატის რედინტგრაციო), ასევე სხვა რელიგიებთან დამოკიდებულების (ოსტრა აეტატი) შესახებ, სადაც ხაზგასმულია გლობალიზაციის პროცესი და მასში მშვიდობისათვის, ერთიანობისაკენ სწრაფვის აუცილებლობა. კრება ხაზს უსვამს, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, თუ რა გვაერთიანებს და რა გვყოფს საზოგადოებებსა და რელიგიებს ერთმანეთისაგან (. 440). თუმცა, ზემოთქმულის გააზრების გარდა, ეკლესიის დოკუმენტები, ენციკლიკები თუ პაპის ოფიციალური განცხადებები საუბრობს საზოგადოებრივი ცხოვრების წესრიგზე, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთმიტევების აუცილებლობაზე, სამართლიანობის დაცვაზე, საზოგადოებებსა და ერებს შორის სოლიდარობაზე, ინდივიდუალური თავისუფლების დაფასებასა და საყოველთაო პასუხისმგებლობაზე. იოანე პავლე მეორის ენციკლიკა – უტ უნუმ სინტი, ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქრისტიანთა შორის ერთიანობას, რომელიც ურთიერთმიტევებისა და თავისუფლების პატივისცემაზე მყარდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თავისუფლების ეს აღიარება არ წარმოადგენს ერთმანეთისადმი გულგრილობისა და უინტერესობის გამოვლინებას, არამედ – ზრუნვისა და ურთიერთდახმარებისათვის მზაობას, რომელიც გადაიქცევა არა მხოლოდ მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძვლად, არამედ ინტერრელიგიური და ინტერკონფესიური დიალოგისათვის აუცილებელ წინაპირობად.

პაპის დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ შეუძლებელია მშვიდობის დამყარება და ჰარმონიული თანაცხოვრება, თუკი არ იქნა დაცული ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. უნდა აღმოიფხვრას დისკრიმინაცია რწმენის, რასის, კულტურის, სქესის მიხედვით. ყველას უნდა მიეცეს განათლების მიღების, ჯანმრთელობის დაცვის, სათანადო კვებისა და დასვენების უფლება და შესაძლებლობა. ტანჯვასა და ტკივილს, რომელიც ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, ადამიანი ღირსებით უნდა მიუდგეს. მისი ღირსება ღმერთის ქმნილების მშვენიერების გამოხატულებაა. სოციალური სამართლიანობა, ტანჯულთა შეწევნა, დაუცველთა თანადგომა, ის პასუხისმგებლობაა, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების წესად უნდა იქცეს. იმედი და ლოცვა ძალას სძენს ადამიანს და საზოგადოებას მეტად ჰუმანურს ხდის.

რელიგიათა შეხების ნერტილი უნდა იყოს სიცოცხლისადმი პატივისცემა, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა და სამყაროსათვის ზრუნვა, რომელიც კოორდინირებასა და დიალოგს საჭიროებს. ამ წინაპირობათა გაცნობიერება ნათელყოფს დიალოგის, როგორც საკუთარი მრწამსისა და მოქმედების გამოხატულების, აუცილებლობას.

2. დიალოგის აუცილებლობა, როგორც რელიგიური მრწამსის გამოხატულება და განხორციელება. შექმნა რა ღმერთმა ადამიანი, ის შედის მასთან კომუნიკაციაში და ცდილობს გაუზიაროს ჭეშმარიტება. შესაბამისად, უფლის გამოცხადება დიალოგური სახისაა და დიალოგში ცხადდება ადამიანისათვის განკუთვნილი ღვთის ჩანაფიქრი. ამას მონაწილეობს ძველი და ახალი აღთქმის ნერილები, რომლებიც ადამიანსა და ღმერთს შორის განვითარებულ დიალოგს აღწერს. შესაბამისად, დიალოგს ბიბლიური საფუძვლები აქვს და მიზნად ისახავს ახალი ცხოვრების შექმნას. იგი არაა უბრალოდ საუბარი ან თვითპრეზენტაცია, არამედ მიმართულია ჭეშმარიტების თანაზიარებისაკენ. დიალოგი არც ყალბი კომპრომისის ძიებაა და არც დიპლომატიური პოზიციონირება ან რაიმე სინკრეტული აზრის ჩამოყალიბების მცდელობა. ნამდვილი დიალოგი ორ პარტნიორს შორის განვითარებული პროცესია, რომელიც პარტნიორთა პოზიციას ითვალისწინებს, მათ იდენტობას მოიაზრებს და მკაფიო აზრის ქონას მოითხოვს.

დიალოგი უაზრო პოლემიკის, მართალ-მტყუანის მტკიცებისა თუ აზრთა ფორმალური პოზიციონირებისაგან განსხვავებით, ცდილობს განსაზღვროს ზოგადადამიანური და რელიგიური (მათ შორის ქრისტიანული) საფუძველი, აზროვნებისა და არსებობის საერთო სივრცე, რომელიც ურთიერთობათა ამოსავალ ნერტილად იქცევა. იგი აფიქსირებს იმ საერთო პრინციპებს, რომელიც ფიქრის პროცესს გასდევს და მათი გათვალისწინებით როგორც საკუთარ, ასევე უცხო პოზიციებში ჩაღრმავებას ესწრაფვის. აქედან გამომდინარე, დიალოგი ყოველისმომცველ ჭეშმარიტებასთან მიახლოებას ნიშნავს. დიალოგი, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავში იკეტება და არ ცდილობს განსხვავებულის გააზრებას, არ იმსახურებს ჭეშმარიტებას. შესაბამისად, ყალბი და ნამდვილი დიალოგის განსაზღვრა თვით ცხოვრებისა და ჭეშმარიტების მოთხოვნაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ უცხოთან დიალოგი და მისდამი გახსნილობა საკუთარი ჭეშმარიტების ღალატი კი არა, არამედ მისი საფუძვლის ძებნა, საკუთარის გამყარებისა და განვრცობის სურვილია. აქედან გამომდინარე, შეიძლება მასში წინა პლანზე წამოწეულ იქნეს ის პრინციპები, რომელიც ნებისმიერი სახის დიალოგში თავს იჩენს. მათი გაცნობიერება და მკაფიო აღიარება ურთიერთობათა ჯანსაღი გარემოს შექმნის ტოლფასია.

3. საყოველთაო პრინციპები დიალოგურ პროცესში:

1) დიალოგი, როგორც თავისუფლების გამოხატულება. თუ პარტნიორთა შორის რომელიმე იძულების ქვეშაა, მათ შორის განვითარებული პროცესი ვერ შეფასდება დიალოგად.

2) ჭეშმარიტების აღმატებულება, საყოველთაო პარტიკულარულ (კერძო) მოცემულობასთან მიმართებაში. სანამ ადამიანი ისტორიული პროცესის მსვლელობაშია, იგი ჯერ კიდევ არ ფლობს საბოლოო ჭეშმარიტების სისავსეს. მისი ყოფიერების საზრისიც საბოლოო გამოვლინებას პროცესის ბოლოს პოულობს.

3) გონივრულობა, როგორც დიალოგის აუცილებელი კრიტერიუმი. ყოველი მსჯელობა და საკუთარი პოზიციის დაცვა თუ წარმოჩენა გონების აქტია. შესაბამისად, გონივრულობა წარმოადგენს, როგორც საერთო არეალს საარსებო და საკომუნიკაციო ურთი-

ერთობებისათვის და ასევე დიალოგის აუცილებელ კრიტერიუმს. მისი უარყოფა ნიშნავს საკუთარ თავთან წინააღმდეგობას. აქვე უნდა ითქვას, რომ გონივრულობა არ ნიშნავს რელიგიურ ჭეშმარიტებასთან წინააღმდეგობას, რომელიც თავისი ბუნებით ადამიანურ ლოგიკას აღემატება. თუმცა ეს ლოგიკა ჭეშმარიტების შემადგენელი ნაწილია და მისი გადაცემის შესაძლებლობას განაპირობებს.

4) საყოველთაო პრინციპების აღიარება, როგორც საკუთარი რეალობის პატივისცემა.

არ აღიარო ის, რაზეც დგას საკუთარი ცნობიერება, ნიშნავს საკუთარ თავთან წინააღმდეგობას. არ აღიარო სხვაში ის, რასაც საკუთარ თავში აღიარებ, ისევე საკუთარის უპატივისცემლობაა, რადგან საკუთარი ჭეშმარიტება მტკიცდება იმ პრინციპებით, რომელიც უნივერსალურია.

4. დიალოგის საფეხურებრიობა. დიალოგი, როგორც უკვე აღინიშნა, განსხვავებულ პარტნიორებს შორის ვითარდება და ამგვარად, განსხვავებულ არგუმენტირებას, მეტოდურ, თანმიმდევრულ, თუნდაც დიფერენცირებულ მიდგომასაც მოითხოვს. თუმცა, ამასთანავე, დიალოგის ერთი უნივერსალური ფორმისა და მიდგომის განსაზღვრა ეწინააღმდეგება ჭეშმარიტების მრავალფეროვან გამოვლინებას და მისი შესაძლებლობების ჰორიზონტს. შესაბამისად, ეს ჰორიზონტი რომ არ დაიბინდოს, დაიხშოს, მხედველობაში მისაღებია მისი ხელისშემშლელი ფაქტორები:

5. დიალოგის ხელისშემშლელი ფაქტორები:

- 1) განსხვავებული მიზნობრიობა, შედეგის განსხვავებული ხედვა (ეკლესიებს შორის განსხვავებული ეკლესიოლოგიური ხედვა);
- 2) განსხვავებული საკომუნიკაციო ინსტრუმენტარიუმი, კულტურული, პოლიტიკური და ენობრივი ბარიერები, არასაკმარისი ცოდნა პარტნიორების შესახებ;
- 3) განსხვავებული ამოსავალი წერტილის დაუფასებლობა, კონტექსტთა გაუთვალისწინებლობა;
- 4) სიმართლის ინსტრუმენტალიზება და ურთიერთობებში პრიორიტეტთა განსაზღვრის გაუთვალისწინებლობა.

6. დიალოგი და კითხვა საკუთარი იდენტობის შესახებ. დიალოგი პარტნიორს მოიაზრებს, როგორც საკუთარი პოზიციის წარმოდგენისა და განსაზღვრული იდენტობის მქონეს. თუმცა, იდენტობა არ წარმოადგენს საკუთარ თავში ჩაკეტილ ცნობიერებას, არამედ იგი ღია პროცესის, ურთიერთობებით ჩამოყალიბებული და საკუთარი საზრისის მაძიებელი, სრული, თუმცა, არასდროს დასრულებული სიდიდეა. ამიტომ ყოველი ადამიანისა თუ საზოგადოების იდენტობა არ არის სადღაც წარსულში დასრულებული, უცვლელ სიდიდედ მოცემული ათვლის სათავე, არამედ იგი წარმოადგენს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობილ მომავლის ორიენტირს, რომელიც მუდმივ განახლებას, გაღრმავებასა და გამდიდრებას საჭიროებს. შესაბამისად, ქრისტიანული იდენტობაც საკუთარ თავში ჩაკეტილი ღმერთის ძიებას კი არ წარმოადგენს, არამედ ყოველ ადამიანში უფლის შემხვედრ გამოცდილებას. ყოველი შეხვედრა კი აღსრულდება მხოლოდ დიალოგის აქტში, რომელიც არა მხოლოდ საკუთარი იდენტობის ამოცნობის, არამედ მისი შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფილების გამოცდილების საშუალებას იძლევა.

იდენტობის ასეთი გახსნილი გაგებიდან გამომდინარე, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების ჰორიზონტში იკვეთება, დიალოგის აუცილებლობა კიდევ უფრო მკაფიოა და იგი არა მხოლოდ იდეათა გაცვლაა, არამედ ნიჭთა და სიკეთეთა გაზიარებასაც ნიშნავს. ამიტომ დიალოგი არ იფარგლება თეორიული მინიშნებებით, არამედ კონკრეტულ თანაცხოვრებაში უნდა გადაიზარდოს. ცხოვრებისეულ კონკრეტულ გამოცდილებას, ეგზისტენციალურ საჭიროებას უფრო მეტი ძალა და დამაჯერებლობა აქვს, ვიდრე თეორიულ ცოდნასა თუ იდეურ მიმზიდველობას. ამიტომ დიალოგი ცხოვრების წესად უნდა იქცეს და ცხოვრებას ახალი საზრისი უნდა შესძინოს.

არქიმანდრიტი ხორენ ჰოვანისიანი
სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია

გავიხსოვოთ, მივიღოთ ერთმანეთი და ვიყოთ ბოლერანბაულები

თავისუფალი ნება ადამიანისათვის შემოქმედის მიერ ბოძებული უდიდესი ჯილდოა. მსოფლიო მრავალფეროვანია, ტრადიციული ისტორიული რელიგიების – იუდეველობის, ქრისტიანობის, ისლამის გვერდით არსებობს, აგრეთვე, სხვა რელიგიური ორგანიზაციები და კონფესიები. ისტორიის განმავლობაში, კაცობრიობას მრავალჯერ განუცდია მღელვარება ომების, გენოციდების, გადასახლებების გამო. მსოფლიო დღესაც აღელვებულია: შუა აღმოსავლეთში მცხოვრები ხალხი ომის ცეცხლშია გახვეული; ადამიანების ერთი ჯგუფი მეორეს კლავს და ანადგურებს ღვთისა და რელიგიის სახელით; ანადგურებს ტაძრებსა და ზოგადასაკაცობრიო ღირებულებისა და მნიშვნელობის მქონე კულტურულ ძეგლებს, მაგრამ ეს ბოროტმოქმედები უფალს არ ეზიარებიან. სამწუხაროდ, კაცობრიობამ ათასწლეულების განმავლობაში ვერ ისწავლა ღმერთისა და სარწმუნოების გულისთვის თავისი მსგავსის პატივისცემა, შეწყნარება და სიყვარული.

ან გარდაცვლილი ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი გარეგინ პირველი ამბობდა, რომ გულგრილობა მერვე მომაკვდინებელი ცოდვაა: როდესაც ხედავ ღვთის მიერ შექმნილი სხვა ადამიანის ტკივილს, გაჭირვებას, მწუხარებას, შიმშილს, ავადმყოფობას და არაფერს აკეთებ მის დასახმარებლად, ცოდვას ჩადიხარ.

ჩვენ, საქართველოში მცხოვრებ ქრისტიანული ეკლესიების მიმდევრებს, ებრაულ სათვისტომოს, მუსლიმანებს, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს, როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ ამჟამად მსოფლიოსა და, განსაკუთრებით, შუა აღმოსავლეთში მცხოვრებ მძიმე მდგომარეობაში მყოფ ხალხებს, როგორ შეგვიძლია გულგრილნი არ დავრჩეთ მათი ტკივილისადმი? ჩვენ არ გაგვაჩნია მრავალათასიანი ჯარი და სათანადო იარაღი, რათა დავეხმაროთ და სიკვდილის კლანჭებისგან ვიხსნათ გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხი, დაუცველი ბავშვები და მოხუცებულები. ამის გაკეთება მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოებს ძალუძთ, რომელთა მატერიალური და სამხედრო ძალა მათ თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკის კარნახისა და განხორციელების შესაძლებლობას აძლევს. ვილოცოთ, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას ძლევა მოსილი სახელმწიფოების ლიდერები გულგრილნი არ იყვნენ, არამედ ახსოვდეთ და გულმონყალება გამოიჩინონ გაჭირვებულთა და მძიმე მდგომარეობაში მყოფთა მიმართ.

ჩვენ, საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლებს, შეგვიძლია საქართველოში მშვიდობიანი, ტოლერანტული თანაცხოვრებითა და ერთმანეთის მიმართ პატივისცემით, ჩვენი ცხოვრების წესი და ანდერძი დავუტოვოთ მსოფლიოსა და მომავალ თაობას. ამგვარად, ჩვენი შვილების აღზრდით უმცირესს გავაკეთებთ, რათა ისინი გულგრილნი არ იყვნენ სხვისი ტკივილისა და გაჭირვების მიმართ და გააცნობიერონ, რომ განსხვავებულობა მოწინააღმდეგეობას ან მტრობას არ ნიშნავს.

უკეთესი საქართველოსა და უკეთესი მსოფლიოსთვის ჩვენ ვალდებულნი ვართ, არა უარვყოთ და არასათანადოდ დავაფასოთ სხვა ეროვნების ან სხვა რელიგიის წარმომადგენლები და უმცირესობები მათი განსხვავებულობის გამო, არამედ პატივი ვცეთ და მივი-

ლოთ ისინი ისეთნი, როგორებიც არიან. ჩვენი განსხვავებულობა და არაერთგვაროვნება კი არ გვაშორებს, არამედ გვამშვენებს. წმიდა წიგნი გადმოგვცემს შემდეგს: „გიყვარდეთ ერთმანეთი“, ის არ გვასწავლის, რომ გვიყვარდეს კონკრეტულად ებრაელი, ქრისტიანი, მუსლიმი ან სხვა რელიგიისა თუ ეროვნების წარმომადგენელი, არამედ ამბობს: გიყვარდეთ ერთმანეთი, ანუ ყველა. ჩვენი სილამაზე ჩვენს მრავალფეროვნებაშია. როგორი სამწუხარო იქნებოდა, რომ ყველა ერთნაირები ვყოფილიყავით, ერთნაირი აზროვნება და ვარცხნილობა გვქონოდა, ერთი და იგივე სამოსი გვცმოდა. სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების წარმომადგენელი საქართველოს სიმდიდრეა. ჩვენმა საზოგადოებამ ამ მრავალფეროვნებიდან მაქსიმალურად დადებითი უნდა აიღოს. საქართველოში სხვადასხვა ეროვნების ურთიერთპატივისცემასა და მშვიდობიან თანაცხოვრებას ალტერნატივა არ გააჩნია.

ჩვენ, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესია, პატივისცემითა და სიყვარულით ვეპყრობით საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ წმიდა ეკლესიასა და საქართველოში მოქმედ სხვა ეკლესიებს, მუსლიმურ, ებრაულ სათვისტომოებსა და ყველა ეროვნულ თუ რელიგიურ უმცირესობას. იმავეს ველოდებით მათგან, ხაზს ვუსვამთ რა, რომ ჩვენი განსხვავებულობა არ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ მოწინააღმდეგენი უნდა ვიყოთ. ჩვენი ეროვნული და რელიგიური თავისებურებები და ტრადიციები განსაკუთრებული ნიშანია, რომელსაც ყველანი ვატარებთ, როგორც მრავალეთნიკური საქართველოს მოქალაქეები.

ჩვენს საზოგადოებას – ქართველ ხალხს, ქართულ ეკლესიას, უმცირესობებს, გარკვეული პრობლემები აქვს. ამ პრობლემების უმეტესობა საბჭოთა კავშირის 70-წლიან, ღვთისგან განდგომის, პერიოდში გაჩნდა.

საქართველოს სახელმწიფომ უკანასკნელ წლებში დადებითი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო წარსულის შეცდომების გამოსწორებისა და საბჭოთა წლებში, ღვთისგან განდგომის დროს, მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურებისა და ადამიანების დარღვეული უფლებების აღდგენის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ჩვენ, როგორც საქართველოს კანონმორჩილი და გადასახადების გადამხდელი მოქალაქეები, ველით, რომ ჩვენი სახელმწიფო გააგრძელებს დაწყებულ საქმეს და სამუდამოდ შეხორცდება როგორც ქართველი ერის, აგრეთვე დანარჩენი რელიგიური უმცირესობების წარსულში გახსნილი ჭრილობები.

ზოგჯერ ადამიანები ან სათვისტომოები ერთმანეთს არ აღიარებენ, არ უყვართ ერთმანეთი იმიტომ, რომ არ იცნობენ ერთმანეთს. როდესაც ადამიანს უყვარს ვინმე ან რამე, ის მისთვის უცნობი არ არის. ამრიგად, იმისათვის, რომ შეინყნარო და მიიღო ვინმე, უნდა გაიცნო იგი ან უნდა იცნობდე მას. ერთმანეთთან საუბარი ყოველთვის სჯობს დუმბილს. როგორც ამბობს დალაი ლამა: „უმჯობესია, რომ ადამიანები ერთმანეთს დაელაპარაკონ, ვიდრე ერთმანეთის შესახებ ილაპარაკონ“. ამიტომ არც ერთი სტერეოტიპი ან კომპლექსი არ უნდა გვიშლიდეს ხელს, რათა შედგეს დიალოგი და შევძლოთ ერთმანეთთან საუბარი.

ჩვენი აზრით, ეროვნული უმცირესობებისა და მათი რელიგიური ორგანიზაციების, სათვისტომოების ერთმანეთთან და უმრავლესობასთან გაცნობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ტელევიზიასა და მასმედიის სხვა საშუალებებსაც შეუძლია. იმ შემთხ-

ვევაში, თუ საჯარო და კერძო ტელეარხები საკმაო ინტერესს გამოხატავენ და მრავალათასიან სატელევიზიო აუდიტორიას სათანადოდ წარუდგენენ ჩვენს ეროვნულ და რელიგიურ დღესასწაულებსა და ტრადიციებს, დარწმუნებული ვართ, რომ ეს ხელს შეეწყობს ერთმანეთის უკეთ გაცნობაში, პატივისცემაში და ერთმანეთის მიღებაში.

საქართველოს დღევანდელ რეალობაში დიდ ნაკლად მიგვაჩნია ის, რომ ტელეარხები ხშირად თავს არიდებენ უმცირესობათა მნიშვნელოვანი დღესასწაულებებისა და ღონისძიებების გაშუქებას, რის გამოც ქართული საზოგადოება ხშირად ინფორმირებული არ არის მის გვერდით მცხოვრები უმცირესობების შესახებ. სხვა ქვეყნების მაგალითების გათვალისწინებით, გვნამს, რომ ტელეარხების მიერ უმცირესობებისათვის უფრო მეტი ყურადღებისა და დროის დათმობა ხელს შეუწყობს, რომ საქართველოს მცხოვრებლებმა ერთმანეთი უკეთესად გავიცნოთ, უფრო მეტად გავუგოთ ერთმანეთს და მივიღოთ ერთმანეთი.

სომეხთა კათოლიკოსი ნერსეს შნორალი (მე-12 საუკუნე) თავის ნაშრომში „წერილი მრწამსის აღიარებისა“ წერს: „ერთობა მთავარ საკითხებში, თავისუფლება მეორეხარისხოვანში და სიყვარული ყველაფერში“. რვაასი წლის წინ გამოთქმული ეს ბრძნული აზრი დღესაც აქტუალურია.

ღმერთმა დალოცოს საქართველო და მრავალეთნიკურ საქართველოში მცხოვრები ხალხები.

Archimandrite KHOREN HOVHANNISYAN
Diocese of the Armenian Apostolic Orthodox Holy Church in Georgia

LET'S GET TO KNOW, ACCEPT AND TOLERATE EACH OTHER

The freedom of the will is a priceless gift bestowed on man through the Lord's Grace. We live in a diverse world: there are many different religious organizations and denominations along with traditional religions (Judaism, Christianity, Islam). In the course of history, humankind has been shaken by war, genocide and resettlement over and over again. The world is not at peace today, the Middle East is in flames, a group of people kills and annihilates others in the name of God and in the name of religion, destroys places of worship and historic-cultural monuments of outstanding universal significance, however these villains have nothing to do with God. Unfortunately, humanity has not learned to respect, tolerate and love one another in the name of God and in the name of religion.

The Catholicos of All Armenians, His Holiness Karekin I, of blessed memory, once said that indifference is the eighth deadly sin: when you see someone created in the image of God who is suffering, hungry, grieving, ill or in pain and do nothing to help, you commit a sin.

How can we - followers of different Christian Churches, members of the Jewish and Muslim communities, representatives of different nationalities, residing in Georgia, help the world, and the suffering people of the Middle East in particular, at the moment, how can we show that we

do care? We don't have thousands of troops or appropriate weapons in order to reach out and save lives of suffering people, helpless children and elderly people. This is possible for world powers, which have enough military and economic resources to dictate and implement policy in the modern world. Let us pray that the leaders of powerful countries will not make decision based on indifference, but will be merciful and remember those who suffer.

We, the representatives of different nations and religions living in Georgia, by being peaceful, respectful and tolerant of others, will pass on our walk of life and will to the world and future generations. The least we can do is to raise our children in such an environment, that they will not remain indifferent to someone's pain or sufferings, they will learn that being different does not make someone an enemy or a rival.

For a better Georgia and for a better world, we must not reject and subordinate minorities and representatives of other religions and nations just because they are different, but we must accept and respect them as they are. Our differences do not divide us, but make us beautiful. The Scripture says: „Love one another“ – it does not say love Jews, Christians, Muslims or representatives of other religions and nations, but says – love one another, to put it another way – everyone. Our diversity is our beauty. How sad it would be if all of us looked the same, had the same opinion, had the same haircut or dressed the same. Representatives of different nations and religions are the real wealth of Georgia. Our society should make the most of this diversity. People of different nations living in Georgia have no choice, but to live together in peace and to be respectful.

We, the Armenian Apostolic Orthodox Holy Church, treat the Georgian Orthodox Church, other Churches operating in Georgia, the Muslim and Jewish communities, other ethnic and religious minorities with love and respect. And we do expect the same in return, stressing once again that our differences do not imply that we should be enemies. Our national and religious peculiarities and traditions are a specific seal that we bear as citizens of multinational Georgia.

Our society – the Georgian people, the Georgian Church and minorities have got particular issues. Some of them are inherent to the post-Soviet countries and most of the problems have arisen during 70 years of Soviet atheism.

Georgian authorities have taken positive steps in recent years to correct mistakes that had been made in the past, to partially compensate damages inflicted during the years of Soviet atheism and to restore violated rights of the people. Nevertheless, much remains to be done.

We as law-abiding citizens and taxpayers of Georgia expect that the government will continue positive work that has been started and the wounds of the past will be healed, both of the Georgian people and other religious minorities.

Sometimes, people or communities do not accept each other because they don't know each other. Sometimes, due to lack of communication and poor dialogue we don't know each other. When a person loves something or someone, he is well familiar with the object or knows the person quite well. That is why, in order to tolerate and accept someone, we need to get to know him better. Talking to each other is always better than not talking. The Dalai Lama once said: „Talking to each other is much better than talking about each other.“ Therefore, no stereotypes or fixations should hinder our dialogue and communication.

We believe that the television and media can significantly contribute to familiarization of different religious and ethnic minorities with each other and the majority. If public or private TV channels show more interest and properly introduce important religious and national holidays and traditions of different religious communities and ethnic minorities to the massive television audience, we are absolutely convinced that this will contribute to better mutual recognition, respect, and acceptance.

It is surely an oversight in today's reality of Georgia that TV channels are often reluctant to cover minority festivals and important events, thus Georgian public remains uninformed on minorities living next to them. Taking into consideration the example of other countries, we believe that TV channels should make more room for and give more time to minorities which will provide us, the residents of Georgia, with an opportunity to get to know each other, to better understand and accept each other.

Nerses the Gracious, the 12th century Armenian Catholicos, in his records „On the Profession of Faith“ says: „Unity in the main, freedom in the secondary, and love in everything.“ These words have not lost their relevance today.

God bless Georgia and the people of multiethnic Georgia.“

რელიგიისა და ადამიანის არსი მსოფლიო მშვიდობისათვის

„რელიგია ღვთიური კანონია, რომელიც ადამიანებს ამიერ ბედნიერებას და იმიერ ნეტარებას აღუთქვამს.

ყველა რელიგიაში უცვლელად გვხვდება ფუნდამენტური პრინციპები: ღმერთის არსებობა, მისი ერთადერთობა, მისი უნიკალურობა, ზემთაგონება და იმიერი სამყოფელის რწმენა. ყველა რელიგია ჰპირდება ადამიანებს ამიერ ჰარმონიას და იმიერ ნეტარებას. ანუ რელიგია იღწვის დედამიწაზე მშვიდობის დასადგენად. ჩვენ ყველა კარგად ვაცნობიერებთ და ვთანხმდებით, რომ რელიგიათა უმთავრესი მიზანი არის დედამიწაზე მშვიდობის დასადგურება. რელიგიის საერთო მიზანი კი ადამიანთა შორის მშვიდობისა და ძმობის განმტკიცებაა. ხოლო ამის აღმსრულებელი ჩვენ, ადამიანები, უნდა ვიყოთ; რადგან რელიგიის უმთავრესი ადრესატი ადამიანია, ამიტომაც, რომ ომსა და მშვიდობაზეც გადაწყვეტილებას ადამიანი იღებს. სწორედ, რომ დიადმა ღმერთმა, როცა სამყარო გააჩინა, ყურადღება ადამიანზე გაამახვილა და ამცნო, რომ დედამიწის მმართველობა მას უნდა უბოძოს, ასეთნაირად ადამიანი დედამიწაზე სხვა დანარჩენი არსებებისგან განსხვავებით, წინა პლანზე იქნა დადგინებული.

ადამიანის წინა პლანზე დაყენება

1. ადამიანს მიანიჭა განსჯის, პასუხისმგებლობის, მართვის და ამ ყველაფრის თავის სასარგებლოდ გამოყენების უნარი და იგი დაადგინა დედამიწაზე მემკვიდრედ, რის თაობაზეც ანგელოზებს გაჩენამდე ამცნო: „აკი, უთხრა უფალმა შენმა ანგელოზებს: ხალიფა (მართველი-მემკვიდრე) უნდა დავადგინო დედამიწაზე. ანგელოზებმა უპასუხეს: ვინც უკეთურობას დასთესს და სისხლს დაღვრის, ისეთი ქმნილება უნდა დაადგინო? როცა ჩვენ გამუდმებით გადიდებთ, თაყვანს გცემთ და სინმინდეს ვაღიარებთ შენსას?! ბრძანა (ღმერთმა): ვიცი მე, რაც არ იცით თქვენ!“ (2/30). დიადმა ღმერთმა ადამიანი სხვა დანარჩენი არსებებისგან, სწორედ, გონებითი და შემეცნების უნარით აღჭურვა და, რა თქმა უნდა, სანაცვლოდ უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა.

ღვთის განგების თანახმად, ადამი კონცეპტუალური აზროვნებით ანგელოზების უნარს აღემატებოდა. ამიტომაც, ანგელოზებს ადამის თაყვანისცემა უბრძანა. ანგელოზებმა აღასრულეს, მაგრამ ეშმაკმა, სიამაყიდან გამომდინარე, უარი განაცხადა და ღვთის ნყალობისგან მოიშოთ. აქედან გამომდინარე, ვხედავთ, რომ გაჩენისთანავე სამი სხვადასხვა არსება არის ყურადღების ეპიცენტრში: ადამიანი, ანგელოზი და ეშმაკი. ადამიანის არსებობაზე ანგელოზებმა უკმაყოფილება გამოხატეს. დიადმა გამჩენმა მათ გამოცდა ჩაუტარა, რის შემდეგაც თავიანთი უმწეობა აღიარეს. ამჯერად ანგელოზებმა ღვთიური ბრძანება განუკითხავად აღასრულეს და გამოცდაც წარმატებით ჩააბარეს. თუმცა, ეშმაკების უკმაყოფილება ადამიანის საუკეთესო არსებად დადგინების გამო, უცვლელი დარჩა. ასეთნაირად ადამიანის არსებობისთვის ანგელოზები და ეშმაკი გამოიცადნენ, ანგელოზებმა ეს გამოცდა ჩააბარეს, თუმცა, ეშმაკმა ვერ სძლია სიამაყეს და შეიქმნა ურწმუნო. ბოლოს ჯერი მიდგა ადამიანის გამოცდაზე ეშმაკის არსებობის გამო. ყურანი

გვამცნობს: „ჩვენ ვუთხარით: ჰეი ადამ! დასახლდით შენ და შენი ცოლი სამოთხეში, აქაური ნაყოფი ჭამეთ (თქვენ ორმა) რამდენიც გენებოთ და სადაც გენებოთ, მაგრამ ამ ხეს არ გაეკაროთ, რომ არ გახდეთ უსამართლონი (თორემ ცოდვილნი გახდებით). ეშმაკმა ფეხი დააცდენინა (ორივეს) და გამოყარა იქიდან, სადაც იყვნენ. და ჩვენ ვუბრძანეთ: დაეშვით (დედამინაზე), მტრებად მოქცეულნი ერთმანეთისთვის! თქვენი ადგილი მინაზეა, დროებითი საცხოვრებელი და სარჩო-საბადებელი“.

ადამმა ეშმაკის ცდუნებას ვერ გაუძლო და მისი უპირველესი გამოცდა წარუმატებელი გამოდგა, რის შემდეგაც სამოთხეს გამოემშვიდობა და დედამინაზე აღმოჩნდა მმართველად და მემკვიდრედ, რისთვისაც გამჩენმა ადამიანი გააჩინა. ასეთნაირად, ღვთის კატეგორიული ბრძანებით, ადამიანის ამიერი ცხოვრების ამბავი დაიწყო: **„ჩვენ ვუთხარით: აქედან ყველა ერთად (დაბლა) დაეშვით! უთუოდ მოგვევლინებათ ჩემგან გზა ჭეშმარიტი. მაშ, ვინც გაჰყვეს ჩემს გზას ჭეშმარიტს, არცა შიში ექნეთ და არცა სადარღებელი“.** (2/35-38).

როგორც ამ აიათიდან ირკვევა, დიადმა ღმერთმა ადამიანებს აღუთქვა დედამინაზე უსაფრთხო, მშვიდ და ბედნიერ გარემოში ცხოვრება, თუკი მის მიერ მოვლენილი დოგმების შესაბამისად იცხოვრებენ.

ზეჰთაგონება

როგორც ვიცით, ადამიანი საუკეთესო არსებად იქმნა მოვლენილი სამყაროში, მას მიენიჭა ღვთის მიერ ზემოვლენილი რელიგიის ე.ი. მონოთეიზმის საფუძვლების შესწავლისა და ამ კანონების შესაბამისად ცხოვრების უნარი. როგორც ვთქვით, პირველი ადამიანი – ადამი, პირველი შუამავალიც იყო. მას და სხვა შუამავლებს დიადმა ღმერთმა ვალდებულებიცი მოუვლინა და მათ აუკრძალა: 1. ღვთის გმობა 2. კერპთაყვანისცემლობა 3. მრუშობა 4. უსამართლობა 5. სისხლისღვრა 6. მოპარვა. როგორც ვხედავთ, ამ ბრძანებიდან მხოლოდ პირველი ორი ეხება ღვთის დაჯერებას (ღვთაებრიობას) სხვა დანარჩენი კი – ადამიანებს შორის ურთიერთობებს, რომელიც მიმართულია საზოგადოების უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემოს შესაქმნელად. თითქმის, ყველა რელიგია აღიარებს და ადამიანისთვის სინმინდეს წარმოადგენს სულის, ქონებისა და სინდისის უნივერსალური პრინციპები, რომელიც ადამიდან იქნა მიღებული. თუკი ეს პრინციპები არ იქნება დაცული, საზოგადოებრივი წესრიგი დაირღვევა და ადამიანებს შორის სიძულვილი და მტრობა გაღვივდება.

1. დედამინაზე პირველი დანაშაული: კაენმა დაღვარა თავისი ძმის – აბელის სისხლი.

კაენის მიერ აბელის მკვლელობის უმთავრესი საბაბი შურიანობა იყო. ისლამი კაენის მიერ ჩადენილ ამ დანაშაულს შემდეგნაირად მიუთითებს: „ყველა, ვინც უსამართლოდ მოიკვლება, ადამის პირველ შვილს მისი ცოდვა აუცილებლად აწევს, რამეთუ ეს დანაშაული პირველად მან ჩაიდინა“. ნათლად ჩანს, რომ მკვლელობები კაენის შემდგომაც გაგრძელდებოდა. თანაც ზოგიერთები უსამართლოდ დაღვრიდნენ სისხლს. თუმცა, ეს კაენის ბედისწერა როდია, რადგან შესაძლებელია ვიყოთ აბელის მსგავსნი. ამავე დროს, კაენი და აბელი ორი სახის ადამიანთა კატეგორიას წარმოადგენენ. აბელი ღვთისმოსავი, ღვთისმოშიში, საუკეთესო ზნეობის პატრონი, ხოლო კაენი – შურიანი, რადიკალი, სისხლისმღვრელი და ურჩი, რადგან იმ ბრძანებებში, რომელიც ადამს ებოძა, სისხლის დაღვრა ანუ მკვლელობა, აკრძალული იყო. კაენი არ დაემორჩილა ამ ბრძანებას. სწორედ ამიტომ, დიადი ღმერთი ბრძანებს, „ვიცი მე, რაც არ იცით თქვენ!“ ამ აიათით ნათლად ჩანს,

რომ ადამიანი არ არის მხოლოდ ისეთი არსება, რომელიც სისხლს ღვრის. ამგვარად, ყურადღება გამახვილდა ადამიანთა იმ კატეგორიაზე, რომლებიც კაენის გზას გაჰყვებიან, თუმცა, ადამიანის უმთავრესი დანიშნულება – აბელის გზაა.

ზოგადი შეფასება

საქართველო მრავალი კონფესიით მდიდარი და სეკულარული სახელმწიფოა. ჩვენს ქვეყანაში რელიგია სახელმწიფოსგან და სახელმწიფო რელიგიისგან გამიჯნულია.

ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ნეიტრალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ იყენებს რელიგიურ საშუალებებს, რომ მიაღწიოს პოლიტიკურ მიზნებს და, პირიქით, არ იყენებს პოლიტიკურ საშუალებებს იმისათვის, რომ რელიგიური მიზნები განახორციელოს.

საქართველოში რწმენის თავისუფლება ქვეყნის ძირითადი კანონით, კონსტიტუციით, არის დაცული. საქართველოს კანონმდებლობა და სამართლებრივი ნორმები მოქალაქეებს აძლევს საშუალებას, რომ დაიცვან თავიანთი აღმსარებლობის უფლება, თუმცა, ჩვენ კანონთან ერთად, ხელთ გვაქვს რწმენის ნორმები, რომელთა საშუალებით შევძლებთ რელიგიებს შორის ტოლერანტობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის გაძლიერებას. ქვეყანაში განსხვავებული აღმსარებლობის მქონე პირებს შორის ერთმანეთში დადებითი ურთიერთობების შესაქმნელად ერთმანეთის რელიგიების ზოგადი და საერთო შეხედულებების ცოდნა აუცილებელია. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ მრევლს უნდა მიენოდოს საფუძვლიანი რელიგიური ცოდნა. საზოგადოების ინფორმირებისათვის მედიისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით სხვადასხვა საკითხზე რელიგიების ხედვა და საერთო მიდგომები უნდა გაშუქდეს. ასევე, რელიგიებს შორის თანამშრომლობა, კონფესიებს შორის სხვადასხვა საკითხზე კონფერენციებისა და სამეცნიერო სემინარების ერთობლივად მომზადება დადებითი შედეგის მომტანი იქნება. დღევანდელი კონფერენციის მიზანიც ესაა, რომ მშვიდობიანი და ბედნიერი თანაცხოვრება შევინარჩუნოთ ჩვენს სამშობლოში, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო კონფერენციის ორგანიზატორებს.

როგორც ვხედავთ, რელიგიის მიზანი ადამიანების მშვიდ, ბედნიერ გარემოში თანაცხოვრება და ერთიმეორის ღვთის ამანათად მიჩნევაა, ვინაიდან რელიგია, როგორც წყარო ღმერთთან, შეგონების მხრივ – შუამავალთან, ხოლო დაჯერების მხრივ – ადამიანთან ასოცირდება. რელიგიის ძირითადი თემა ხომ ადამიანია. ადამიანს თავისი სული ჩაჰბერა, დედამიწის მემკვიდრედ დაადგინა, აღმატებულ ჰყო და თავის მსახურად გამოაცხადა. ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი და წმიდა სული, ე.ი. სიცოცხლეა, რომელიც ღმერთმა უბოძა მას და მისი წართმევის უფლებაც მხოლოდ მას ეკუთვნის. „რელიგიის დედაარსი გაჩენილის გამჩენისთვის სიყვარულია. აქედან გამომდინარე, არც ერთი რელიგია ადამიანს რადიკალიზმისა და ტერორისკენ არ მოუწოდებს და, რა თქმა უნდა, არ აღიარებს. უფრო მეტიც, რელიგია „რადიკალური ნაბიჯების უარყოფას ყველაზე დიდ ღვთისმოსაობად მიიჩნევს“. ამ ყველაფრის მიუხედავად, დღეისათვის მთელ მსოფლიოში არსებული ვითარება ყოველმხრივ ეწინააღმდეგება იუდაიზმს, რომელიც მოსეს მოევლინა, ქრისტიანობას, რომელიც იესოს მოევლინა და ისლამს, რომელიც მუჰამედს მოევლინა.

სიტყვების – „რელიგია“ და „ომი, ტერორიზმი, ძალადობა“, არათუ ერთმანეთში შერწყმა, არამედ ერთ კონტექსტში მოხსენება, რელიგიის არსს ეწინააღმდეგება.

გამომდინარე აქედან, არც ერთი რელიგია თავისი არსით არ ქადაგებს ძალადობასა და ტერორიზმს, შესაბამისად, დღეს მსოფლიოში ხელოვნურად შექმნილ ვითარებას რელიგიასთან არ აქვს არანაირი საერთო და ვერც ექნება. ამ ჩვენი შეხვედრის ნაყოფიერება დიად ღმერთს შევთხოვოთ და, რა თქმა უნდა, აუცილებელია დავსახოთ მიზანი, რომელიც ურთიერთსიყვარულს, ტოლერანტობას, სიტბოსა და სიმშვიდეს დასთესს ჩვენს ქვეყანაში.

- დიალოგისა და ნაყოფიერებისთვის აუცილებელია გულწრფელობა და ნდობა. თუკი ეს ორი კომპონენტი არ იქნება, არაფერი გამოგვივა;
- დიალოგისთვის აუცილებელია ერთმანეთის პატივისცემა (ერთმანეთის სინმინდები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეურაცხვეყოთ და ვინც შეურაცხვეყოფს, ყველამ ერთად საკადრისი პასუხი გავცეთ);
- დიალოგისთვის აუცილებელია ერთმანეთის სულიერებას გავუფრთხილდეთ, ერთმანეთის სუნთქვა შევისწავლოთ და შევიგრძნოთ. ლევ ტოლსტოი დასძენს: „თუკი გრძნობ ტკივილს, მაშინ სულიერი ხარ და თუ სხვის ტკივილს შევიგრძნობ მაშინ ადამიანი“;
- დიალოგისთვის აუცილებელია პირობითობის აღმოფხვრა;
- დიალოგმა რომ ნაყოფი მოგვცეს, აუცილებელია სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვა, მიუხედავად მათი რასის, ეროვნების, კანის ფერის, რწმენისა თუ სოციალური სტატუსისა;
- დიალოგის მონაწილენი ვალდებული ვართ, სულ მცირე, ერთმანეთის მოსმენა შევძლოთ, ერთმანეთის მიმართ პატივისცემა გამოვხატოთ, თვითკრიტიკა შევძლოთ და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არა მარტო ამ დარბაზში, არამედ ჩვენს სამლოცველოებში გადავიტანოთ, რათა გავანათლოთ ჩვენი მრევლი და დავამსხვრიოთ სტერეოტიპები, ვინაიდან სამშობლოს აღმშენებლობაში ერთმანეთის გარეშე წარუმატებელი აღმოვჩნდებით;
- დიალოგი ხელს შეუწყობს რელიგიათა შორის ურთიერთკავშირს. მისი მიზანი უნდა იყოს თანასწორობა, ტოლერანტობა, პატიოსნება, გულწრფელობა, სიყვარული, კეთილი განზრახვით საქმის წარმატებით დაგვირგვინება. შევისწავლოთ, შევიცნოთ, მოვუსმინოთ იმისთვის, რათა ერთმანეთს გავუგოთ, ერთმანეთის ჭირი და ლხინი გავიზიაროთ, ურთიერთობა გავაღრმავოთ და რაც მთავარია, ერთად ცხოვრება შევძლოთ;

დიადი ღმერთის მიერ დადგენილი გზა მიზნად ისახავს ადამიანის ამიერ და იმიერ ნეტარებას. თუკი ეს მიზანი მიმართულებას შეიცვლის და ისეთ საშუალებად გადაიქცევა, რომელიც ადამიანებს შორის შუღლსა და მტრობას გააღვივებს, მაშინ ეს გახდება ბოროტებისა და მზაკვრული გეგმების წინა პლანზე დაყენების საბაზი. ამკარად ჩანს, რომ მტრობასა და შუღლში უცოდინარობისა და პირობითობის როლი საკმაოდ დიდია. ამისგან თავის დასაღწევად აუცილებელია რელიგიის დედააზრით შესწავლა, მრევლთა შორის ტოლერანტობა და პატივისცემა. ღმერთს ებარებოდეთ!

REVAZ MIKELADZE
Administration of all Muslims of Georgia

THE ESSENCE OF HUMAN BEING AND RELIGION FOR WORLD PEACE

Georgia is multi-denominational, secular state. In general, communal dialogue is necessary for co-existence, for an effective dialogue everyone should listen to one another, honesty, respect should be a practice not only in this room but in our chapels, and in our congregation as well.

„მცირედი ერთგული ბავშვის ერთგულია“

ნუ გაგიკვირდებათ, რომ საუბარი მექნება ქრისტიანულ ეკლესიებს შორის ეკუმენურ დიალოგზე, რაშიც ჩვენს ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას დიდი და მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. რა თქმა უნდა, სხვა რელიგიებთან ურთიერთობაში არავითარი პრობლემები არ გავაჩნია და ვეთანხმებით და ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ აუცილებელია ინტერრელიგიური დიალოგი სხვა ორგანიზაციებთანაც; მაგრამ ჯერ დავადგინოთ, გვაქვს თუ არა ჩვენ დამყარებული მოქმედი და აქტიური დიალოგი ქრისტიანებს შორის. ცნობს თუ არა მართლმადიდებელი ეკლესია ყველა სხვა ქრისტიანულ კონფესიას? არსებობს თუ არა ნაყოფიერი დიალოგი ყველა ქრისტიანულ კონფესიას შორის თანაბარ, სამართლიან უფლებადაცულ ნიადაგზე? ჩვენი უფალი იესო ქრისტე ამბობს: „მცირედში ერთგული ბევრშიც ერთგულია“. ეს ნიშნავს: ჯერ შენს სახლში დაამყარე მშვიდობიანი და სამართლიანი, თანასწორი დიალოგი და მერე სხვების მიმართულებით იმოქმედე. რა თქმა უნდა, შეიძლება პარალელურად ვიმოქმედოთ ორივე მიმართულებით: დიალოგის განვითარება და გაძლიერება ჩვენ ქრისტიანებს შორის და შემდეგ კი ინტერრელიგიური დიალოგის დამყარება სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან.

გაგახსენებთ, რომ საეკლესიო დიალოგის სურვილი პირველად პროტესტანტებმა გამოთქვეს. ცნობილია, რომ 1948 წელს ამსტერდამში შეიქმნა მსოფლიო საეკლესიო საბჭო, რომელშიც განეწიანდა 500-მდე ქრისტიანული ეკლესია. შემდგომ სხვა ეკლესიები, მათ შორის, კათოლიკური და ზოგი მართლმადიდებელი ეკლესიაც, გამოვიდნენ ამ საბჭოდან და დარჩნენ მხოლოდ მეთვალყურეების სახით. ერთ-ერთი მიზანი იყო ის, რომ ამ საბჭოს გადაწყვეტილებებს უმრავლესობის ანუ პროტესტანტების გავლენა ჰქონდა.

საქართველოში ქრისტიანულ ეკლესიებს შორის დიალოგის ინიციატორი ისევ პროტესტანტი იყო – ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი დოქტ. გერტ ჰუმელი. თავის მოღვაწეობის დანაშაულის მან შექმნა ეკუმენური საბჭო, რომელშიც შევიდა უმცირესობის წარმომადგენელი ოთხი ეკლესია: კათოლიკური, ბაპტისტური, სომხური და ლუთერული. იმ დროიდან წარმატებულად და ნაყოფიერად მიდის ამ ოთხი ეკლესიის თანამშრომლობა სხვადასხვა, როგორც სულიერ, ასევე პრაქტიკულ სფეროში. წელიწადში ერთხელ, რიგრიგობით, ერთ-ერთ ეკლესიაში ტარდება ეკუმენური ლოცვა. მიუხედავად განსხვავებებისა, ყოველთვის შეიძლება ერთად ვილოცოთ, წავიკითხოთ წმიდა წერილი და ერთად შევლაღადოთ ღმერთს. სხვათა შორის, მახსოვს, რომ პირველ ეკუმენურ ლოცვებში მართლმადიდებელი სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ. შემდგომ ეს მათთვის სასტიკად აიკრძალა. ასევე აღსანიშნავია ბაპტისტური ეკლესიის ინიციატივა ჩაატაროს ყოველწლიურად, ვნების კვირას, ჯვრის პროცესია, რომელიც იწყება სომხურ ეკლესიაში, გადადის კათოლიკურ, შემდეგ ლუთერულ და ბოლოს ბაპტისტურ ეკლესიაში სრულდება. მართალია, ხანდახან ხდება ისე, რომ ჩვენ უკვე დიდი ხანია, რაც აღნიშნული გვაქვს აღდგომა, მაგრამ მაინც მოწინებით ვხვდებით დიდი პარასკევის ჯვრის პროცესიას, რომ მხარი დაუჭიროთ ჩვენს ქრისტიანებსა და ძმებს.

როგორც ჩანს, შესაძლებელია ურთიერთობა სულიერ სფეროში. მაგრამ უფრო მეტ საშუალებებს გვაძლევს ურთიერთობა სოციალურ, დიაკონურ, საგანმანათლებლო სფე-

როებში. ეს ურთიერთობა დასახელებულ ოთხ ეკლესიას შორის ძალიან წარმატებული და მრავალფეროვანია: ერთობლივი ახალგაზრდული და ქალთა სემინარები, კონფერენციები სხვადასხვა თემაზე, მაგალითად, ლუთერის დღეები ჩვენს ეკლესიაში, მონყალების წელი კათოლიკური ეკლესიის ინიციატივით და ა.შ. რა დიალოგზეა საუბარი, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიას თითქმის არცერთ ღონისძიებაში არ მიუღია მონაწილეობა. ერთადერთი გამონაკლისია ჩვენს ეკლესიასთან არსებული, შინ მოვლის დიაკონური სამსახური, რომელშიც მონაწილეობს ჩუღურეთის გამგეობა, მაგრამ ეს არის სახელმწიფოს და არა ეკლესიის მონაწილეობა.

ჩვენ ყველას გვახსოვს, რა პრინციპით იყო აგებული საბჭოთა კავშირი. დიდი უფროსი ძმა და ბევრი მასზე დამოკიდებული პატარა ძმები. ეკლესიათა და რელიგიათა შორის დიალოგი არ უნდა იყოს აგებული ამ პრინციპზე. ჩვენ არ გვჭირდება დიდი ძმა. არავის არა აქვს უფლება თქვას: მე ვარ სწორი, მე ვარ მართალი. დიალოგი უნდა იყოს აგებული თანასწორუფლებიან, პარტნიორულ ურთიერთობებზე. არც ერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს პრივილეგიები, თუნდაც იმის გამო, რომ უმრავლესობას წარმოადგენს. ვიმეორებ, ჩვენ არ გვჭირდება უფროსი ძმა, რომელიც ჩვენ მიგვითითებს, რა აზრის უნდა ვიყოთ ამა თუ იმ საკითხზე, მაგალითად, ქალების სასულიერო პირებად ხელდასმვაში. უფროსი ერთი გვყავს – უფალი იესო ქრისტე. პავლე მოციქული ამბობს: „თქვენ ყველა ერთი ხართ ქრისტე იესოში“. ყველა ეკლესია, ყველა რელიგია უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი და იდენტური თავისი რწმენისა და მისი გამომხატვის საკითხებში.

თქვენ ყურადღებას ამახვილებთ ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვნებაზე. არის ეს გაცნობიერებული ყველა მცხოვრების მიერ? ასწავლიან ამას საბავშვო ბაღში, სკოლაში, კოლეჯში, უმაღლეს სასწავლებელში? თუ ისევ ძალაშია სტერეოტიპები და ნეგატიური დამოკიდებულება მათ მიმართ, ვინც „ლალატობს“ თავის ერსა და სარწმუნოებას? ძალიან დიდი, ვფიქრობ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო პროგრამებს, ერთობლივ ბანაკებს, შეხვედრებს, ექსკურსიებს სხვადასხვა ეკლესიაში, მრავალფეროვნების პრაქტიკულ გაცნობასა და შეთვისებას. ყველა კონფესიას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მედიის საშუალებებში, არა გამონაკლისის სახით, არამედ ჩვეულებრივ რეჟიმში.

მომავალ, 2017 წელს, აღინიშნება ლუთერის რეფორმაციის 500 წლისა და სამხრეთ კავკასიაში გერმანელების გადმოსახლების 200 წლის იუბილე. ეს კარგ საშუალებას გვაძლევს, გავაცნოთ საქართველოს მთელ მოსახლეობას გერმანელების მნიშვნელოვანი როლი საქართველოს კულტურაში, მეცნიერებაში, არქიტექტურაში, ხელოვნებაში და ა.შ. და აგრეთვე გავაცნოთ საზოგადოებას, რა უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა რეფორმაციამ არა მარტო დასავლურ ეკლესიაზე, არამედ ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, კულტურაზე, თვით ადამიანის აზროვნებაზე.

ასე რომ, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია მხარს უჭერს ინტერკონფესიურ და ინტერრელიგიურ დიალოგს, რომელიც დამყარებული იქნება თანასწორუფლებიან, სამართლიან, მშვიდობიან ურთიერთობებზე ეკლესიათა და რელიგიათა შორის და თანაბარ უფლებებს მისცემს თითოეულ მორწმუნეს თავისი რწმენისა და მისი გამომხატვის საშუალებებში.

ლელა სონელიძე
საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია

რელიგიათა შორის ჯალბურული ურთიერთობის პრაქტიკა საქართველოში

დღევანდელ უკიდურესად დაძაბულ, ომებით, ტერორიზმით, შეუწყნარებლობით, მასობრივი დევნითა და რეპრესიებით დაღდასმულ მსოფლიოში, სადაც ღვთის მიერ კურთხეული მშვიდობა უდიდესი საფრთხის წინაშე დგას, სადაც ღვთის მიერ სამყაროს გვირგვინად წოდებული ადამიანის სიცოცხლე და თავისუფლება სულ უფრო და უფრო ნაკლებად ფასობს, მსოფლიოში, სადაც რელიგიის სახელით ხოცვა – ჟლეტამ არნახული მასშტაბი შეიძინა, რა თქმა უნდა, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ყველა კეთილი ნების ადამიანის სამშვიდობო ძალისხმევის გაერთიანება და ბოროტების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა! რა თქმა უნდა, ყველა რელიგიის წარმომადგენელმა საკუთარი წვლილი უნდა შევიტანოთ ჩვენს გარემოსა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის მისაღწევად და სიძულვილის გასაწეობად. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ დაუღალავად უნდა ვიქადაგოთ და ვისაუბროთ იმაზე, რომ დაუშვებელია რელიგიები ემხრობოდნენ შეუწყნარებლობას, სიძულვილს, განადგურებას, ჩაგვრას, ტერორს; ისინი, ვინც რელიგიის სახელით ამას ჩადიან, არიან როგორც კაცობრიობის, ასევე, საკუთარივე რელიგიის უპირველესი მტრები. ჩვენ უფრო მკაფიოდ, უფრო გულწრფელად, უფრო დიდი ენერჯით უნდა ვაჩვენოთ ყველას რელიგიების სამშვიდობო პოტენციალი, უნდა ვაჩვენოთ ყველას, რომ, სხვადასხვა აღმსარებლობის მიუხედავად, შეგვიძლია გავერთიანდეთ ადამიანისა და სამყაროს სიყვარულის, თავისუფლების, სიკეთის, სამართლიანობის ღირებულებათა გარშემო და არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით დავიცვათ მშვიდობა ყველგან და ყოველთვის!

რა არის საჭირო ამ მიზნის მისაღწევად, რა პირობებია აუცილებელი იმისთვის, რომ რეალურად შევუწყნოთ ხელი რელიგიებს შორის შედეგიან დიალოგს? აქ და ახლა, აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რატომ ხდება, რომ, არცთუ იშვიათად, რელიგიებს შორის წამოწყებული დიალოგი ყოველგვარი შედეგის გარეშე მთავრდება? იმიტომ ხომ არა, რომ ამგვარი ურთიერთობისთვის აუცილებელი გარემო, ერთმანეთთან შეხვედრისა და ძალისხმევის გაერთიანების მონოდებები ხშირად ეყრდნობა არა პიროვნული პასუხისმგებლობის ზედმინევენით კარგად გაცნობიერებას, არა ღრმა და გულწრფელი რელიგიური თვითშეგნების საფუძველზე დიალოგის მნიშვნელობის აღიარებას და ამ აღიარების შედეგად ერთმანეთისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, არამედ თავსმოხვეულ კონიუნქტურას, სახელმწიფოს ნებით, თუ რაღაც აბსტრაქტული, გაუგებარი მიზნებით ნაკარნახევ სპონტანურ, ზედაპირულ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც სხვები იღებენ ჩვენ მაგივრად!

სწორედ ეს ხდება უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ დიალოგში ჩართული მხარეები მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ როლს ასრულებენ, რელიგიებს შორის ურთიერთობების ერთგვარ ილუზორულ ფასადს ქმნიან. ცხადია, რომ ასეთი დიალოგის პროცესი რეალურად უკუშედეგების მომტანი იქნება. დღეს, საქართველოში რელიგიებს შორის კომუნიკაციის, რელიგიურ გაერთიანებებს შორის დისკუსიებისა და მოლაპარაკებების რამდენიმე ფორმატი არსებობს. ამ ფონზე გარკვეულ კითხვებს აჩენს, როცა არა რელიგიური გაერთიანებები, არამედ ხელისუფლების სტრუქტურები თავად ცდილობენ განსაზღვრონ

დიალოგის დღის წესრიგი, ან ის საკითხები, რაზედაც უნდა იქნეს წამოწყებული ხსენებული პროცესი; სახელმწიფოსა და რელიგიებს შორის ამგვარი, სრულიად უპერსპექტივო ურთიერთობები, შესაძლოა, ერთი შეხედვით, არც არაფერს აშავებენ, მაგრამ, მეორე მხრივ, უფრო ღრმად, უფრო ძირფესვიანად თუ მივუდგებით საკითხს, დავინახავთ, რომ სწორედ ამგვარი ხელოვნური ურთიერთობები იწვევს თვით დიალოგის მნიშვნელობის გაუფასურებასა და ურთიერთგაუცხოებას.

სახარების რწმენის ეკლესია უკვე ათი წელია, აქტიურადაა ჩაბმული საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს საქმიანობაში. დღესდღეობით, ესაა ის სივრცე, სადაც რელიგიური გაერთიანებები თვითონ, სახელმწიფოსა თუ უმრავლესობის ნების გარეშე, განიხილავენ ადამიანის უფლებებთან და ტოლერანტობის თემატიკასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხს. დღეისათვის რელიგიათა საბჭოში ხანგრძლივი დისკუსიებისა და განხილვების შედეგად დავასრულებთ სახელმწიფოსა და მედიისადმი ფართო, შეიძლება ითქვას, ყველა სფეროს მომცველი რეკომენდაციების ნუსხაზე მუშაობა, რასაც სულ მოკლე ხანში წარვუდგენთ შესაბამის ადრესატებს. ვისურვებდი, რომ სამომავლოდ სწორედ ეს რეკომენდაციები გახდეს, ერთი მხრივ, რელიგიურ გაერთიანებებს, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო უწყებებს შორის სწორი, ჯანსაღი, კანონის უზენაესობაზე დამყარებული ურთიერთობის საფუძველი, ერთგვარი სამოქმედო პროგრამა, რომლის ამოსავალი პრინციპი რელიგიის თავისუფლების უპირობო დაცვა და თანასწორუფლებიანობა იქნება. მჯერა, რომ ამ პრინციპებზე აგებული თანამშრომლობის შედეგად საქართველოში რეალურად შევძლებთ ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ყველა აღმსარებლობის ადამიანი დაცულად და თანასწორად იგრძნობს თავს – იმის მიუხედავად, უმცირესობებს მიეკუთვნება იგი, თუ – უმრავლესობის რელიგიას. სწორედ, ასეთი ტოლერანტული გარემო გახდება ნამდვილი, გულწრფელი რელიგიური და სამოქალაქო დიალოგის საფუძველი, გახდება შინაგანი, ჩვენ-ჩვენი რელიგიური პრინციპების ერთგულებასა და განსხვავებულის პატივისცემაზე დამყარებული დიალოგის მიზეზი, რომელიც აუცილებლად მოიტანს ყველასათვის სასურველ შედეგებს!

მერაბ გაფრინდაშვილი
საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსი

**ქრისტიანთა და მუსლიმთა შორის
დიალოგის აუცილებლობა საქართველოში**

„ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ღვთის ძეგბად იწოდებიან“. (მათე 5:9)

რატომ არის მნიშვნელოვანი დიალოგი და თანამშრომლობა ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის? ამ დიალოგის აუცილებლობაზე 2006 წელს საუბრობდა რომის პაპი ბენედიქტ XVI, როდესაც მუსლიმ სახელმწიფოთა ელჩებს მიმართა. მან თქვა: „ინტერ-რელიგიური და ინტერკულტურული დიალოგი ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის შეუძლებელია დაყვანილ იქნეს არჩევის შესაძლებლობაზე. ფაქტობრივად, ეს არის სასიცოცხლო აუცილებლობა, რომელზეც დიდწილად ჩვენი მომავალი დამოკიდებული“.

მუსლიმანური სამყაროს 137-მა სწავლულმა და წინამძღოლმა 2007 წელს თავის მხრივ წერილით მიმართეს ქრისტიან წინამძღოლებს. წერილში ნათქვამია: „მუსლიმანები და ქრისტიანები ერთად შეადგენენ მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტს. ამ ორ რელიგიურ თემს შორის მშვიდობისა და სამართლიანობის გარეშე შეუძლებელია სერიოზული მშვიდობა იყოს მსოფლიოში. მსოფლიოს მომავალი დამოკიდებულია მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის მშვიდობაზე“.

ეს განცხადებები ნათლად გვიჩვენებს იმის აუცილებლობას, რომ მუსლიმანებმა და ქრისტიანებმა დროულად უნდა მოაგვარონ მათ შორის მზარდი პოლარიზაციის პრობლემა. ეს პოლარიზაცია კიდევ უფრო იზრდება ომების, დევნების, უსამართლობების მეშვეობით, რომლებსაც სწადიან როგორც ინდივიდები, ასევე დაჯგუფებები, იმ მოტივით, რომ მიაღწიონ პოლიტიკურ ან მატერიალურ მოგებას. მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის დიალოგი დღევანდელ დღეს, ვიდრე ოდესმე, ყველაზე მეტად არის საჭირო, რომ მოგვარდეს ის საკითხები, რომლებიც იწვევს მზარდ დაპირისპირებას. ის ფაქტი, რომ მუსლიმანები და ქრისტიანები შეადგენენ მსოფლიო მოსახლეობის 50 % მეტს, დიალოგს და თანამშრომლობას ხდის იმპერატიულს.

1998 წლის ოსლოს დეკლარაცია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ აცხადებს, რომ: „რელიგიები და რწმენები ასწავლიან მშვიდობასა და კეთილ ნებას“. რუდიგერ ნოლი, ევროპის ეკლესიათა კონფერენციის წარმომადგენელი, ამბობს: „მშვიდობა და შერიგება, ისევე როგორც მოყვასზე ზრუნვა, ყველა რელიგიური დოქტრინის არსებითი ნაწილია. მაშინ როგორ არის შესაძლებელი, რომ დღეს მონმენი ვართ რელიგიების სულ უფრო ხშირი თანამონანილეობისა კონფლიქტურ სიტუაციებში? თავად რელიგიები ქმნიან ძალადობას, თუ მათ სხვა ძალები იყენებენ ბოროტად?“

ჩვენ ყველანი შეძრწუნებულები ვართ იმ საშინელი ქმედებებით, რომლებსაც ადგილი აქვს ჩრდილოეთ ერაყში, სირიაში, უკრაინაში, თურქეთსა და მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში. უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება ტერორისტთა სისხლიან ქმედებებს. მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და თანაარსებობის გარეშე კი ვერ შევძლებთ მსოფლიოს ჰარმონიულ განვითარებას. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მსოფლიოს ყველა

ძირითადი რელიგია სიყვარულს, შენდობასა და მიტევებას ქადაგებს, ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ ნამდვილი, ჭეშმარიტი მშვიდობისაგან.

შვეიცარიელმა კათოლიკე თეოლოგმა ჰანს კუნგმა თქვა: „მშვიდობა იქნება დედამიწაზე, თუ მშვიდობა იქნება მსოფლიო რელიგიებს შორის“. კაცობრიობის ისტორიაში ომების 75-80 % გამოწვეული იყო რელიგიური დაპირისპირებებით. მიუხედავად იმისა, რომ გაუგებრობების გამო სხვადასხვა რელიგიას შორის ადგილი აქვს კონფლიქტებს, ჩვენ მაინც შეგვიძლია ცვლილებების მოხდენა დიალოგის გზით. რა არის მშვიდობის ნამდვილი მნიშვნელობა?

ებრაულ შალომს აქვს უფრო ღრმა მნიშვნელობა ვიდრე მისალმება ან დამშვიდობება. „მშვიდობა“ არის ამ ტერმინის ზუსტი თარგმანი, მაგრამ შალომ გულისხმობს უფრო მეტს ვიდრე კონფლიქტის არქონას. სტრონგის სიმფონიის თანახმად, შალომ ნიშნავს – „სისავსეს, სიჯანსაღეს, კეთილდღეობასა და მშვიდობას“. 1 ნეშტა 12:18 – ის ნათარგმნია, როგორც წარმატება და გამოიყენება კურთხევის ნაწილად.

ესაიას 54-ე თავში საუბარია მშვიდობის შესახებ უფლის სამარადისო აღთქმის თაობაზე. ღმერთი გვპირდება: „რადგან მთები დაიძვრებიან და ბორცვები შეირყვიან, ჩემი წყალობა კი არ დაიძვრება შენგან და ჩემი მშვიდობის აღთქმა არ შეირყევა“, ამბობს შენი მწყალობელი უფალი შენი ყველა ძე უფლის განსწავლული იქნება და დიდი იქნება შენს ძეთა მშვიდობა“ (ესაია 54:10-13). ნმიდა წერილში უფლის ერთ-ერთი სახელი არის იახვე-შალომ (მსაჯულთა 6:24), ანუ უფალი ჩვენი მშვიდობა. იესო არის მშვიდობის თავადად მოხსენიებული ესაიას წიგნში (ესაია 9:6).

ლიტერატურის უმეტესობა მშვიდობასთან მიმართებაში იყენებს 2 ტერმინს: ნეგატიურ და პოზიტიურ მშვიდობას. ნეგატიური მშვიდობა აღნიშნავს ძალადობის დასრულებას, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ცეცხლის შეწყვეტით ან ზავის დადებით. მას შეიძლება სხვაგვარად კონფლიქტის ტრანსფორმაციაც კი ვუწოდოთ. პოზიტიური მშვიდობა არის განსხვავებული. ის აღწერილია როგორც სოციალური ტრანსფორმაცია. აქ ყურადღება მახვილდება სამართლიანობაზე, თანაბარ შესაძლებლობებზე და ა.შ. ამის კარგი მაგალითია ჩრდილოეთ ირლანდია, სადაც პროტესტანტები მიდრეკილნი იყვნენ ნეგატიური მშვიდობისაკენ, განსხვავებით კათოლიკეებისგან, რომლებიც მხარს უჭერდნენ მშვიდობის პოზიტიურ გაგებას.

ტუაგი თავის სტატიაში „რელიგიის როლი მშვიდობის სტიმულირებისა და კონფლიქტების გადანყვეტის საქმეში“ წერს: „მნამს, რომ რელიგია და ძალადობა ერთმანეთთან 2 მიზეზის გამო არის ასოცირებული: 1)ხალხი ეკონომიკურ ფუნდამენტალისტთა გეგმების მსხვერპლი ხდება 2)ხალხმა არ იცის საკუთარი და სხვათა რელიგია. ერთი და იმავე გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ადამიანების კონფრონტაციის საფუძველი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ რელიგია, არამედ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. უმეტეს შემთხვევებში ეს ყველაფერი ისეა ერთმანეთში გადახლართული, რომ ძნელია ნამდვილი მიზეზის პოვნა.“

მსოფლიოს ბევრი ძალმოსილი მთავრობა და არასამთავრობო სექტორი არის ჩაბმული რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდაში. ისინი მედიას იყენებენ ამ საქმისათვის. მასმედიის საშუალებების უმეტესობას ფლობენ დიდი ბიზნესკომპანიები და იყენებენ მას სხვადასხვა კომერციული ინტერესებისთვის. ამ ვითარებაში ჩვეულებრივ მოკ-

ვდავთავის ძალზე რთულია გაფილტროს ნამდვილი ფაქტები ყალბისაგან. ამგვარად, ისინი ეკონომიკის ფუნდამენტალისტთა გეგმების მსხვერპლი ხდებიან. მათ უნდათ რელიგიის როლის მარგინალიზება, დასუსტება და დამცრობა, გავლენის მომხდენ მსოფლიო სისტემაში“.

დღევანდელი მსოფლიო დომინირებულია ეკონომიკით და არა რელიგიით. დოქტორ ჟაკ-ვედ ჟამილის თანახმად, ეკონომიკის ფუნდამენტალისტები ცდილობენ ეკონომიკის ყველაფერზე წინ დაყენებას. ყველა რელიგია კი მიზნად ისახავს მშვიდობის მიღწევას, ჰარმონიას და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს მატერიალურ ნივთებს. ეს პრინციპი მსოფლიოს ყველა რელიგიისათვის საერთოა, რაც ყველაზე მეტად აღიზიანებს ეკონომიკის ფუნდამენტალისტებს. მატერიალიზმის პრომოუშენით ისინი ცდილობენ შექმნან სიყვარული წუთისოფლის მიმართ. მათი გეგმა განუხორციელებელი დარჩება, თუ სხვადასხვა რელიგიის მორწმუნენი თავიანთი მოძღვრების ერთგულნი დარჩებიან“.

ჯაგად გურუ: „კონფლიქტი და სიძულვილი ხშირად ფესვგადგმულია იმ განსხვავებებში, რომლებიც არსებობს სხვადასხვა რელიგიისა და რასის ადამიანებს შორის. ჩვენ ყველას გვესაჭიროება პატივისცემა გამოვხატოთ სხვადასხვა რასის, ასევე სხვადასხვა რელიგიისა და სარწმუნოების ადამიანების მიმართ. ჰარმონიული საზოგადოების შესაქმნელად გვესაჭიროება ჩვენი საერთო სურვილებისა და საჭიროებების აღიარების გარშემო გაერთიანება. იმ საზოგადოების შესაქმნელად, სადაც ჩვენ, ჩვენი შვილები, მეგობრები და თემები ერთად შევძლებთ მშვიდობიან და ჰარმონიულ ცხოვრებას. მიუხედავად ჩვენი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, ჩვენ ყველას გვესაჭიროება და გვსურს ასეთი სოციალური ჰარმონია.“

სხვადასხვა რასის, ეროვნების, რელიგიის ადამიანების პატივისცემის გარეშე როგორ შეიძლება გვექონდეს მშვიდობიანი და ჰარმონიული საზოგადოება ან მსოფლიო? ჰარმონიული საზოგადოების გარეშე კი პრაქტიკულად შეუძლებელია ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა, თვითრეალიზაცია და სულიერი ბედნიერება“.

ბოლო 2 წლის განმავლობაში ქართველ მუსლიმთა თემის მიმართ გამოვლენილ იქნა რელიგიური ძალადობის არაერთი სერიოზული შემთხვევა. სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობის შეუწყნარებლობა მუსლიმების მიმართ სოფელ ნიგვზიანში და ასევე ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულება დამნაშავეთა მიმართ გახდა მთავარი მიზეზი მუსლიმების დისკრიმინაციისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ხელისუფლების დამოკიდებულება იყო სიფრთხილეზე ორიენტირებული, რომ დაპირისპირებულ მხარეებს დიალოგის გზით და არა საგამოძიებო პროცედურების გამოყენებით მოეხდინათ კონფლიქტის მოგვარება. თავის დროზე, მთავრობის ამ ჰუმანური პოზიციის მიმართ ძალზე სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და რელიგიური სპექტრის წარმომადგენლები, რაც, სამწუხაროდ, გამართლდა. ხელისუფლებას თავის დროზე რომ უზრუნველყო გამოძიების ეფექტური ჩატარება, მაშინ ნიგვზიანის ინციდენტი ვერ გახდებოდა წამახალისებელი ფაქტორი მოძალადე ჯგუფებისათვის წინწყაროში, სამთაწყაროში, ქელაში, ქობულეთსა და მოხეში.

საქართველოს, რომელსაც გადანყვეტილი აქვს გახდეს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, უნდა შეეძლოს რელიგიურ თემებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრობის უზრუნველყოფა. თავის მხრივ, რელიგიურმა გაერთიანებებმაც თავისი წვლილი უნდა შეიტანონ მშვიდობიანი გარემოს შექმნაში.

დიალოგი რელიგიებს შორის ხელს უწყობს ერთმანეთის მიმართ კარიკატურული ნარმოდგენების მსხვრევას. ის ასევე გვეხმარება ჩვენ გაუცხოების კედლების ნგრევაში, რომლებსაც წარმატებით ვაშენებთ. ამის კარგი მაგალითი იყო 2012 წელს ქართველი და ამერიკელი ბაპტისტების ვიზიტი აჭარაში. ამ მოკლე ვიზიტის შედეგად ძალიან ბევრი რამ გავიგე ისლამის შესახებ და ჩემი დამოკიდებულება მუსლიმანური თემის მიმართ პოზიტიური გახდა. ისინი გულანთებული საუბრობდნენ ღმერთისა და მოყვასის სიყვარულზე, მშვიდობისა და ქვეყნის ჰარმონიული განვითარების შესახებ. სასიხარულოა, რომ ქართველ მუსლიმთა კავშირს თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარების საქმეში სხვადასხვა კუთხით. ეს შეიძლება იყოს ადამიანის უფლებების დაცვა, სოციალური სამართლიანობის აღდგენა, საგანმანათლებლო საქმიანობა თუ სხვა. ცხადია, რომ მუსლიმანებსა და ქრისტიანებს აქვთ განსხვავებები. ჩვენ არ უნდა უგულვებელყოთ ისინი. პირიქით, უნდა აღმოვაჩინოთ ისინი, უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი და გავაუმჯობესოთ ჩვენი ცოდნა ერთმანეთის მიმართ.

დასასრულ, მსურს შემოგთავაზოთ კონკრეტული წინადადებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ჩვენს ქვეყანაში რელიგიური კლიმატის გაუმჯობესებას:

1. რელიგიათა შორის დიალოგს უნდა მიეცეს სისტემატური ხასიათი. წლიდან წლამდე არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ კონფერენციების ორგანიზებით. დიალოგში მონაწილეობას უნდა იღებდნენ არა მარტო მაღალი სასულიერო იერარქები, არამედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც. საქართველოში არსებულმა ყველა რელიგიამ ჩვენი მოკრძალებული წვლილი უნდა შევიტანოთ მშვიდობიანი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. რელიგიების მიმართ, სამწუხაროდ, არის კარიკატურული წარმოდგენები და სწორედ ამიტომაც რელიგიათა შორის დიალოგი არის ის მექანიზმი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სიძულვილისა და გაუცხოების კედლების ნგრევას;
2. საგანმანათლებლო საქმიანობები: ცხადია, რომ არსებობს რელიგიური განათლების ნაკლებობა; განსაკუთრებით ცოტა ვიცი იმ რელიგიების შესახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ გაბატონებულ რელიგიას. რელიგიურ სფეროში განათლების სიმწირე ცალსახად იწვევს მცდარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას, რაც ხელს უშლის ადამიანების მშვიდობიან თანაცხოვრებას. სწორედ ამიტომაც, ვიზიტები და სემინარები სასულიერო ლიდერთა მხრიდან სხვადასხვა დენომინაციის მორწმუნეთან უნდა იყოს ნახალისებული.
3. სოციალური პროექტების ერთობლივად განხორციელება. საქართველოში ქრისტიანებმა და მუსლიმანებმა სხვა რელიგიურ დენომინაციებთან ერთად უნდა იმუშაონ სოციალურ პროექტებზე და ამ გზით უფრო მეტი ისწავლონ ერთმანეთზე.

ჩვენ ვართ დები და ძმები, ღვთის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანები. დაე, ხელიხელჩაკიდებულებმა და სიყვარულით გულანთებულმა ვიაროთ ერთად, რათა შევძლოთ ერთად გავუმკლავდეთ საერთო პრობლემებს და ავაშენოთ მშვიდობიანი, წარმატებული ქვეყანა და მსოფლიო. დაე, ყოვლადძლიერმა ღმერთმა დაგვლოცოს ყველა!

MERAB GAPRINDASHVILI
Archbishop of the Evangelical Baptist Church of Georgia

THE IMPORTANCE OF CHRISTIAN-MUSLIM DIALOGUE IN THE REPUBLIC OF GEORGIA

“Happy are those who work for peace; God will call them his children!” (Matthew 5:9)

Why dialogue and cooperation between Muslims and Christians is important? Pope Benedict XVI was talking about an importance of this dialogue when he addressed the Ambassadors from Muslim countries in 2006 in which he said: „Inter-religious and inter-cultural dialogue between Christians and Muslims cannot be reduced to an optional extra. It is, in fact, a vital necessity, on which in large measure our future depends.“

For their part, 137 Muslim Scholars and leaders from across the Muslim world sent a letter to Christian leaders in 2007. It says: „Muslims and Christians together make up over half the world’s population. Without peace and justice between these two religious communities, there can be no meaningful peace in the world. The future of the world depends on peace between Muslims and Christians.“

The Oslo Declaration of 1998 about the freedom of religion and faith states that „religions and beliefs teach peace and good will.“ Rodiger Noll, the representative of the Conference European Churches says: „Peace and reconciliation as taking care of our neighbor is an essential part of all religious doctrines. If this is true, then, how is it possible today that we are frequent witnesses of religious participation in conflict situations? Religions themselves create violence or other forces use them in an evil way?“

We all are concerned that terrible acts that take place in North Iraq, Syria, Ukraine, Turkey and in different hot places in the world. The lives of many innocent people are being sacrificed by the bloody acts of terrorists. We will not be able to develop a harmonious world without peaceful coexistence. In spite of the fact, that all main religions preach love and forgiveness with a large number of followers, we are still far away from real and true peace.

Hans Kung a Swiss Catholic Theologian said: „there will be peace on earth when there is peace among the world religions.“ 75-80% of the wars which has occurred in human history were due to religion. Although there have been conflicts because of misunderstandings among various religions, we can make a difference through conversation.

Georgia, which has determined to become a member of the European family, must be able to secure a peaceful coexistence among religious communities. Georgian religious communities must also make a contribution in creating peaceful environment.

What should be done for peaceful coexistence between Christians and Muslims and also among other religions as well?

1. Dialogue among religions should be given systematic character. From year to year, we should not be confined to only organizing conferences. Not only religious leaders

must take part in the dialogue, but the representatives of the civil society as well. We, the existing religions in Georgia, should make a modest contribution in building a peaceful country. Unfortunately, there are caricaturist views toward religions. Dialogue among religions promotes the deconstruction of caricatural views towards each other. It also helps us to destroy the walls of alienation, which we are doing successfully. It is clear that Christians and Muslims have differences. We should not ignore them; instead, we should discover them and become more aware with each other and enhance our understanding of one another. This is why dialogue is a good mechanism to tear down the walls of hatred and alienation.

2. It is obvious that there is a lack of religious education in Georgia; we know little, especially about those religions that do not represent dominant ones. A lack of education in religious sphere causes formation of false views, which prevents people from peaceful coexistence. That is why the visits and seminars from religious leaders to the believers of different denominations should be encouraged.

3. To carry out social projects together: Christians and Muslims, along with other religious denominations in Georgia, should work together on social projects as a way of learning more about each other.

We are brothers and sisters – the children of the One God. Let us, hand in hand and filled with love, walk together in order that we can overcome our common problems and build a peaceful and successful country and world. May the Almighty God bless us!

შპაბი ჭანკვეტაძე

საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის პასტორი

რელიგიაში მშვიდობისათვის

მოგესალმებით საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის სახელით!

როგორც მოგეხსენებათ, თანამედროვე მსოფლიო დგას ბევრი გამოწვევის წინაშე. ეთნიკური თუ რელიგიური კონფლიქტები მძვინვარებს თითქმის, მთელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიო ტექნოლოგიების თვალსაზრისით არნახულად განვითარებული გახდა, ობიექტური იქნება, თუ დავსვამთ კითხვას: გახდა კი ყოველივე ამან ჩვენი საზოგადოება უკეთესი? პასუხი, ალბათ, ყველასთვის გასაგებია – მიუხედავად არნახული ტექნოლოგიური პროგრესისა, ფაქტია, რომ ჩვენ ირგვლივ გარემო განიცდის რეგრესს. საშიშ ზღვარს აღწევს ტექნოლოგიური რევოლუციით გამოწვეული გარემოს დაბინძურების მასშტაბები, მიუხედავად ბევრი მცდელობისა, დასამალი არაა, რომ მთელ მსოფლიოში სერიოზული პრობლემებია განათლების სისტემაში, მოზარდთა შორის დანაშაულებები და ნარკომანია იზრდება და ხშირად გადაულახავ პრობლემად იქცევა. ოჯახების ნგრევით გამოწვეული ტრამეები, ასევე, მზარდი ძალადობის პროპაგანდა ტელევიზიითა და კინოთი ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკაზე დამანგრეველ გავლენას ახდენს, ეს კი სხვადასხვა დანაშაულისა და სისასტიკის მიზეზი ხდება. მაგრამ ყველა ეს პრობლემა უფერულდება თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მზარდი საფრთხის წინაშე, რომლის სახელიც არის რელიგიური ფანატიზმი, ფუნდამენტალიზმი და რადიკალიზმი. შემფოთების საფუძველს იძლევა რელიგიური თუ ეთნიკური კონფლიქტები სირიასა და ერაყში და თითქმის მთელ მსოფლიოში. საზოგადოებაში ისმის შიშნარევი კითხვა: რა იქნება შემდეგ?

ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, წმინდა წიგნი – ახალი აღთქმა, კერძოდ, წმიდა მოციქულ პავლეს რომაელთა მიმართ მიწერილი წერილის 12:17-18 მუხლები გვასწავლის: „არავის მიაგოთ ბოროტის წილ ბოროტი; კეთილს ცდილობდეთ ყველა ადამიანის წინაშე. თუ შესაძლებელია, თქვენი მხრივ ყველა ადამიანთან მშვიდობიანად იყავით“.

ჩვენი მაცხოვარი, უფალი იესო ქრისტე გვასწავლის: „მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, ილოცეთ თქვენი მანყევრებისთვის, კეთილი უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც გავინრობთ და გდევნით. რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი, რომელსაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსაც და უმართლებსაც (მათეს სახარება: 5:44-45)“.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ასეც სურდა, ფაქტია, რომ სამყაროში არ არის მხოლოდ ერთი რელიგია. თითქმის არც ერთი რელიგია არ ქადაგებს ბოროტებას, კაცის კვლასა და ნგრევას, მაშინ რატომ არის ამდენი კონფლიქტი და სისასტიკე? საქმე ისაა, რომ ყველა რელიგიის წარმომადგენელს საკუთარი რელიგია მიაჩნია ერთადერთ, ჭეშმარიტ სარწმუნოებად და განსხვავებული კი უკვე პრობლემაა, ხოლო თუ განსხვავებული არ იარსებებს, პრობლემაც აღარ იქნება. სწორედ, მსგავსი პრაქტიკაა გადმოცემული ლუკას სახარებაში, როცა მოციქულებს სურდათ მათგან განსხვავებულისათვის აეკძალათ საქმიანობა: „მიუგო იოანემ პასუხად: „მოძღვარო, ჩვენ ვნახეთ ვილაც, ვინც შენი სახელით სდევნის ეშმაკებს და დავუშაღეთ მას, რადგან ჩვენ არ მოგვყვება“. იესომ უთხრა: „ნუ დაუშლით, ვინაიდან, ვინც თქვენ წინააღმდეგ არ არის, თქვენკენა“ (ლუკა 9:49-50).

მსოფლიო ისტორიაში არსებულ რელიგიურ კონფლიქტებსა და ომებზე დაკვირვებით საჭიროა გავაკეთოთ დასკვნა, რომ სხვა რელიგიის განადგურება პრობლემას არ წყვეტს და სრულდება ერთი სიბრძნე: ქარის დამეთესავი ქარიშხალს მოიმკის. თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემები და გამოწვევები გვაჩვენებს, რომ რელიგიებს შორის დიალოგს ალტერნატივა არ გააჩნია.

ჩვენი სამშობლო, საქართველო, არის თანამედროვე სამყაროს ნაწილი და, რაღა თქმა უნდა, სამყაროში მიმდინარე პროცესები აისახება ჩვენს ქვეყანაზედაც. ჩვენი სამშობლოს ისტორიაში მრავლადაა ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მაგალითები. ამის დასტურია ძველი თბილისის ერთი პატარა უბანი, სადაც ერთმანეთის გვერდით დგას სინაგოგა, მეჩეთი, სომხური სამოციქულო და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიები. ჩვენ, თანამედროვე ქართველებს, გვიყვარს დავიკვებნოთ ჩვენი ისტორიული ტოლერანტობით. მაგრამ თუ შეუიარაღებელი თვალთ შევხედავთ ჩვენს სინამდვილეს, სამწუხაროდ, ხშირად საპირისპიროს აღმოვაჩინებთ. ჩვენს უახლოეს ისტორიაში უცხო არ იყო რელიგიის სახელით დარბევები და ცემა, ჯვრებით ადამიანების დასისხლიანება თუ განსხვავებული რწმენის ადამიანებისათვის სახალხოდ თავის გადაპარსვა. ამ ყოველივეს ხელს უწყობდა რელიგიური მოღვაწეების აგრესიული და სიძულვილის ენის შემცველი მონოდებები, რელიგიური ინდოქტრინაცია სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში. სამწუხარო რეალობაა, როცა დღემდე განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანებისათვის რთულია იმ ელემენტალური უფლებებითა და პრივილეგიებით სარგებლობა, რაც ხელმისაწვდომია უმრავლესობის რელიგიას მიკუთვნებულ ადამიანებისათვის.

მისასალმებელია საქართველოს წმიდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინება და გაძლიერება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის სახელმწიფოს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ბევრი რელიგიური გაერთიანება თუ ჯგუფი, იმავე საქართველოში, განიცდის უკიდურეს უკმარისობას და ჩაყენებულია დისკრიმინაციულ სიტუაციაში, ვერ ახორციელებს რა სრულფასოვნად თავის საქმიანობას; როგორც ერთი ანდაზა ამბობს: „მკურნალი ავადმყოფს ჭირდებაო“, სწორედ იქაა ძალისხმევა გამოსაჩენი, სადაც არის პრობლემები.

ამ მიმართულებით, უთუოდ აღსანიშნავია 2005 წელს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან მემორანდუმის საფუძველზე შექმნილი რელიგიათა საბჭო, რომელიც იყო და დღემდე რჩება პირველ, ფართო ფორმატის რელიგიათაშორის ფორუმად, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებდა საქართველოში არსებული თითქმის, ყველა რელიგია და აღმსარებლობა (სამწუხაროდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამოკლებით). მინდა ხაზგასმით აღვნიშნო რელიგიათა საბჭოს უდავოდ პოზიტიური როლი საქართველოს უახლეს ისტორიაში არსებული რელიგიური ატმოსფეროს გაუმჯობესებაში, რელიგიებს შორის დიალოგის დაწყებასა და ხელშეწყობაში. პოზიტიური და ძალზედ მნიშვნელოვანი იყო რელიგიათა საბჭოს მიერ გამოჩენილი აქტივობები და რეკომენდაციები. აქვე მსურს აღვნიშნო მესამე სექტორის (არასამთავრობო ორგანიზაციები) ასევე პოზიტიური როლი ამ მიმართულებით; მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ ნაბიჯისა, ბევრი პრობლემა რჩებოდა და დღემდე რჩება გადასაჭრელი. ჩვენ, რელიგიების წარმომადგენლები, ვგრძნობდით და ვგრძნობთ, რომ საჭიროა რაღაც მეტი.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა, საქართველო არის დემოკრატიული, სეკულარული სახელმწიფო, სადაც რელიგია გამიჯნულია სახელმწიფოსაგან, მაგრამ სწორედ სახელმწიფოა განვითარების, მშვიდობის, თავისუფალი, ტოლერანტული, პლურალის-

ტური და დივერსიფიცირებული გარემოს შექმნის გარანტი. ამ მიმართულებით კი, ჩვენს სამშობლოში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ძალიან ბევრი პოზლემა რჩებოდა და რჩება.

2014 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით შეიქმნა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ამ დრომდე მსგავსი სახელმწიფო სტრუქტურა არ არსებობდა და ამის გამო ჩვენ, რელიგიებს, ხშირად დისკომფორტი გვექმნებოდა სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასაწყისში ჩვენ ამ სტრუქტურის შექმნას სკეპტიკურად ვუყურებდით. ჩვენი რელიგიური გაერთიანება იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც დახმარებისთვის მივმართეთ სააგენტოს და გვსურს აღვნიშნოთ, რომ პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც ვერ ვახერხებდით ათწლეულების განმავლობაში, ამ სტრუქტურის დახმარებით და ჩარევით გადაიჭრა. აქვე გვსურს აღვნიშნოთ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პოზიტიური როლი ქვეყნის უახლეს ისტორიაში რელიგიური ატმოსფეროს გაუმჯობესების მიმართულებით. სააგენტოს საქმიანობა პოზიტიურად აისახა რელიგიური გაერთიანებების საკუთრების საკითხების გადაწყვეტაზე. ამ სტრუქტურის დახმარებით გაადვილდა სახელმწიფო სტრუქტურებთან კონტაქტი და უფრო კონცენტრირებულად ხერხდება რელიგიური ორგანიზაციების კერძო საჭიროებებზე დახმარება და გადაწყვეტილებების მიღება.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში არსებობს ინტერრელიგიური სათათბირო, სადაც, ასევე, მონაწილეობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესეც არის უდავო პოზიტიური შტრიხი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, იმიტომ რომ ჩვენ, ქრისტიანები (სხვადასხვა ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევრები) და მუსლიმებიც, იუდეველებიც და სხვა რელიგიის წარმომადგენლები, ყველა ჩვენი სამშობლოს მოქალაქეები და შვილები ვართ. დღეს ჩვენს ხელთ არის დაძაბულობისა და ჩაგვრის განმუხტვა და აღმოფხვრა. ჩვენ უნდა დავსხდეთ ერთ მაგიდასთან და ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორ იგრძნოს ჩვენ გვერდით მდგომმა, ჩვენგან გასხვაგვარულმა, თავი ჩვენ თანასწორად და თავისუფლად ამ ქვეყანაში. საქართველო ჩვენი საერთო სახლია, მიუხედავად ჩემი რელიგიური კუთვნილებისა, ვერავინ შემეჯიბრება ჩემი სამშობლოს სიყვარულში. გავიმეორებ: რელიგიებს შორის დიალოგს ალტერნატივა არა აქვს. ვისურვებდი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში არსებულმა ინტერრელიგიურმა სათათბირომ უფრო მეტად იაქტიუროს, რათა ეს დიალოგი უფრო გაღრმავდეს, რომ რელიგიურ სფეროში არსებული ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემების გადაწყვეტა მოხდეს მშვიდობიანად. ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი ქვეყანაში თავისუფალი, უსაფრთხო და ტოლერანტული გარემოს შესაქმნელად და ამ პასუხისმგებლობას ღმერთი გვაკისრებს. ჩვენ არ ვაშენებთ ერთ რომელიმე რელიგიურ ორგანიზაციას, ჩვენ დიალოგითა და ხელშეწყობით შეგვიძლია საზოგადოებაში ბევრი მანკიერი სტერეოტიპის დანგრევა და ჩვენ ირგვლივ გარემოს გაჯანსაღება.

საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის სახელით, მსურს მაძღობა გადავუხადო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ამ კონფერენციის მონწევვისა და ორგანიზებისთვის.

ჩემს გამოსვლას კი დავასრულებ ლუკას სახარების 2:14 მუხლში გადმოცემული ანგელოზის სიტყვებით:

„დიდება მალალთა შინა ღმერთს და მშვიდობა დედამიწაზე კეთილი ნების ადამიანებს!“

ღმერთმა დალოცოს საქართველო!

SHMAGI CHANKVETADZE
The Evangelical Protestant Church, Pastor in Gori

RELIGIONS FOR PEACE

Greet you in behalf of Georgian Evangelical-Protestant church.

As you know, modern world faces lots of challenges. But all of them fade before the new, growing threat, which is fanaticism, fundamentalism and radicalism. Christian doctrine teaches us to return good for evil and to be peaceful with everyone. Even more - to love enemies and bless our persecutors. (Romans 12:17-18; Matthew 5:44-45) Though, there is almost no religion, which preaches evil, still there are number of conflicts and violence all over the world. The challenges of the modern society shows us that there is no alternative to the dialog between the religions. Georgia is part of the modern world. Despite of the boast about the historical Georgian tolerance, unfortunately the reality is different. In the closest past we got used to persecution in behalf of the religion and hear the aggressive invokes of the religious personalities. For the representatives of different confessions it is still difficult to enjoy basic rights, which are available for the orthodox citizens. We are glad for restoring and strengthening of Georgian Orthodox church, which became possible due to the Government support. But on this background many religious unions in Georgia are discriminated, as they have no possibility to conduct their activity to the full extent of their potential. In 2005, according to the memorandum, was established the Council of Religions under the auspices of the Public Defender of Georgia. It has been the first wide format interreligious forum in Georgia (where unfortunately the Orthodox church was not involved). The Council, as well as nongovernmental organizations, played very positive role in forming good grounds for the dialogue between different religions. And in 2014 according to the ordinance of the Prime Minister of Georgia the State Agency for Religious Issues was established. There was no similar State institution before, what caused lots of inconveniences for the different confessions because of the lack of communication with the governmental structures. Our religious organization addressed to the State Agency for Religious Issues and must be noted, that the problem, which we had not been able to solve for several years, was solved by the Agency. Deserves special mention the positive role of the Agency in improving of the religious atmosphere in the Country. It made easier to communicate with the governmental structures. Under the auspices of the State Agency for Religious Issues, there is the Interfaith Council, where the Georgian Orthodox church also participates, what is positive fact in our history. Representatives of different Christian confession, as well as of other religions, Muslims and Jews, etc., we all are citizens and children of Georgia. Now it depends on us, to unroot all the tension and suppression. Our country is our common home. As there is no alternative to the dialogue, hopefully the Interfaith Council would deepen the dialogue to solve present inter-religious problems peacefully. There is a lot to do, for forming of healthy, free, safe and tolerant environment in our country to destroy vicious stereotypes in Georgian society.

Glory to God in the highest, and on earth peace, good will toward men.

May God Bless Georgia!

პასკალ მონიე

საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

უპირველეს ყოვლისა, მსურს მადლობა გადავუხადო ბატონ ზაზა ვაშაყმაძეს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს, ძალიან საინტერესო ფორუმის ორგანიზებისთვის, რომლის ფარგლებშიც რელიგიური თემების, დიპლომატიური კორპუსისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა ერთად იფიქრონ ინტერრელიგიური დიალოგის როლზე მშვიდობის ხელშეწყობაში.

მსურს გაგიზიაროთ რამდენიმე მოსაზრება: ერთი – უკავშირდება სეკულარიზმის ფრანგულ მოდელს; მეორე – ინტერრელიგიური დიალოგის როლს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში; მესამე – სამომავლო ამოცანებს.

საფრანგეთი, თუ დავეყრდნობით ისტორიკოსთა ცნობებს, IV საუკუნიდან წარმოადგენდა კათოლიკურ სახელმწიფოს, თუმცა კათოლიციზმი დღესაც ძირითადი რელიგიაა საფრანგეთში, რომელიც მოსახლეობის 80%-ს მოიცავს. მიუხედავად ამისა, მხოლოდ 10% მისდევს მას ყოველდღიური წესით. საფრანგეთის მოსახლეობის 7% მუსლიმანია, 3% – პროტესტანტი, 1% – იუდაიზმისა და ბუდიზმის მიმდევარი.

1905 წლიდან სახელმწიფო და რელიგია გაყოფილია, ფრანგულ ენაში გვაქვს სიტყვა „laïcité“, რომელიც ითარგმნება, როგორც სეკულარიზმი და სინამდვილეშიც, საფრანგეთი სეკულარული სახელმწიფოა, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ გვინდა რელიგიურ საქმეებში პირდაპირი ჩარევა და ამავე დროს ჩვენ ვაღიარებთ რელიგიების თავისუფლებას, სინდისის თავისუფლებასა და ნებისმიერი ინდივიდის თავისუფლებას, სწამდეს ან არ სწამდეს ღმერთი.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს გააჩნია მნიშვნელოვანი ფუნქცია, მორწმუნეებისათვის, შეძლებისდაგვარად, შექმნას უკეთესი გარემო, რათა მათ შეძლონ თავიანთი რწმენის გამოხატვა. ვფიქრობთ, რომ ინტერრელიგიური დიალოგი ძალიან მნიშვნელოვანია მშვიდობის, ტოლერანტობის, ძმობისა და სოლიდარობისათვის აუცილებელი გარემოს შესაქმნელად და გასაუმჯობესებლად.

ჩემი მეორე მოსაზრება ტერორიზმს შეეხება. სააგენტოს თავმჯდომარემ უკვე აღნიშნა საშინელი მოვლენები, რომლებიც მოხდა საფრანგეთში. სამწუხაროდ, ჩვენ ყოველდღიურად ვხდებით ტერორისტული აქტების მოწმეები მთელ მსოფლიოში. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი შეხვედრების ორგანიზება, რათა ერთმანეთში არ ავურიოთ რელიგია და ტერორიზმი, ვინაიდან ტერორისტული აქტების ჩამდენები საკუთარ თავს ისლამის მიმდევრებს უწოდებენ, თუმცა ისლამს არაფერი აქვს საერთო ტერორიზმთან, ისლამი მშვიდობიანი რელიგიაა. ძირითად საფრთხეს ჩვენთვის წარმოადგენს მედიის საშუალებით ტერორისტულ აქტებზე მიღებული ინფორმაციის შედეგად აღძრული გრძნობები, რომლებმაც, შესაძლებელია, ჩვენში გამოიწვიოს გაურკვეველობა რელიგიებისა და ექსტრემისტების შესახებ. ფრანგმა ინტელექტუალმა, რომლის სახელიცაა ოლივერ რუე, 2015 წელს პარიზში მომხდარი თავდასხმების შემდეგ თქვა, რომ რადიკალიზმი სოციალური და ფსიქოლოგიური ფენომენია, 70-იანი წლების განმავლობაში რადიკალიზმი დაკავშირებული იყო იდეოლოგიებთან, განსაკუთრებით ულტრამემარცხენე იდეოლოგიებთან.

ანმყოფი მომხდარი ტრაგიკული თავდასხმები ევროპასა და ზოგადად მსოფლიოში არ უნდა აღვიქვათ როგორც ისლამის რადიკალიზაცია, არამედ, როგორც რადიკალიზმის

ისლამიზაცია, ან ექსტემისტების მიერ ისლამის ბოროტად გამოყენება. ეს ნიშნავს, რომ რადიკალიზმის მახასიათებლები ფსიქოლოგიური, წმინდად ინდივიდუალისტური და სოციალურია და ადამიანები, რომლებიც ახორციელებენ ასეთ თავდასხმებს, დიდწილად უცოდინრები არიან, არ იცნობენ რელიგიას.

დასკვნები, რომლებიც შეიძლება გამოვიტანოთ ამ ანალიზიდან არის ის, რომ ინტერრელიგიური დიალოგის ნახალისება არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც პირდაპირი პასუხი რადიკალიზმზე, არამედ უფრო როგორც შესაძლებლობა, შევავსოთ ნაპრალი ჩვენს ქვეყნებში არსებულ თემებს შორის. ამ მიმართულებით ერთობლივი მოძრაობა წარმოადგენს საუკეთესო შესაძლებლობას ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში. მსურს გავიმეორო ერთი ფრანგი იმამის სიტყვები, რომელმაც თქვა, რომ ადგილი, სადაც ხდება სიძულვილის ქადაგება, არ არის ადგილი ლოცვისათვის. ამგვარად, ერთმანეთის სწავლება დიალოგის გზით არის საუკეთესო საშუალება. რწმენათაშორისი დიალოგი წარმოადგენს საუკეთესო შესაძლებლობას ერთმანეთის აღქმის/შეცნობისა და მორწმუნეთა შორის ურთიერთგაგების დასამკვიდრებლად.

მსურს გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება, ვინ რა უნდა გააკეთოს ამ მიმართულებით. მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას კარგი გარემო თავისუფლების, განათლების, სოციალური, ჯანდაცვისა და, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების მხრივ, რათა თავიდან ავიცილოთ ტერორისტული აქტები, თუმცა მიმაჩნია, რომ საზოგადოებრივ/სოციალურ დონეზე თითოეულ თქვენგანს, თითოეულ ჩვენგანს ინდივიდუალური ქმედებისა თუ არასამთავრობოების დახმარებით გვაკისრია პასუხისმგებლობა, უზრუნველვყოთ სხვადასხვა რელიგიური თემის წარმომადგენელთა შეხვედრები, როდესაც შეგვიძლია ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი მოსაზრებები და ჩვენი გამიცდილება. შესაძლებელია, თქვენთვის ცნობილია ადამიანი სახელად რეზარ დეგა, რომელიც მუშაობს National Geographic-ში, იგი აწყობს უამრავ შეხვედრასა და კონფერენციას ბავშვებთან, კრებს სხვადასხვა რელიგიის მიმდევარ ბავშვებს, რათა ისაუბრონ მშვიდობაზე, ცხოვრებაზე, იმაზე, თუ რას წარმოადგენს ქორწინება, რას წარმოადგენს განათლება. მიმაჩნია, რომ ასეთი ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანების გასაერთიანებლად.

დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდის რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს და მსურს გავიმეორო ცნობილი ქართველი მწერლის, ილია ჭავჭავაძის, სიტყვები: „ქართველმა, თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც“. მიმაჩნია, რომ ასეთი შეფასება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინტერრელიგიურ დიალოგს მშვიდობის მშენებლობისას.

დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

PASKAL MEUNIER
The ambassador of France in Georgia

First, I would like to thank Mr. Zaza Vashakmadze, chairman of the State Agency for Religious Issues, for organizing this very interesting forum, in which representatives of different religious communities, diplomatic core and universities are gathering in order to think together about the role of an interreligious dialogue to promote peace.

I would like to share with you a few points. One dedicated to the French model of secularism and other one, dedicated to the role of interreligious dialogue to fight against terrorism. And then to share few ideas about what could be done next.

When France, as if we follow the historians to be or to have been a Kingdom of Catholicism in the 4th century. But today Catholicism is still in France, is still a major religion, which encompasses 80% of the population, even if only 10% are really practicing their religion on the daily life basis. We have also in France 7% of Muslims, 3% of Protestants, 1% of Jews and Buddhists.

Since 1905 state and religious affairs are separated, in French we use a term „laïcité, which is translated in English as Secularism, but as a matter of fact, we are a secular State, that means that we don't want to be involved in religious matters directly and at the same time, we recognize freedom of religions, freedom of conscience a right of any individual to believe or not to believe in god.

And we think that the State has a very important function to create the better environment possible for the individual believers to express themselves. And we think that Interreligious dialogue is very important to form, to foster common quotations in favor of peace, tolerance, of brotherhood and solidarity.

My second point is related to terrorism and I think that chairman who has mentioned the terrible events that occurred in France. But I think that unfortunately every week we are witnessing terrorist actions everywhere in the world. It is important to have this kind of meeting in order not to mix religion and terrorism, because the perpetrators of these actions sometimes they are referring to their belonging to Islam, but Islam has nothing to do with terror, Islam is a peaceful religion and the major danger of our societies especially though all the media and through the emotions provoked by terrorist acts is to have confusion in our minds, about religions and extremisms. One French intellectual whose name is Oliver Roués said after November 2015 attack in Paris that radicalism is a societal and psychological phenomenon, during the 70-ies radicalism was linked to ideology especially to far left ideologies.

Nowadays, the recent tragic events that occurred in Europe and in other countries should not be seen as radicalization of Islam, but rather as Islamization of radicalism, or the misuse of Islam by extremists. This means that the patterns are still psychological, truly individualistic and societal and people committing those attacks are in the great majority ignorant of religions.

What conclusions can we draw about from this analysis I think that promotion of the interreligious dialogue should not be seen as a direct answer to radicalism, but more as a tool to breach the gap between the communities in our countries growing together towards this process is one of our best chances to tackle over radicalism. I would like to quote what one of imams, who said after terrorist attack, he said that those places that preach hate are not places of prayer, to this extent improving knowledge of the other through dialogue is certainly our best option. And interfaith dialogue will foster better understanding of different religions and increase mutual understanding among believers.

I would like to conclude to share some reflections with you about what to do who has to do what. I think that government has to create the conditions a good environment in terms of freedom, in terms of educations, in terms or social and healthcare and of course in terms of security to avoid extremist actions, but I think that at local level each of you, each of us, either through individual actions or though NGOs have responsibility to organize gatherings with different relatives of different religions

sharing experience on seems of everyday life. Maybe you know there is somebody whose home is Rezar Degat he's working for National Geographic and he's organizing a lot of meetings a lot of conferences with children, gathering children from different religions in order to sing together about peace, about life, about what is marriage, what is education and I think that this kind of initiative is very important to bring people together.

I would like to conclude to thank again the State Agency and to quote Georgian writer Ilia Chavchavadze, who once wrote:

Georgians crucified because of their belief, know how to respect others faith and I think that this assessment has particular importance for interreligious dialogue in the building of peace process.

Thank you for your attention.

ზაქი ლეჟენტი ბუმრუქი

თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

ვაპირებ მხოლოდ მოკლე კომენტარის გაკეთებას. ყველაფერი უკვე ითქვა და განსაკუთრებით დახვეწილად რელიგიური ლიდერებისა და ჩემი ფრანგი კოლეგის მიერ. ნამდვილად ბევრს ვერაფერს დავამატებ გარდა იმისა, რომ მსურს მადლობა გადაგიხადოთ და მოგილოცოთ ამ შესანიშნავი და ძალიან დროული შეხვედრის ორგანიზება და ასეთ გარემოში ყველა დაინტერესებული პირის ერთად მოწვევა. გაგაცნობთ ჩემს პირად შეხედულებას ამ საკითხის შესახებ. ჩემთვის რელიგია არის ის, რაც ადამიანებს აერთიანებს, რაც ხელს უწყობს კაცობრიობის მშვიდობიან თანაცხოვრებას ამ სამყაროში. მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი ისტორიის განმავლობაში იყო დრო, როდესაც გარკვეული ადამიანები ცდილობდნენ ჩვენი რელიგიების შეურაცხყოფასა და ბოროტად გამოყენებას, რათა განეხორციელებინათ ჩვენი დანაწევრება და ხელოვნურად განცალკევება. სამწუხაროდ, თურქეთი კიდევ ერთ ასეთ პერიოდს გადის. განსაკუთრებით ცივი ომის შემდეგ, რელიგია უფრო მნიშვნელოვანი გახდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ ზოგიერთი ადამიანი კვლავ ცდილობს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მხოლოდ რელიგიური იდენტობით და ცდილობს შექმნას ერთგვარი მენტალიტეტი „ჩვენ“ „მათ“ წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ტერორისტული ორგანიზაციების, როგორცაა ალ-ქაიდა და დაეში, ძალიან აგრესიულმა და ბარბაროსულმა ქმედებებმა ხელი შეუწყო ამას, ვფიქრობ, მნიშვნელოვნადაც. განსაკუთრებით დასავლეთში, რასაც ჩვენ ისლამოფობიას ვუწოდებთ, სწორედ ამ ორგანიზაციების მიერ ძალიან ბარბაროსული, მიუღებელი ქმედებების გამო ჩამოყალიბდა რელიგიის ნიშნით შენიღბულ ადამიანთა აგრესიული პოლიტიკა. მაგრამ ჩვენ ეს უნდა შევაჩეროთ, რათა ჩვენი რელიგიების საერთო გზავნილის მიმართ ვიყოთ ერთგულნი, რათა გვექონდეს შესაძლებლობა ვიცხოვროთ, მშვიდობიან და ჰარმონიულ მსოფლიოში. ჩვენ უნდა შევეწინააღმდეგოთ იმ რადიკალურ იდეოლოგიასა და იმ რადიკალებს, რომლებიც ცდილობენ ჩვენს დაყოფას ჩვენი რელიგიების, სარწმუნოებისა და აღმსარებლობის საფუძველზე. ვფიქრობ, ამ მიმართულებით დიდი სამუშაოს შესრულება რელიგიურ ლიდერებს მოუწევთ. მათ ბევრის გაკეთება მოუხდებათ, მათ დიდი პასუხისმგებლობა აქვთ ჩვენი სწორი მიმართულებით წარმართვაში. ვფიქრობ, ჩვენ ერთად უნდა შევეძლოთ, ვაჩვენოთ უფრო მეტად ის, რაც გვაერთიანებს და არა ის განსხვავებები, რაც არის ჩვენ შორის და სხვადასხვა კონფესიასა და რელიგიას შორის. ასე რომ, ჩვენ უნდა შევეძლოთ ვაჩვენოთ ეს ძალიან ნათლად და მტკიცედ ჩვენს მოსახლეობას. ჩვენი მხრივ, თურქეთი ნამდვილად კარგად მომზადებულია ამ საერთო მიზანში თავისი წვლილის შესატანად, ჩვენი დიდი ხნის ტოლერანტობის ისტორიული ტრადიციების, სხვადასხვა თემს შორის უკეთესი ურთიერთგაგების გამო და ასევე თურქეთის რესპუბლიკის საკმაოდ კარგად დადგენილი ფუნდამენტური პრინციპების გამო, რომელიც ეფუძნება სეკულარიზმს. ჩვენ გვწამს, რომ განსაკუთრებული როლი გვაქვს ხელი შევუწყოთ ინტერრელიგიურ დიალოგსა და ინტერრელიგიურ ტოლერანტობას. სწორედ ამიტომ, მაგალითად, 2004 წელს დავინწყეთ ახალი ინიციატივა სახელწოდებით „ცივილიზაციათა ალიანსი“ და მას შემდეგ ის ერთ-ერთი უმსხვილესი ინიციატივა გახდა გლობალური მასშტაბით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდეგ ეს არის საინიციატივო ორგანიზაცია, რომელშიც ყველაზე მეტი ქვეყანაა განეწვრიანებული და ნამდვილად ცდილობს ხელი შეუწყოს ინტერრელიგიურ დიალოგს და ასევე ცდილობს, მხარი დაუჭიროს მსოფლიოში სხვადასხვა რელიგიასა და კულტურას შორის უკეთეს ურთიერთგაგებას. მაგრამ ნება მიბოძეთ აღვნიშნო, რომ ჩვენ ასევე ძალიან ბედნიერები ვართ აქ, საქართველოში, ქვეყანაში, რომელსაც ასევე ინტერრელიგიური ტოლერანტობისა და ურთიერთგაგების

დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ვფიქრობ, დღეს ქვეყნების განვითარება მხოლოდ მისი ეკონომიკური ზრდით არ იზომება, არამედ იზომება ამ საკითხებისადმი მიდგომით და ჩვენს საზოგადოებაში და მის ფარგლებს გარეთ ტოლერანტობის ხელშეწყობით. ვფიქრობ, ამ მხრივ საქართველო არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მონინავე ქვეყანა. ასე რომ, ასევე დიდი პატივია, გვექონდეს ძალიან ძლიერი და კარგი ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობა ამ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენს ქართველ კოლეგებთან. ჩვენს რელიგიის საქმეთა დირექტორატს კარგი საქმიანი ურთიერთობა აქვს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან და ასევე საქართველოს მართლმადიდებელ პატრიარქთან. ასე რომ, ვიმედოვნებ, ერთად, ჩვენი ძალების გაერთიანებით, მივალწევთ პროგრესს ინტერრელიგიური დიალოგის ხელშეწყობის თვალსაზრისით ყველა ჩვენი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

მადლობას მოგახსენებთ.

ZEKI LEVENT GUMRUKCU
The ambassador of Turkey in Georgia

I'm going to make just a few remarks. Everything has been said already and most elegantly by religious leaders and by my French colleague. I don't really have much to add other than thanking you and congratulating you for this wonderful meeting very timely meeting and bringing all the stakeholders together at such an environment. So allow me just to add a personal perspective because I don't feel really entitled to add anything that has already been said so far. For me religion is something to unite people something to facilitate a peaceful cohabitation of the humanity in this world. But unfortunately throughout the history there were times when certain people tried to abuse, exploit our religions in order to divide us in order to create artificially fallen parts. Unfortunately we are going through yet another such period. Particularly after the cold war in the absence of a more dominated sweeping ideology when religion has become more important in our social life again some people tried to identify themselves only by their religious identities and tried to create a sort of us versus them mentality. Unfortunately the very violent barbaric acts of terrorist organizations like Al-Qaeda and Daesh has also contributed to that in I think a big way. Particularly in the west what we call „Islamophobia“ has emerged because of the very barbaric, unacceptable acts of these organizations as well. But we need to stop that in order to be true to the common message of our religions, in order to be able to live in peace and harmony in this world we need to stop that. We need to counter those radical ideologies and radicals who are trying to divide us on the bases of our religions and faiths and confessions. I think in this direction a great deal of job is upon the shoulders of our religious leaders. They have a lot to do they have a big responsibility to lead us in the right direction. I think we should be able to show together what unites us is much more than what are the differences among ourselves between different confessions and different religions. So we need to be able to show that in a very vivid in a very strong way to our populations. In our part Turkey feels definitely well-placed to contribute to that common objective, because of our long-dated historical traditions of tolerance and better understandings between different communities but also because of very well established fundamental principles of Turkish Republic based on secularism. We believe we have a special role to contribute to this interreligious dialogue and interreligious tolerance. That's why for example in 2004 we started

an initiative called „Alliance of Civilizations“ and since then it has grown into one of the largest initiatives in a global scale. After the UN it is the initiative organization which has the highest number of countries as its members and really trying to promote interreligious dialogue and trying to promote better understanding between different cultures and religions of the world. But let me also conclude that we are also very happy here in Georgia, a country which has again a deep-rooted tradition of interreligious tolerance and the mutual understanding. I think today the measure of development of the countries can't really just be measured by economic growth and such but it is also very much measured by how they approach to these issues and how they can really promote tolerance in their societies and beyond. I think for that matter Georgia is definitely one of the most advanced countries in the world. So it also gives us a great privilege to be able to have a very strong and good cooperation with our Georgian counterparts on these particular issues. Our Religious Affairs directorate has a very good working relationship with State Agency for Religious Issues but also with Georgian Orthodox Patriarch as well. So I hope together

as we unite our forces as we join our hands together we'll be able to make progress in terms of promoting this interreligious dialogue for the benefit of all our populations.

Thank you again.

ირაკლი ბრაჭული

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რელიგიათა დიალოგის ფილოსოფიური ხასიათი

თანამედროვე სულიერი სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გლობალიზაციის პირობებში კომუნიკაციების პლანეტარული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ადამიანთა კულტურულ და სულიერ-ეგზისტენციალურ კომუნიკაციას, რაც იწვევს კონფლიქტებს და ზრდის დედამიწაზე სიცოცხლის თვითმოსპობის საფრთხეებს. ცვლილებები თანამედროვე სამყაროში იწვევს ცვლილებებს აზროვნების ორიენტაციაშიც. 21-ე საუკუნეში ცვლილებებს განიცდის რელიგიათა კომუნიკაციის დისკურსიც.

გამოცდილება გვკარნახობს, რომ უარი უნდა ვთქვათ მე-18 საუკუნის განმანათლებლობის ფილოსოფიათა პროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა კაცობრიობის ერთიანი უნივერსალური გონების რელიგიის ჩამოყალიბებას. იმანუელ კანტის შრომაში „რელიგია მხოლოდ გონების ფარგლებში“ მოცემულია რელიგიათა ისტორიული განვითარების დასასრულის პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, რელიგიები იწყება სიტუაციური პრიმიტიული რელიგიებით და მთავრდება გონების რელიგიით, ანუ ყველა გონიერი არსებისათვის სავალდებულო მორალური მოვალეობის იდეით. თანამედროვე ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს უტოპიური პროექტი იყო. გონების ყოვლისშემძლების რწმენა ცრურწმენა აღმოჩნდა. დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ რელიგიათა ხელოვნური პროგრამული მართვის იდეა მცდარი იდეაა. ასევე გამტყუნდა ტრადიციულ რელიგიათა ჩანაცვლება საყოველთაო „სამოქალაქო რელიგიით“.

ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროგრესს აღმოაჩნდა „გვერდითი მოვლენები“ – ისეთი ჩრდილოვანი მხარეები, რომლის პროგნოზირება შეუძლებელია. ფსიქონალიზის ფუძემდებელს, ზიგმუნდ ფროიდს, აქვს ერთი გვიანდელი ნაშრომი „კულტურით უკმაყოფილება“, რომელმაც დღევანდლამდე შეინარჩუნა აქტუალობა. ამ ნაშრომით არის დავალებული თანამედროვე კულტურის, რელიგიისა და პოლიტიკის ბევრი ნამყვანი ანალიტიკოსი. „კულტურით უკმაყოფილება“ 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. კულტურით უკმაყოფილოთა შორის არის ანტიგლობალიზტური მოძრაობებით დაწყებული და ალ-ქაიდას ტერორისტებით დამთავრებული, ძალზე ბევრი და ერთმანეთისაგან განსხვავებული ძალა.

ფროიდი აღნიშნავდა, რომ კულტურა წარმოადგენს ადამიანის ბუნებრივი ლტოლვების რეპრესიული დათრგუნვის შედეგს. ამიტომ კულტურაში ცხოვრება არ არის კომფორტული, ის არ არის სამოთხე მიწაზე, რაც იწვევს აგრესიული, დესტრუქციული იმპულსების ბობოქრობას. ამას ის თანატოსის იმპულსს უწოდებდა. ცხადია, არასაკმარისია მაგრამ ერთ-ერთი მცდელობაა, მეცნიერებამ ახსნას ის ფაქტი, რომ კულტურისა და ცივილიზაციის გაფურჩქვნის პერიოდებშიც კი იფეთქებს ხოლმე ბარბაროსობისა და ველურობის ვულკანები. მაგალითად, როგორც მოხდა XXII საუკუნის შუა პერიოდში, ევროპის შუაგულში, ფაშიზმის ამოფრქვევა. ტექნიკური პროგრესი შეიძლება იწვევდეს მორალურ რეგრესს. ამის შესახებ დამაჯერებელი ანალიზია ჩატარებული ადორნოსა და ჰორკჰაიმერის „განმანათლებლობის დიალექტიკაში“. არსებობს კომპეტენტური გამოკვლევე-

ბი იმის შესახებ, რომ ტექნოლოგიების განვითარება უახლეს ათწლეულებში გამოიწვევს ფუნდამენტურ ცვლილებებს, რომელთა წინასწარი ცოდნა შეუძლებელია, რომლისთვისაც კაცობრიობა ჯერ მზად არ არის.

ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება რელიგიათა კომუნიკაციის ახალი დისკურსის ჩამოყალიბებას. მსოფლიო წესრიგი შეუძლებელია მხოლოდ სეკულარული გონების იურიდიულ საწყისზე დაფუძნდეს; კონსტიტუციული წესრიგი, რომელიც ნეიტრალურია რელიგიური განზომილების მიმართ, საკმარისი არ არის საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისათვის; კიდევ უფრო საშიშია ძალაუფლების ავტორიტეტის შერწყმა რელიგიურ კონფესიასთან, რაც თეოკრატიული უტოპიის სახეს იღებს. საერო სამოქალაქო სახელმწიფო, ცრუ თეოკრატიის ნაცვლად – ესაა ათვლის წერტილი, მაგრამ ახალ პირობებში საჭიროა, საერო სახელმწიფოში მცხოვრებ რელიგიურ თემთა ურთიერთობის ახლებური ფორმების ძიება, რაც ინტერრელიგიური დიალოგის ახალი ფორმების ძიებას ნიშნავს.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის უდიდეს მოაზროვნეებს და საერთოდ, თანამედროვე რელიგიათმცოდნეობის მეცნიერებას უჭირს რელიგიის არსის დადგენა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპისა და აშშ-ის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში რელიგიის კვლევები ინტენსიურად მიმდინარეობს, დიდი ემპირიული მასალაა დაგროვილი, ასევე, განვითარებულია ამ მეთოდის კლასიფიკაციის მეთოდოლოგიები – მაინც არ არის სასურველი რეზულტატები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია – ყველა რელიგია ცდილობს იყოს აუთენტური ანუ დაუბრუნდეს თავისი ტრადიციის საწყისებს. საწყისებთან დაბრუნება სხვადასხვა სახით შეიძლება იქნეს გაგებული. საწყისებთან დაბრუნება შეიძლება, თანამედროვე კულტურის დესტრუქციას დაუკავშირდეს. ბარბაროსობისა და ველურობის აღგენა დასავლური დემოკრატიისა და განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების ერთადერთ ალტერნატივად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი. ამ რეალურ ფაქტორს ემყარება თანამედროვე სამყაროს რელიგიურ ლანდშაფტში კრიმინალური ელემენტის ხვედრითი წილის ზრდა. რელიგიური ფუნდამენტალიზმის რადიკალური პოლიტიზირება და საერთაშორისო ტერორიზმად გადაქცევა სწორედ ამ მოვლენის შედეგია. ბუნებრივია, რომ უპირველესი ამოცანაა კრიმინალური ელემენტის ჯერ რელიგიური სფეროდან იზოლირება და შემდეგ პოზიტიური სფეროდანაც. ამ ამოცანის გადაჭრის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია რელიგიათმორის დიალოგის პრაქტიკა.

„რელიგიათა დიალოგის“ სიძნელეებზე ბევრია თქმული. შეუძლებელია, დოგმატურ ან რიტუალურ სფეროებში დიალოგი. ამიტომ, ზოგჯერ ამჯობინებენ „რელიგიური დიალოგის“ ნაცვლად „კულტურათა დიალოგის“ შესაძლებლობები განიხილონ.

რელიგიათა დიალოგს შეიძლება ჰქონდეს ფილოსოფიური ხასიათი. ეს რელიგიურ კონფესიათა კომუნიკაციის ყველაზე რეალური და ბუნებრივ-მენტალური განზომილებაა. ჯერ ერთი, ყველა რელიგიას აქვს თავისი „ფილოსოფია“. ცნობილია ქრისტიანული ფილოსოფია ანსელამ კენტერბერელი და თომა აქვინელის სახით. იუდაიზმის ფილოსოფია – მოსე მაიმონდი პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა გამოყენებით ცდილობდა დაესაბუთებინა იუდაიზმის რელიგია. ისლამის ფილოსოფია (ავიცენა, ალ-ფარასი) არისტოტელეზე დაყრდნობით ცდილობდა განემარტა ყურანი. პოსტსეკულარულ თანამედროვეობაში ბევრი რელიგიური ტრადიცია განიცდის ცვლილებებს, მაგრამ ეს არ იწვევს

თვითონ რელიგიური ცხოვრების გაქრობას. ბუნდოვანი წარსული და უცნობი მომავალი სამყაროს განუსაზღვრელობა, მზარდი თვითცნობიერება და თვითნაღიზი უბიძგებს ადამიანს შორეული ჰორიზონტებისაკენ. ამის მოთხოვნილება აქვს ყველა დროისა და ეპოქის ადამიანს, იცვლება მხოლოდ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფორმები. რამდენადაც იცვლება სამყარო, იმდენადვე იცვლება რწმენის სირთულეების სპეციფიკური ფორმები და მორალური პარადიგმები. რელიგიათა დიალოგის კიდევ ერთი ვექტორია „პოსტსექულარული კონდიცია“, რომლის არსებითი ასპექტები გასააზრებელია, მათ შორის, სხვადასხვა რელიგიათა რაკურსით. ამისათვის მოქმედი რელიგიები უნდა ჩაუღრმავდნენ საკუთარი ტრადიციების ჰუმანურ საწყისებს და იქიდან მიიღონ განახლების იმპულსები.

შესაბამისად, ინტერრელიგიური დიალოგის განხილვის საგანი ხდება საკითხი: რა სახის კონსტანტები უნდა იქნეს იდენტიფიცირებული პრაქტიკასთან, რომ ის რელიგიად იქნეს კვალიფიცირებული? როგორ უნდა იქნეს რელიგიური დისკურსი დისტანცირებული ძალაუფლების დისკურსისაგან? ადამიანის უკიდურესად ძლიერი მოთხოვნა – ეგზისტენციის პოზიტიური პერსპექტივები თანამედროვე გლობალურ სამყაროში – სულ უფრო ხდება იზოლაციური ეთნორელიგიური სეგრეგაცია. თანამედროვე ომო რელიგიოსუს ცოცხალი საკრალური ცხოვრების გამოცდილება კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებულ ფორმებში უნდა გამოვლინდეს. საგულისხმოა როგორც ფილოსოფიის, ასევე რელიგიათა პასუხისმგებლობის ზრდა XXI საუკუნეში. სულ უფრო აქტუალური ხდება დიალოგი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ცოდნისა და რწმენის ურთიერთკონტროლი, „დანაშაულებანი ადამიანურობის წინააღმდეგ“, ეკოლოგიური კატასტროფები, ტერორიზმი, კლონირება, ევთანაზია, გენური ინჟინერია და ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც გადაუდებლად ითხოვენ გადანყვეტას.

IRAKLI BRATCHULI

**Ph.D. in Philosophy, habilitated doctor of philosophy,
Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

PHILOSOPHICAL NATURE OF INTERRELIGIOUS DIALOGUE

Analysis of contemporary spiritual situation shows us that global system of technical communications is enable to provide cultural and spiritual communication of human. The determination of identity becomes problematic, also increases „Unsatisfactory of Culture“ (Sigmund Freud). This causes conflicts and increases the threat of life self-destruction in the universe. These problems are actual as academic sphere also in everyday speech. In the beginning of XXI century the religious communication discourse also suffers changes.

This tendency contradicts to the presumption of „Human Nature“ and threatens culture ethical, aesthetic and religion values. The similar tendencies are observed in the policy of education. The interreligious dialogue shall be based on the mutual responsibilities principle.

Retrospective and prospective responsibility idea isn't unfamiliar for Georgia, which is keen for integration in the European educational space. Idea and tradition of generation relations is preserved in the different plasts of Georgian culture. These „Plasts“ were formed on the basis of specific historical experience.

The religious and dialogue may have philosophical nature. Philosophy as love of wisdom is natural demand for every person. With this the natural demand is the eternity of spirit. Such approach implies two aspects: „Philosophical“ implies distance from political-practical and dogmatic-ritual aspect, and ethical aspect implies human metaphysical responsibility toward future. The existed religious in their authentic origins shall find renovation impulses and principles of philosophical dialogue. The initiative and project „Interreligious Dialogue“ of Georgian Religious Agency is quite actual and real. Culture of Georgia is rich as by philosophical thinking tradition also religious tolerant traditions. In addition this type of dialogue will be supported by the fact that three world monotheist religious – Christianity, Judaism and Islam, owns rich philosophical literature.

გოდერძი თევდორაძე
ფილოსოფიის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რელიგიური თანაარსებობა – აონფლიქტები და სბარეობიზები

XXI საუკუნეში მსოფლიო ახალი გამონვევებისა და გლობალური პრობლემების წინაშე აღმონჩნდა. გარკვეულ რეგიონებში არსებული დაძაბულობის კერები არაა მხოლოდ ლოკალური ხასიათის, გასცდა გარკვეულ გეოგრაფიულ არეალს და სხვადასხვა კონტინენტი მოიცვა.

დღეს სამოქალაქო საზოგადოების წინაშე არსებულ ბევრ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ეთნიკურ პრობლემას შორის, სამწუხაროდ, ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და აქტუალური რელიგიური ხასიათის კონფლიქტები აღმონჩნდა. იგი სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის მეტად შემაფერხებელი ფაქტორია. ამას ადასტურებს მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებული საყოველთაოდ ცნობილი მოვლენები. ამავდროულად, რელიგიური კონფლიქტები საფრთხეს უქმნის პიროვნების ჰარმონიულ ჩამოყალიბებასა და ცხოვრების ნორმალური განვითარების პროცესს. წარმოდგენილი პრობლემა მუდმივად იპყრობს საზოგადოების ყურადღებას, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველო და ისეთ რეგიონში, როგორც კავკასია. ეს განპირობებულია რელიგიური მრავალფეროვნებითა და გეოპოლიტიკური მდებარეობით. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ჩვენთან ქრისტიანობას და ზოგადად რელიგიას, დიდი სოციალური დატვირთვაც გააჩნია.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში შეიცვალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა. გამოვიარეთ სამოცდაათწლიანი ათეისტური კომუნისტური დიქტატურა. არსებითი ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემაში, გაჩნდა ახალი ტიპის ინსტიტუციური ურთიერთობები, რომლის დროსაც საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვლილებები წინ უსწრებს ამ ცვლილებების თეორიული განზოგადების პროცესს. საზოგადოებაც, გარკვეულწილად, მზად არ აღმონჩნდა ისეთი სიახლეებისთვის, რამაც გამოიწვია მთელი რიგი გაურკვეველობები და დაძაბულობა. არამდგრადი ეკონომიკურ-სოციალური ვითარება საბოლოო ჯამში რელიგიური კონფლიქტების ერთ-ერთი მიზეზი აღმონჩნდა; პიროვნებისა და სოციალურ-რელიგიურ ჯგუფებს შორის აგრესიული ურთიერთობების საფუძველი გახდა.

საქართველო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, გამოირჩევა რელიგიური მრავალფეროვნებით, რასაც ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. აქედან გამომდინარე, ქართული საზოგადოებისათვის, ერთი შეხედვით, უცხო არ უნდა ყოფილიყო რელიგიური თანაარსებობა. მით უმეტეს, ზოგადად ქრისტიანობა და კერძოდ მართლმადიდებლობა, რომელიც ქვეყანაში ტრადიციული და უმრავლესობის რელიგიაა. მიუხედავად ამისა, საქართველოში მაინც აქვს ადგილი რელიგიურ კონფლიქტებს. განსაკუთრებით იმ რეგიონებში, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით. საზოგადოების გარკვეული ნაწილი შიშით უყურებს სიახლეებს, ახალი რელიგიური კონფესიების გამოჩენას.

რელიგიური კონფლიქტების არსებობა უპირველესად სახელმწიფოებრივი განვითარების უსაფრთხოებისა და ევროინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქ-

ტორი შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომაც რელიგიური თანაარსებობისადმი მიდგომა უნდა იყოს არა მხოლოდ პიროვნული, არამედ სახელმწიფოებრივი ხასიათის. ამ სფეროში აუცილებელია სახელმწიფოებრივი მიდგომა და აზროვნება.

მშვიდობიანი, ჰარმონიული თანაარსებობისათვის უპირველესად საჭიროა ტოლერანტული გარემოს შექმნა, რასაც, პირველ რიგში, სჭირდება საკანონმდებლო ბაზა. თუმცა მხოლოდ მშრალი იურიდიული კანონები, როგორც ამას ისტორია და არსებული რეალობა მოწმობს, ვერ ახერხებს მის მოგვარებას. აუცილებელია ქვეყანაში ცნობიერების, თვითშეგნებისა და, რაც მთავარია, რელიგიური კულტურის ამაღლება.

თავისთავად ისმის კითხვა: რა არის კონფლიქტების წარმოშობის მიზეზები? შესაბამისი დარგის სპეციალისტთა, ფსიქოლოგთა და სოციოლოგთა კვლევების შედეგად ცნობილია ზოგადი ხასიათის მიზეზები, მაგრამ, ჩვენი აზრით, არსებობს კონკრეტულ გარემოში, კონკრეტულ დროში წარმოშობილი მიზეზებიც. სწორედ ამ მიზეზთა კვლევაა მოსალოდნელი კონფლიქტის პროგნოზირების ერთ-ერთი უმთავრესი პრევენციული ზომა. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი მოქმედებებით შესაძლებელი იქნება მათი თავიდან აცილება ან მისი მინიმუმამდე დაყვანა.

რელიგიური თანაარსებობისა და რელიგიათაშორისი დიალოგის შეუძლებლობას განაპირობებს საზოგადოებრივ ცნობიერებაში და, საერთოდ, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სახის სტერეოტიპი. მაგალითად, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოში გავრცელებული სტერეოტიპი ისლამისა და ტერორიზმის შესახებ, რაც თავისთავად არაა მართებული და მის აღმოსაფხვრელად საჭიროა მიზანმიმართული, მასშტაბური ხასიათის საინფორმაციო პროპაგანდის წარმოება. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი აზრით, ყველაზე გავრცელებული რელიგიური თანაარსებობის შემაფერხებელი სტერეოტიპი არის შიში, შიში საკუთარი რელიგიის, ამ შემთხვევაში მართლმადიდებლობის, დაკარგვისა. ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ისტორიაში მრავლად გვხვდება რელიგიური თანაცხოვრების შემთხვევები. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველ ხალხს არ აქვს პრობლემა, შექმნას სამოქალაქო საზოგადოება და იცხოვროს ნებისმიერ სხვა აღმსარებლებთან ერთად. გარკვეული სახის კონფლიქტები, შეიძლება ვთქვათ, ხელოვნურად შექმნილია, პირადი, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე.

ქვეყანაში წარმოშობილ რელიგიურ ექსტრემიზმთან საბრძოლველად საჭიროა მთელი რიგი საკითხების ერთობლივად მოგვარება:

1. შესაფერისი საკანონმდებლო ბაზა;
2. ქვეყანაში არსებული რელიგიური კონფესიების ხელმძღვანელთა ურთიერთდიალოგი და მათი ავტორიტეტის აქტიურად გამოყენება;
3. შესაბამისი დარგის სპეციალისტთა ღრმა მეცნიერული, თეორიული კვლევები სხვადასხვა სოციალურ და მიზნობრივ ჯგუფთან (საჯარო მოხელეები, მასწავლებლები, სტუდენტები და სხვ.) მთელი ქვეყნის მასშტაბით;
4. არასამთავრობო სექტორის ჩართულობა;
5. დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

რელიგიური ექსტრემიზმისა და კონფლიქტების მთავარი მიზეზი, როგორც ცნობილია, არის რელიგიური განათლების დაბალი დონე. განსაკუთრებით ეს შეეხება საქართველოს იმ რეგიონებს, სადაც ძირითადად მხოლოდ ერთი აღმსარებლობის საზოგადოებაა. აქედან გამომდინარე, მათთვის უცხოა სხვა რელიგიებთან ურთიერთობა. იმ შემთხვევაში, როცა მათ უწევთ განსხვავებული რწმენის ადამიანებთან ცხოვრება ან მუშაობა, ჩნდება იმის საშიშროება, რომ გარკვეულ შემთხვევებში მიღებულ იქნეს არაადეკვატური გადაწყვეტილება. ასეთ დროს მათ ცნობიერებაში, შემდეგ კი ქმედებებში, აქტიურდება ისეთი მიდგომები, როგორიცაა სხვისი აზრის იგნორირება, ჩაგვრა, დისკრიმინაცია, ცინიზმი და მიკერძოება. საბოლოო ჯამში ამას მიყვარათ რელიგიურ ფუნდამენტალიზმთან და ფანატიზმთან. საზოგადოებაში ამ სახის მოვლენებს გარკვეულწილად ხელს უწყობს საზოგადოების ერთი ნაწილის გულგრილობა. საჭიროა დამკვიდრდეს აზრი, რომ ეს ყველას ეხება. ასევე აუცილებელია ადამიანთა ინფორმირებულობა იმასთან დაკავშირებით, რომ რელიგიური მრავალფეროვნება არ წარმოადგენს საშიშროებას არც სახელმწიფოებრივი და არც პიროვნული დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.

რელიგიური დაპირისპირებებისა და კონფლიქტების ხელოვნურ მიზეზად პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთ პოლიტიკოსთა და ექსპერტთა მიერ გაკეთებული დაუფიქრებელი განცხადებები, რომელიმე მცირე პრობლემის ზედმეტად გააქტიურება და აქცენტირება, რაც ინვესტის მისი მასშტაბურობის გაზრდას. რადგან რწმენა წარმოადგენს ადამიანის სულიერების უმაღლეს ღირებულებას, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მასთან დამოკიდებულება ძალიან ფრთხილი უნდა იყოს.

საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება ამ კუთხით სწორი მიმართულებით, თუმცა გარკვეული შეცდომებით, მიმდინარეობს. საზოგადოებაში თანდათან მკვიდრდება აზრი, რომ რელიგიური თანასწორობა, შემწყნარებლობა, თანაცხოვრება არის არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ – აუცილებელიც. ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს სინდისისა და რელიგიის თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებული კანონების უპირობო დაცვა; განვითარდეს რელიგიათაშორისი დიალოგი და შეიქმნას ტოლერანტული გარემო. ამ შემთხვევაში დაცული იქნება ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი პრინციპი: „მოექეცი სხვას ისე, როგორც გსურს, მოგექცნენ შენ“.

GODERDZI TEVDORADZE

Doctor of Philosophy, Professor of Akaki Tsereteli State University

RELIGIOUS EQUALITY – CONFLICTS AND STEREOTYPES

The world in the 21st century is confronted with new complexities and global challenges. Local tensions stretch far beyond national borders and geographic areas. Our country has experienced profound socio-political changes in the recent decades. The 60-year period of atheistic and communistic dictatorship made a significant impact on the value system of the society. The emergence of new institutional relations has been preceded by an adequate social comprehension. In a way, the society turned out to be unprepared for this kind of changes which, in turn, triggered major uncertainties

and anxiety. Consequently, the unstable socio-economic setting contributed to the inter-religious conflicts.

Tolerant environment is conducive to peaceful and harmonious coexistence which shall be guaranteed by the legislative framework. Nevertheless, the history and current context shows us that the legislation itself is not enough to tackle existing problems. Besides this, it is crucial to promote social awareness and religious culture.

Therefore, the question stands: what causes conflicts? Findings provided by the professional psychologists and sociologists shed light only on general causes of conflict escalation. In our opinion, conflicts arise because of a specific environment and at a particular point in time.

One of the most important ways to prevent the occurrence of conflicts is to study their causes. By working together, the government and society will be able to avoid potential escalations or minimize them. In Georgia, deeply rooted stereotypes hinder people's ability for religious coexistence and inter-religious dialogues. In order to overcome religious barriers to dialogue in the country it is necessary to:

1. adopt appropriate legislative framework;
2. support dialogue between the leaders of different confessions and realize their potential for positive influence over others;
3. support respective specialists in producing scientific theoretical researches across the country and different target groups (public servants, teachers, students, e.g.);
4. engage the civil society sector;
5. share experience of democratic states;

Generally speaking, it can be concluded that our country, in terms of the subject in question, is heading in the right direction. Gradually, the society in general is becoming accepting of the idea of religious equality and that the coexistence is not only possible but also necessary. The creation of tolerant environment should follow the law of reciprocity, i.e. the principle of treating others as one would want to be treated.

ალექსანდრე რუსეცკი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

ინტერაონფესიური თანამშრომლობის
ეფექტური ჯომენიაცეის ეროვნული სტრატეგია

1. რელიგიური კონფლიქტების სოციოლოგია მათი აღქმა და ფსიქოლინგვისტიკის სპეციფიკა

პრობლემის სწორად აღქმას ხშირად ხელს უშლის არაადეკვატური და უსისტემო ტერმინების გამოყენება. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ რელიგიურ პრობლემატიკაზე, უკეთესია გამოვიყენოთ ტერმინი „ინტერრელიგიური კომუნიკაციები“ და არა ტერმინი „ინტერრელიგიური დიალოგი“. დიალოგი განსაზღვრავს ორ მხარეს შორის ურთიერთობას, რაც არაა საკმარისი ამ საკითხში წარმოდგენილი პრობლემების აღწერისათვის.

ათეიზმი და თეიზმი – არაა წარმოდგენილი სათანადოდ დისკურსში. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ რელიგიურ კონფლიქტებზე, ისინი შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ნაწილად: ესაა კონფლიქტი სხვადასხვა რელიგიური მიმდევრობის წარმომადგენელს შორის და ასევე, კონფლიქტი მორწმუნეებსა და მათ შორის, ვინც უარყოფს ღმერთის არსებობას საერთოდ. ანუ, პირობითად, თეისტებსა და ათეისტებს შორის. ათეისტებთან მიმართებაში პოლიტიკა უნდა იყოს ჩამოყალიბებული; განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი აქტიურად გამოხატავენ აგრესიას მორწმუნეების მიმართ ან პირიქით. მაგალითად, ჩვენი კვლევითი ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერმა, ჯემალ კონცელიძემ, გამოიკვლია მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა. ბოლშევიკების მიერ შექმნილი ათეისტი ბავშვების ორგანიზაციების აქტიური აგრესია და ძალადობა მორწმუნეების წინააღმდეგ. პროექტი, რომელიც შექმნა ახალგაზრდა სპეციალისტმა, რამდენიმე ფონდში იყო შეტანილი და არც ერთმა არ დააფინანსა.

რელიგიური უმცირესობისა და უმრავლესობის ცნება. სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იქმნება ხელოვნური ფსევდოკონფლიქტები იქ, სადაც „ნათელი ცაა“. ვინ არის რელიგიური უმრავლესობა საქართველოში? ამ კითხვაზე თითქოსდა პასუხი ნათელია – ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. პასუხი არაა სწორი, იმიტომ, რომ კითხვა, რომელიცაა დასმული, არაა მთლად კორექტული და ითხოვს დაზუსტებას. პირველ რიგში, რას ვგულისხმობთ საქართველოში? მთლიანად მთელ სისტემაზეა საუბარი თუ მონყვეტილ ქვესისტემაზე? ამ ორი საკონტროლო კითხვის დასმის შედეგად ირკვევა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს ზოგ ტერიტორიაზე წარმოადგენს უმრავლესობას, ზოგ ტერიტორიაზე კი – უმცირესობას. უფრო მეტიც, ისეთ უმცირესობას, რომლის წინამდებარე არის გამოყენებული იარაღი, ძალადობის სხვადასხვა ფორმა, დევნა და გამოდევნა. ამის მაგალითია ე.წ. შეიარაღებული კონფლიქტების ტერიტორიები. იმიტომ, ტერმინი უმცირესობა არ უნდა განაპირობებდეს რაოდენობრივ მახასიათებელს, არამედ უნდა გამოხატავდეს, პირველ რიგში, დისკრიმინირებული პირის ან ჯგუფის ფენომენს.

კიდევ ერთი პრობლემაა – სპეკულირება იმით, რომ ვიღაც წარმოადგენს რელიგიური დაპირისპირების მსხვერპლს, იქმნის მსხვერპლის ხატს და იმის ნაცვლად, რომ ეცადოს

კონსტრუქციული კომუნიკაციების აღდგენა, ცდილობს დაიმტკიცოს მსხვერპლის სტატუსი, რათა მიიღოს გარკვეული დივიდენდები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. გამომდინარე აქედან, ცალკეული კონფლიქტების პროვოცირება შეიძლება იყოს ამ ადამიანებისა და ჯგუფების ინტერესებში.

2. ნოქსოლოგიური ანალიზი – საფრთხეების დადგენა და მათზე რეაგირების სტრატეგია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა ჯგუფში ჩატარებულმა „ტვინის შტურმმა“ გვიჩვენა, რომ, მათი აზრით, არსებობს საერთო საფრთხეები. ამ საფრთხეების პრევენციაზე ზრუნვა წარმოადგენს მშვენიერ ნიადაგს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის ეფექტური თანამშრომლობისათვის. ქვემოთ წარმოდგენილია ეს საფრთხეები თანმიმდევრობით. სტუდენტების აზრით, ყველაზე მეტად გამაერთიანებელ პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს სუიციდის ზრდის ტენდენცია საქართველოში.

- სუიციდი
- ნარკომანია
- გემბლინგი
- აბორტი
- პროსტიტუცია
- ტოტალიტარული სექტები
- აგრესიული ათეიზმი
- რელიგიური რადიკალიზმი
- რელიგიური ტერორიზმი
- სექსუალური პათოლოგიები და აგრესია
- რელიგიური სეპარატიზმი
- ბულინგი
- ჰიბრიდული ომების რელიგიური კომპონენტი

გამომდინარე ამ ჩამონათვალიდან, ჩვენ გადავწყვიტეთ, შევთავაზოთ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მრგვალი მაგიდის ციკლის ჩატარება. ამ პროცესის აქტიური მონაწილე, შესაძლებელია, გახდეს ინტერრელიგიური სათათბირო.

საქართველო შეიძლება გახდეს რელიგიური დაპირისპირებების მოგვარების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი. ასეთი ინიციატივა მოვისმინეთ მამა ადამისაგან და სასულიერო პირებისაგან. საქართველო, როგორც ინიციატორი მშვიდობისა და მედიატორი რეგიონსა და საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია გავხდეთ მშვიდობის მასპინძლები. მშვიდობის დეკლარირებიდან აქტიურ პოზიციებზე გადასვლა აუცილებელი. წლების განმავლობაში ასეთი ინიციატივების დეკლარირება ხშირად ხდებოდა, მაგრამ არანაირი შედეგი ამას არ მოჰყოლია. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ თვალსაზრისით ჩატარდეს შესაბამისი სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განიხილება:

- საქართველოს ახალი სამშვიდობო სტრატეგიები – აქტივობა და სტრატეგიული ინიციატივა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- ეროვნული უსაფრთხოება და ერთიანი ბრძოლა არსებული საფრთხეების წინააღმდეგ;
- კავკასიური უსაფრთხოება და თანამშრომლობა;
- საერთაშორისო უსაფრთხოების განზომილება.

ALEXSANDER RUSSETSKY

**Director of Caucasian Security Institution, Head of the department
of the Inovations and Strategic Development of The Caucasus International University**

EFFECTIVE INTER-RELIGION COMMUNICATION AS OPPORTUNITY FOR CONFLICT PREVENTION

Inadequate and non-systematic use of terminology - such as inter-religious dialog, notion of religious majority and minority, atheism, theism etc. - puts obstacles for the correct perception of the problem. There is clear need to conduct noxological analysis – fixing of dangers and elaboration of prevention strategy. Georgia could become the international center contributing to resolution of religious confrontations. Despite declaration of such initiatives still, there is a lot to be done in the direction to make Georgia as initiator of peace and mediator both in on regional and international level. It is important to consolidate efforts in order to elaborate New Peace Strategies of Georgia.

შოთა ჯიჯიაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობისათვის აწარაზი

ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის ეპოქაში, სადაც მჭიდრო კონტაქტია სხვადასხვა ერებს შორის, მიმდინარეობს სამეცნიერო, კულტურულ-ზნეობრივი და რელიგიური ფასეულობების შესწავლა და ურთიერთგაცვლა. აღიარებული პრინციპი – ერთობა მრავალფეროვნებაში, გულისხმობს, რომ შეიძლება მოინახოს საერთო ენა სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობას შორის და, ამავდროულად, გამდიდრდეს საკუთარი ტრადიციების სიღრმისეული წვდომა სხვებთან დიალოგში, რაც უპირობოდ მშვიდობიან თანაცხოვრებას გულისხმობს.

მშვიდობიანი თანაცხოვრების ზოგადსაკაცობრიო იდეის ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტს, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს რელიგია, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა (კონფესიური განსხვავებების მიუხედავად). ეს არის ერთგვარი სულიერი და ზნეობრივი ძალა, რომელიც უნდა ისწრაფვოდეს ცივილიზებული დიალოგისაკენ მთელს სამყაროსთან, რომელიც ყოველთვის არ მიდის ზნეობრივი გზით, როცა წყვეტს გლობალურ პრობლემებს – სიღატაკე იქნება ეს, ტერორიზმი, ეკოლოგიური კრიზისი თუ სხვა.

ყოველი რელიგიის საფუძველში (არ იგულისხმება ტოტალიტარული სექტები) დევს უნივერსალური ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი – შემწყნარებლობა, სიყვარული, თანაგრძნობა და ა.შ., რომლებიც რელიგიას აძლევს უფლებას, გახდეს კულტურული განვითარების ავანგარდი. რელიგიათმორისი დიალოგი მშვიდობისათვის არის ურთიერთობის მისაღები ფორმა სხვადასხვა სარწმუნოების მალღარებელი ერისათვის და ცალკეული ადამიანებისათვის, რომლებიც ერთ სახელმწიფოში ცხოვრობენ. ეს საკითხი ყოველთვის მწვავედ იდგა და უფრო მეტი სიმძაფრით გადმოვიდა ოცდამეერთე საუკუნეში. თანამედროვე მოვლენები ამის მკაფიო დასტურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიალოგი სხვადასხვა საჭირობო საკითხზე არ ნიშნავს საკუთარ პრინციპებზე უარის თქმას, პირიქით, მიმართულია იმ საკითხების ძიებისაკენ, რომელთა გადაწყვეტისას ადგილი აქვს დამთხვევებსა და პოზიციათა სიახლოვეს.

საქართველო ოდითგანვე სხვადასხვა ცივილიზაციისა და რელიგიის გადაკვეთის ადგილი იყო, ჩვენ გვაქვს უნიკალური ისტორიული გამოცდილება რელიგიათმორისი დიალოგისა და ურთიერთობებისა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ამას მოწმობს ჩვენი უძველესი საგანმანათლებლო – რელიგიური ცენტრები საზღვარგარეთ. სამწუხაროდ, საბჭოთა ეპოქაში, ცნობილი მიზეზების გამო, ტოტალურად ირღვეოდა მორწმუნეთა უფლებები, იდეებოდნენ სასულიერო პირები და ა.შ. პოსტსაბჭოთა ეპოქაში ამ სფეროში დაგროვდა პრობლემები, რომელიც გადაჭრას საჭიროებს. ამ მიზნით შეიქმნა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. მიუხედავად არსებობის მცირე პერიოდისა, სააგენტომ მრავალი საკითხის გადაწყვეტა მოასწრო, განსაკუთრებით რელიგიათა თანასწორობის პრინციპების ჩამოყალიბებაში და შექმნა ინტერრელიგიური დიალოგის მნიშვნელოვანი გამოცდილება. სააგენტოს გადაწყვეტილებით, 2015 წელს ჩამოყალიბდა ღია ფორმატის ინტერრელიგიური სათათბირო, რომელიც აერთიანებს ყველა რელიგიურ თემს მათი სურვილისა და ინტერესის საფუძველზე. გასაკეთებელი კიდევ მეტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ძალიან საინტერესოა რელიგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით. სიამაყის გრძნობით მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, მცირეოდენ წვრილმანს თუ არ ჩავთვლით, რაიმე სახის სერიოზული რელიგიური დაპირისპირება არ მომხდარა. თუმცა, არსებობს სხვა სახის პრობლემებიც, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

ჩვენი აზრით, უნდა გაიხსნას სააგენტოს წარმომადგენლობა ადგილზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც კოორდინაციას გაუწევს რელიგიათმორის ურთიერთობებს და ხელს შეუწყობს დიალოგს რელიგიურ თემებს შორის. მშვიდობიანი დიალოგების საწარმოებლად ასევე გადაუდებელ საკითხად მიგვაჩნია რელიგიური თემების ყველა პრობლემის საფუძვლიანად შესწავლა, რათა პოსტ-ფაქტუმ არ გვინევდეს მათზე რეაგირება. ამ მხრივ სამუშაო ბევრია, მცირეოდენი გაკეთებულია, მაგრამ ეს არასაკმარისია საერთო დადებითი სურათის მისაღებად.

საჭიროა აჭარაში ქრისტიანობის, ისლამისა და რეგიონში არსებული სხვადასხვა რელიგიური თემის თანამედროვე, ყოველდღიური ცხოვრების შესწავლა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რელიგიები ხშირად ყოფილა ცალკეული სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ხასიათის კვლევის ობიექტი, მაგრამ ფაქტობრივ, ადგილობრივ მასალებზე დაყრდნობით, მრევლზე დაკვირვებით შესწავლილი ნაშრომები, რომლებშიც წარმოჩინდებოდა რელიგიური თემის ჩამოყალიბების, არსებობისა და განვითარების სპეციფიკა, არ მოიპოვება. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, საბჭოთა პერიოდში კვლევების ტენდენციურობა, ცალკეული კვლევის სპეციფიკურობა ან მათში გაშუქებული საკითხების სიმცირეა. მეორე მხრივ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რელიგიების მიმართ ინტერესი გაიზარდა, თუმცა ისინი იდეოლოგიური, თეოლოგიური და ისტორიული კვლევების ფარგლებს არ ცდებოდა. ასეთ პირობებში, ამ რელიგიათა თანამედროვე რეალური მდგომარეობის ამსახველი კვლევები, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა ან მათი მასშტაბები მცირეა. დღემდე არსებული ნაშრომები და მასმედიით გაშუქებული პრობლემები რელიგიების, მათი დღესასწაულების, ან ღირსშესანიშნავი მოვლენების შესახებ ნაკლებად ასახავენ არსებულ მდგომარეობას. აუცილებლობას წარმოადგენს ცალკეული რელიგიური თემების დასაბუთებული, გეგმაზომიერი და მიზანმიმართული კვლევა. პროექტის აქტუალობა, შესასწავლი თემისადმი ინტერესთან ერთად, განპირობებულია მეცნიერებაში ისეთი საკითხების გაშუქების აუცილებლობით, როგორცაა: მორწმუნეების ყოველდღიურობა, ეპარქიების ფუნქციონირება, რელიგიურ ნაგებობათა ადგილი და როლი, რელიგიურ-საგანმანათლებლო სისტემის თავისებურებები და თანამედროვეობის ამსახველი სხვა ინფორმაცია: ქრისტიანებისა და არაქრისტიანების ურთიერთობის სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები; კულტურული მნიშვნელობის ობიექტების გამოვლენა, რომელთა შემდგომი ეკონომიკური პოტენციალი (კულტურული და ისტორიული ძეგლები-სადმი ტურისტული ინტერესის კონტექსტში) დღემდე გამოუყენებელია; აჭარის ქრისტიანული თემის რაოდენობრივი (საკულტო და სასწავლო ნაგებობების, სასულიერო პირების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა სტატისტიკა) მონაცემები; რელიგიურ თემთან დაკავშირებული სამართლებრივი, ფინანსური და მატერიალური საკითხები და სხვ. ამ სამუშაოთა განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს რელიგიურ კარტოგრაფირებას. ასევე, დაეხმარება დაინტერესებულ პირებს (სახელმწიფოს, საზოგადოებას, სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს, რიგით მოქალაქეებს), მიიღონ რელიგიის თანამედროვეობის ამსახველი ინფორმაცია; ასევე, დაეხმარება რელიგიური თემით დაინტერესებულ მკვლევრებს ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორისტული, თეოლოგიური ან კომპილაციური ხასიათის ნაშრომების გვერდით შექმნან პრობლემებზე ორიენტირებუ-

ლი გამოკვლევები, რომლებიც არ იქნება შემოსაზღვრული ერთი დისციპლინის საზღვრებით და მისცემს საშუალებას მეცნიერებს კვლევის პროცესში გამოიყენონ აპრობირებული მეთოდოლოგიური მიდგომები.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენს მორწმუნე მოსახლეობის ყოველდღიურობის, რელიგიური ჯგუფის ფუნქციონირების, საკულტო ნაგებობების, რელიგიური საგანათლებლო სისტემის, ფუნქციონალური მექანიზმების, სხვა რელიგიურ თემებთან ურთიერთობის, კულტუროლოგიური ასპექტების, თემის სტატისტიკური, სამართლებრივი, ფინანსური, მატერიალური და კარტოგრაფიული კვლევა.

ლოკალური თემების აღრიცხვა – ჯგუფების შესწავლა საკულტო ნაგებობების სოციო-კულტურული და მასთან დაკავშირებული რელიგიური თემის კონტექსტში.

სრული აღრიცხვიანობისა და ზოგადთვისობრივი მახასიათებლების შესწავლა წარმოაჩენს რეგიონის ლოკალური რელიგიური თემების დაზუსტებულ აღწერილობას, რაოდენობას, თავისებურებებს.

საკულტო და სასწავლო ნაგებობების აღრიცხვა – სტატისტიკური და თვისობრივი ანალიზის ურთიერთშეჯერებით აღირიცხება და კლასიფიცირდება რელიგიური და სასწავლო დანიშნულებით გამოყენებული შენობა-ნაგებობები; განხორცილდება მათი ფოტოგრაფირება, გეგმისა და სქემის დადგენა, ასევე – საგანმანათლებლო სპეციფიკის გამოვლენა.

ძეგლების ისტორიული და კულტუროლოგიური შესწავლა – მოპოვებული მასალების საფუძველზე, ხელოვნებათმცოდნეები და ხალხური, დეკორატიული ხელოვნების სპეციალისტები მოამზადებენ დასკვნებს. დასკვნები გადაეცემა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს.

ქრისტიანული, ისლამური და სხვა თემების თანამედროვეობის შესწავლა – კომპლექსური კითხვარის საფუძველზე, შესწავლილ იქნება რელიგიური თემის ლოკალური თავისებურებანი, ყოველდღიურობის, ფუნქციონალური, ისტორიული, ეთნოლოგიური, ფოლკლორული, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, ფინანსური, მატერიალური ასპექტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც ჯგუფის არსებობასთან ან პერსპექტივებთან არის დაკავშირებული.

საინფორმაციო ბაზა და რუკა – ზემოთხსენებული ამოცანების განხორციელების შემდეგ, მომზადდება რუკა და სათანადო მასალებთან ურთიერთშეჯერებით დამზადდება შესაბამისი ელექტრონული საინფორმაციო ბაზა.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვით შევეხებით მუსლიმანური ორგანიზაციების საქმიანობის ძირითად პრინციპს, რაც, ჩვენი აზრით, წაადგება მშვიდობიანი დიალოგის წარმოებას. აჭარა საქართველოს სპეციფიკური რეგიონია, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღიარებს ისლამს. აჭარაში, მიუხედავად სამუფთო სამმართველოს ჩამოყალიბებისა და არსებობისა, არსებობენ მუსლიმური დაჯგუფებანი (არ დავაკონკრეტებ), რომლებიც არ ეთანხმებიან აღნიშნულ ორგანიზაციას რიგ საკითხებში. მიგვაჩნია, რომ მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ აღნიშნულ ჯგუფთან დაძაბულობისა თუ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად. აქ სახელმწიფოს ჩარევაა საჭირო,

მან უნდა მიიღოს სრულფასოვანი მონაწილეობა პროცესებში და აიღოს მუსლიმანური თემის სტაბილური განვითარებისათვის საჭირო ვალდებულებანი.

SHOTA JIJIESHVILI

Ph.D. in Philology, Professor at Batumi Shota Rustaveli State University

NECESSITY OF INTER-RELIGIOUS DIALOGUE IN AJARA

We are living in the epoch of globalization in which there are close contacts between different nations and there is study and exchange of scientific, cultural-moral and religious values. The acknowledged principle – unity is in diversity – means that there is possibility to find common language between various religious denominations and at the same time enrich deep perception of own traditions through dialogue with others, unconditionally implying peaceful cohabitation.

Urgency of the dialogue is coincident with activeness of certain religious confessions, their attitude towards social life and realization of spiritual values in life. Georgia has long been at the crossing point of different civilizations and religions from geopolitical viewpoint. We have unique historical experience in inter-religious dialogues and relations within the country as well as outside its borders, verifications to which are our ancient educational-religious centers located abroad. Regretfully, the above said issues were hindered in the Soviet period due to well-known reasons. The rights of believers were constantly violated. The autonomous republic of Ajara is very interesting in terms of religious diversity. An agency of representatives should be opened in the region that would coordinate inter-religious relations on all the important issues and promote dialogue among religious communities. We also consider it urgent for conducting peaceful collaboration to study all the problems connected to religious issues in order to avoid post factum respond to them. The aim of the project is to study the religious population. For the accomplishment of the goal it is necessary to conduct statistical, legal, financial, material and cartographic research on their everyday activities, functioning of religious groups, worship places, religious educational systems, functional mechanisms, cultural aspects and relations with other religious communities.

თინა ივალაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ინტერრელიგიური დიალოგი გვიდობისათვის

საქართველოს ტერიტორიაზე დღეისათვის არსებული ისტორიული ღირებულების მქონე ძეგლები (მნიშვნელობა არ აქვს, ვის მიერაა აგებული, რა დანიშნულებით და რა დროს) საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ეს კი, თავისთავად, ჩვენს ქვეყანაში რელიგიური მრავალფეროვნების არსებობისა და ამ რელიგიების მშვიდობიანი თანაარსებობის მაჩვენებელია. აქედან გამომდინარე, თუ გვინდა, რომ ეს მშვიდობიანი თანაარსებობა რეალურად შევინარჩუნოთ, ზოგიერთი ეკლესიის მხრიდან გააქტიურებული ყველა სადავო საკითხი სახელმწიფო კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს, როგორც ეს ჩვენს მეზობელ ქვეყნებშია. ასე მაგალითად: ყველამ კარგად იცის, რომ საინგილოში წმიდა გიორგის სახელობის ქურმუხის ეკლესია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაა და ქართულ ხუროთმოძღვრების ძეგლს წარმოადგენს, მაგრამ იგი დღეს აზერბაიჯანის სახელმწიფოს საზღვრებშია და ამ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად ითვლება. ვიმეორებთ: კი ბატონო, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია, მაგრამ დღეს ის აზერბაიჯანის კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ჩვენი მოთხოვნა მის გადმოცემაზე (მით უმეტეს, საკუთრებაში გადმოცემაზე) ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იქნება. ქართველთა მხრიდან ამ ძეგლების დროებით სარგებლობის უფლებით გამოყენების შესახებ საუბარი სხვადასხვა კონფესიების სასულიერო პირებთან კი არ უნდა წარიმართოს, არამედ სახელმწიფოთა შორის სამთავრობო დონეზე შეთანხმებითა და კანონით უნდა დარეგულირდეს. იგივე შეიძლება ითქვას დღევანდელი თურქეთისა და სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ისტორიულ ძეგლებზეც.

ეს საკითხი სახელმწიფოთა შორის კანონით თუ დარეგულირდება, მაშინ ზოგიერთ კონფესიას აღარ ექნება უფლება ასეულობით საკულტო ნაგებობებისა (რომლებიც საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობად ითვლება, მათ შესახებ გასული საუკუნის 80-იან წლებში შედგენილი სათანადო დოკუმენტები-პასპორტებიც არსებობს) და მიმდებარე ტერიტორიების საკუთრებაში გადაცემაზე საქართველოს მთავრობას ოფიციალურად წაუყენოს მოთხოვნები.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ისტორიული ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით საქართველოს კონსტიტუციაში საგანგებო მუხლია შეტანილი: „საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით“ (მუხ. 34.2).¹

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ მოქმედ კანონში მითითებულია: „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას“ (მუხლი 12). მათ უფლება აქვთ, არ დაუშვან „დეპარტამენტის წერილობითი თანხმობის

¹ საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995

გარეშე უძრავი ძეგლის, მისი ნაწილებისა და ფრაგმენტების გადაკეთება, გადაადგილება და დაშლა, ხოლო უძრავი ძეგლის დამცავ ზოლში – მიწის სამუშაოების ჩატარება, მიცვალებულთა დაკრძალვა, მრავალწლიანი მცენარეების დარგვა და მოსპობა“ (მუხლი 25).

„1. აკრძალულია უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება, გადაადგილება ან დაშლა.

2. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება, გადაადგილება ან დაშლა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს:

ა) უძრავი ძეგლის გადარჩენა;

ბ) გადაუდებელი აუცილებელი მდგომარეობა;

3. უძრავი ძეგლის დაკარგული არქიტექტურული ფორმებისა და ელემენტების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ აღსადგენი არქიტექტურული ფორმებისა და ელემენტების სრული იდენტიფიკაციისა და ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დაფუძნებულ საპროექტო დოკუმენტაციის ბაზაზე“.²

მიუხედავად ამ კანონების არსებობისა და საქართველოს მთავრობასთან შექმნილი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ძალისხმევით, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში დღესაც ხდება არაერთი ისტორიული ძეგლის არათუ თვითნებურად გადაკეთება, არამედ ახლად აღმოჩენილი და ჯერაც შეუსწავლელი ძეგლის განადგურებაც კი.

ამ რამდენიმე წლის წინ, 2014 წელს, ახალციხის მახლობლად, მოლნისში, შუა საუკუნეებში აგებული ეკლესიებისაკენ გზის გაყვანის დროს, აღმოჩენილ იქნა სადგომი – პატარა კელია და მის გვერდით პურის საცხობი, მცირე ზომის ქვით ნაგები ფურნე. რა თქმა უნდა, გზის სამუშაოები შეჩერდა. აღმოჩენის დროს, კელიაში შესასვლელს მთლიანი ქვებისაგან გათლილი სვეტები ჰქონდა.

მეორე დღეს, როდესაც იქ ავედით, ასეთი სურათი დაგვხვდა (რასაც ამ სურათზეც ვხედავთ). კელია მონგრეულ-განადგურებულია, შესასვლელი კარის სვეტები გამქრალია და მონგრეული კედლების მცირე ნაწილიაა შემორჩენილი.

ინტერნეტში კი ერთ-ერთ საიტზე საკმაოდ ვრცელი სომხური წარწერით ასეთი სურათი გაჩნდა:

ՋավախքՄեղիս » Հոգևորկյանք, Պատմութիւն, Ջավախքիլրահիս »

Ախալցխայիքოջևსելորմատიონերը

² საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1, თბ. 2006

საქართველოს ელექტრონული მედიის განვითარების ეროვნული ცენტრი

თარიღი 13, 2014

Akhaltskha.Net

<http://javakhkmedia.com/?p=2147> » სასაქონლო განცხადება:

შეხვედრა. საქართველო, ქვემო ქართლი

სამწახროდ, დღემდე გაურკვეველია ვინ და ვისი დავალებით ჩაიდინა ეს ბარბაროსობა.

რა თქმა უნდა, ამ ვანდალური აქტის ჩამდენთა მიმართ სამოქალაქო პირთა მხრიდან მხოლოდ ინტერრელიგიური საუბარი ეს იქნება „შეაყარე კედელს ცერცვი“. აქ აქტიურად უნდა ჩაერიოს ყველა რელიგიური კონფესიის სასულიერო პირი და დაარწმუნოს თავიანთი მრევლი, რა უარყოფითი შედეგები მოჰყვება მათი მხრიდან ამგვარ ვანდალურ ქმედებებს, რომ ეს არის არა ინტერრელიგიურობის, არამედ ანტირელიგიურობისა და სხვადასხვა კონფესიათა შორის დაპირისპირების გაღვივების მცდელობა.

ვფიქრობთ, დღეისათვის დადგა დრო, მეზობელი ქვეყნების კომპეტენტურმა წარმომადგენლებმა რომელიმე ძეგლის კუთვნილებაზე კი არ იკინკლავონ, არამედ აჩვენონ – რამდენად ღირებული და მნიშვნელოვანია მათ ტერიტორიაზე მდებარე ესა თუ ის ისტორიული ძეგლი, მისი დაცვა-შენახვა საკუთარი ქვეყნის ისტორიული წარსულისა და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის წარმოსაჩენად.

მრავალრელიგიურობა – ეს საქართველოს სიმდიდრეა, მაგრამ ინტერრელიგიური, მშვიდობიანი თანაცხოვრება თუ გვინდა, მასზე ჩვენთან ერთად საქართველოში არსებულმა სხვადასხვა კონფესიამაც უნდა იზრუნოს. ზოგიერთმა სასულიერო წინამძღვარმა თავი უნდა დაანებოს იმ აბსურდულ განცხადებებსა და მოთხოვნებს, რასაც ამ ბოლო წლებში სახელმწიფო სტრუქტურებში აგზავნიან და იზრუნონ სხვადასხვა აღმსარებლობის მრევლთან მშვიდობიან თანაცხოვრებაზე, სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

Ph.D. TINA IVELASHVILI
Professor of Samtskhe-Javakheti State University

INTERRELIGIOUS DIALOGUE FOR PEACE

Multi-religiosity in Georgia is great wealth. Different confessions which are existed in Georgia should support interreligious peaceful coexistence. Some religious leaders should stop the absurd claims and requirements, which they are sending to the state structures in recent years and support peaceful coexistence of different religious parishes instead of religious controversy. There is no other alternative.

But we doubt that a series of confessions which are richly financed by outside certain political forces support peaceful coexistence within the community.

The aspiration of only one or a few confessions can't solve the problem in the country. Every religious denomination, if it is really religious, should be free from any external pressure and set objectives of peaceful coexistence (regardless of belief).

We think that the time has come when the competent authorities of the neighboring countries should think how valuable and important is to protect some historical monuments existing on their territory to show the historic past and diverse cultural heritage instead of disputing the problem of their belonging.

მანია გურამიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რელიგია და პოლიტია

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს უამრავი რელიგია და რელიგიური რწმენა. ისეთი მსოფლიო რელიგიების ასაკი, როგორც არის იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი, ითვლის ათასწლეულებს. კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში რელიგია რჩებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტად. თანამედროვე მსოფლიოში სულიერი ორიენტირების, საყრდენი წერტილების ძიებას მივყავართ რელიგიური ფაქტორის ზრდამდე. ეს იმით აიხსნება, რომ რელიგია არის უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც შეიცავს სოციალური სისტემების ნორმებს, ღირებულებებს, ჩვეულებებს, რწმენას, რიტუალებს, ქცევის სტანდარტებს.

რელიგიის მრავალი განმარტება არსებობს. სოციოლოგიურ მეცნიერებაში შეიძლება გამოვყოთ რელიგიის განსაზღვრების ორი ძირითადი მიდგომა – შინაარსობრივი და ფუნქციონალური. შინაარსობრივ მიდგომაში ყურადღება ეთმობა რელიგიის არსს. ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ე. დურკეინი აღნიშნავდა, რომ რელიგია დაკავშირებულია „წმინდა საგნებთან“. ის კოლექტიური საქმიანობაა, რომელშიც ჩართულია სოციალური ჯგუფი. ასე რომ, რელიგია უნდა განვიხილოთ, უპირველეს ყოვლისა, როგორც სოციალური ფენომენი, რომელსაც შესწევს საზოგადოების გაერთიანების უნარი. ფუნქციონალური მიდგომა დაკავშირებულია რელიგიური ქმედებებისათვის დამახასიათებელი თვისებების შესწავლასთან. ფუნქციონალური თეორიის თანახმად, ნებისმიერ მტკიცებულებასა და რწმენაში, რომელშიც ადამიანური ცხოვრების ფუნდამენტური საკითხები წყდება, შეიძლება ვუნოდოთ რელიგია. ამ მიდგომის ფუძემდებლად ითვლება მაქს ვებერი. მის გამოკვლევებში შესწავლის ობიექტია პიროვნება, რომელიც თავისი ღირებულებებით გავლენას ახდენს რელიგიაზე.

ამ მიდგომის საფუძველზე ფორმულირდება რელიგიის საერთო სოციოლოგიური განმარტება – რელიგია ეს არის ფენომენი, რომელიც აერთიანებს კულტურულ, სოციალურ და პიროვნულ სისტემებს ერთიან ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რომელიც ახდენს გავლენას საზოგადოების შეცვლასა და განვითარებაზე. რელიგია არის საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანული ნაწილი, ადამიანთა სოციუმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე კავშირები რელიგიასა და საზოგადოებას შორის ვარირებს. რელიგია, ასევე, შედის კულტურის გაგებაში – ერთი მხრივ, რელიგიური ცხოვრების ტიპი დაკავშირებულია განსაზღვრული რეგიონის კულტურასთან, მეორე მხრივ, კულტურა ერწყმის რელიგიას და ფუნქციონირებს მის საფუძველზე.

რელიგია ზემოქმედებს სახელმწიფოსა და პოლიტიკაზე, ეროვნებათშორის ურთიერთობებსა და ეკონომიკაზე, საზოგადოებასა და ოჯახებზე ინდივიდების, ორგანიზაციების, ჯგუფების მეშვეობით. მაგრამ რელიგიის ზემოქმედება იცვლება საკრალიზაციისა და სეკულარიზაციის პროცესებთან ერთად. საკრალიზაციის პროცესი აღნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკლესიის როლის გაზრდას, მაშინ როცა სეკულარიზაციის პროცესი იმსახურებს საზოგადოებრივი ინტერესების გათავისუფლებას საეკლესიო გავლენისაგან.

საზოგადოებაში კითხვა რელიგიისა და პოლიტიკის თავსებადობის შესახებ არ არის მარტივი. რა არის პოლიტიკა? ამ ცნების ერთიანი განმარტება არ არსებობს. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი პოლიტიკას განსაზღვრავს, როგორც ძალაუფლებისაკენ სწრაფვას. ცნობილი გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი ბისმარკი პოლიტიკას განმარტავს, როგორც შესაძლებლობების ხელოვნებას. ერთი მხრივ, პოლიტიკა აწესრიგებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, არეგულირებს ურთიერთობებს სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში; მეორე მხრივ, პოლიტიკა არის სწრაფვა ძალაუფლებისაკენ. განსხვავებული სოციალური ჯგუფებისა და ცალკეული ინდივიდების ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობას მივყავართ იქამდე, რომ პოლიტიკის სფერო ეს არის პოლიტიკური ბრძოლის, კონფლიქტებისა და კონკურენციის სფერო.

თანამედროვე მსოფლიოში შეიძლება ვისაუბროთ რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების სამ ძირითად ფორმაზე:

პირველ რიგში, რელიგიის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის;

მეორე, რელიგიის ზეგავლენა პოლიტიკაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეკლესია ცდილობს კანონმდებლობაზე ზემოქმედებას მიღებული დემოკრატიული საშუალებების გამოყენებით ისეთ სახელმწიფოებში, როგორც არის ესპანეთი, პორტუგალია, იტალია – ეკლესია სახელმწიფოსთან კამათობს ოჯახისა და განათლების საკითხებზე;

მესამე, პოლიტიკური ინსტიტუტების საკრალიზაცია.

ყოველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება ასახვას პოულობს არა მარტო მის პოლიტიკურ ისტორიაში, არამედ იმ სახელმწიფო მოღვაწეთა ნააზრევშიც, რომელთა მოღვაწეობამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სამხედრო – პოლიტიკური დოქტრინის ჩამოყალიბებაში.

ერის სახეს, მისი ცხოვრების წესს, კულტურის სულიერი მრწამსი, სარწმუნოება, რელიგია განსაზღვრავს. კულტურა რელიგიის პროდუქტია და არა პირიქით.

ქართული სულიერი კულტურა განუყოფლადაა დაკავშირებული მართლმადიდებელ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან. ამ სარწმუნოების საფუძველზეა ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული ცნობიერება, კერძოდ, მართლმადიდებელი ქრისტიანობა, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ქართველი ერისათვის ცხოვრების წესი და არსებობის ფორმაა ისტორიულადაც და დღესაც. იგი ჩვიდმეტი საუკუნე იყო ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი.

საქართველო საუკუნეების განმავლობაში გადარჩენისთვის იბრძოდა. ამ ბრძოლაში არცთუ უკანასკნელ როლს რელიგია ასრულებდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და ქართველი ერი ქრისტიანობის მიმდევარი გახდა, ქართულ სახელმწიფოს ყოველთვის უწევდა, ტერიტორიების გარდა, რელიგიის დაცვაც, რაც ქართველობის შენარჩუნებას უკავშირდებოდა.

წმიდა ილია მართლის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „ქრისტეს რჯული ქართველებსათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი, ამასთან ერთად, პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების შესაერთებლად და შემოსაკრებად.

ერთობა სარწმუნოებისა, ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო, ამისთანა და სხვა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენთვის ისტორიის დასაბამიდან სანატრელი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ერი ამისათვის უფროხილდება თავის რჯულს, რომელიც თავის შინაგან ღირსებას გარდა დულაბობას უწევდა ერთობასა“...

საქართველოს დამპყრობლები ქვეყნისა და ხალხის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევისათვის მრავალ ხერხს მიმართავდნენ. ზოგიერთი აგრესორი მხოლოდ ხარკის გადახდას მოითხოვდა და რელიგიურ საკითხში ტოლერანტობას იჩენდა. თუმცა, ეს ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც საქართველოს სამხრეთით ისლამური იმპერიები დაუმეზობლდა. ეს იმპერიები მოსახლეობისაგან, ხარკის აკრეფის გარდა, რელიგიის გამოცვლასაც მოითხოვდნენ, რისთვისაც კონკრეტულ საგანმანათლებლო და იძულებით ღონიძიებებს ატარებდნენ. ერის გამუსლიმანება დამპყრობლისათვის ლოიალური დასაყრდენის გაჩენას ნიშნავდა. ამისათვის გეგმაზომიერი პოლიტიკა წარმოებდა, რამაც საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, მოსახლეობის იძულებით გამუსლიმანება, გასომხება, გაკათოლიკება გამოიწვია.

საქართველო ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა ევროპისა და აზიის შესაყარზე, სადაც უძველესი დროიდან პატივს სცემდნენ და იწყნარებდნენ სხვადასხვა რწმენისა და ეროვნების ადამიანს. ამის ნათელი დადასტურებაა, თუნდაც ის ფაქტი, რომ თბილისში საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთის გვერდით მოქმედებდა მართლმადიდებლური სიონი, ებრაელთა სინაგოგა, სომხური ეკლესია, მაჰმადიანთა მეჩეთი და პროტესტანტთა ეკლესია – „კირხეს“ სახით.

საქართველოში სხვადასხვა რელიგიის თანაარსებობა და ურთიერზეგავლენა ისტორიული თანმიმდევრობითა და შედეგებით, ქართველი ხალხის თვითმყოფადობის გამოვლენის ფონზე, ჩვენი ერის სულიერი კულტურის განვითარების ერთ-ერთ ისტორიულ მახასიათებელს შეადგენს. ამას ადასტურებს საქართველოში ჩამოსახლებულ ებრაელთა და ქართველ მართლმადიდებელთა თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება.

ტოლერანტობა მარტო სხვა ეთნოსების „ატანას“ როდი გულისხმობს. ის ვარაუდობს ამ ურთიერთობების ჰარმონიული განვითარების გარკვეულ პოლიტიკას. ის გულისხმობს არამარტო ცალმხრივ ტოლერანტობას, არამედ ურთიერთობაში შემავალი ყველა სუბიექტის მცდელობას, ეს ურთიერთობა იყოს ტოლერანტული, იყოს ჰარმონიული და ჰუმანური. მოსაზრება, რომ ქართველები ტოლერანტულები ვართ, ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას – ეს არის ქართული ცხოვრების წესი.

კაცობრიობა, თავისი ისტორიის მანძილზე, მშვიდობისაკენ მიისწავოდა, ასევე, არც ერთი რელიგია არ ქადაგებდა ძალადობასა და ომს, მაგრამ ცხოვრებაში მაინც ყველაფერი სულ სხვანაირად ვითარდებოდა. მრავალსაუკუნოვანი ისტორია დაპირისპირებებითა და შეტაკებებით არის დატვირთული, ამ სიტუაციას თავს ვერც დღეს ვაღწევთ. გაეროს საგანგებო მომხსენებლის ანგარიშებში სულ უფრო და უფრო ხშირად აღინიშნება რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შესახებ. რელიგია უფრო და უფრო მეტად ასოცირდება ძალადობრივ კონფლიქტებთან. რელიგიური ორგანიზაციები და მთავრობები, როგორც ჩანს, იმ გზებისა და საშუალებების სიმწირეს განიცდიან, რომლებითაც ამ ტენდენციის შეჩერებას შეძლებდნენ. რელიგიის ან რწმენის თავისუფლების დარღვევა გაზრდის და გააძლიერებს კონფლიქტურ სიტუაციებს. რელიგიის საზოგადოებიდან და პოლიტიკიდან დაშორების მცდელობა კი არ შეამცირებს, არამედ გაზრდის ძალადობას. გაცი-

ლებით ნაკლები საზოგადოებრივი ყურადღება ექცევა რელიგიის როლს კონფლიქტების პრევენციაში. იმისათვის, რომ ეს პოზიტიური როლი შესრულდეს, რელიგიებს უნდა ჰქონდეთ სივრცე, რომელსაც რელიგიის ან რწმენის საერთაშორისო სტანდარტები დაიცავს. ჩვენ არ განვიხილავთ საკითხს – უნდა თამაშობდეს თუ არა რელიგია რაიმე როლს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. საკითხის არსი რელიგიის პოზიტიური როლის გაძლიერებაა. მიგვაჩნია, რომ რელიგიის ან რწმენის თავისუფლების სრული დაწერგვა კონფლიქტის თავიდან აცილების, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და პოსტკონფლიქტური სტაბილურობის წინა პირობაა.

მშვიდობა და შერიგება, ისევე როგორც მეზობლებზე ზრუნვა, ყველა რელიგიური დოქტრინის არსებითი ნაწილია, მაშინ როგორ არის შესაძლებელი, რომ დღეს მოწმენი ვართ კონფლიქტურ სიტუაციებში რელიგიების სულ უფრო ხშირი თანამონაწილეობისა? თავად რელიგიები ქმნიან ძალადობას, თუ მათ სხვა ძალები იყენებენ ბოროტად?

კვლევები გვიჩვენებს, რომ ბოლოდროინდელ შეიარაღებულ კონფლიქტებში ინცინდენტები, სადაც რელიგიური რწმენა იყო მიზეზი, გაცილებით უფრო იშვიათია, იმ სიტუაციებთან შედარებით, სადაც რელიგია ბოროტად იქნა გამოყენებული სხვა მიზეზების მისაღწევად. ვინაიდან რელიგია და ეთნოსი ხშირად, ადამიანის თვითიდენტობის გამოხატვის საშუალებაა, ანალიტიკოსები რელიგიურ და ეთნიკურ საფუძველზე აღმოცენებული კონფლიქტების ზრდას დიდ ყურადღებას აქცევენ. რეალურად, თვით რელიგია და ეთნოსი იშვიათად ხდება ამგვარი კონფლიქტების საფუძველი.

გლობალიზაციის პროცესი იდენტობის ძიების აუცილებლობას ზრდის და ამ საკითხს აქტუალობას მატებს იმ დროს, როდესაც გადაწყვეტილების მიღება უფრო და უფრო რთულდება, როდესაც ადამიანები უძღურად გრძნობენ თავს იმათ წინაშე „ვინც ძლიერია ფინანსურად, ვისაც ნაკლებად აწუხებს ეთიკური ან სხვა სახის პრობლემები, ვინც საკუთარ თავს სრულ თავისუფლებას ანიჭებს.

იმის მიუხედავად, რომ რელიგიებს ხშირად ძალადობრივი კონფლიქტების ელემენტად მოიხსენიებენ, ის შეიძლება და უნდა თამაშობდეს კიდევ კონფლიქტის პრევენციასა და პოსტკონფლიქტურ მორიგებაში მნიშვნელოვან როლს. რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სამშვიდობო დაზავების პროცესში, მაგრამ გაცილებით ნაკლებად იყენებენ მას რეალურ კონფლიქტურ სიტუაციებში. მრავალი მიზეზია საიმისოდ, რომ რელიგიებმა პოზიტიური როლის შესრულება შესძლონ. ყველა რელიგია თავისუფლების, სამართლიანობის, მშვიდობისა და შერიგების ფასეულობების ერთგულია.

კონფლიქტურ სიტუაციებში რელიგიების ერთ-ერთი სტრატეგიული უპირატესობა ხანგრძლივი თანაარსებობაა, რაც მათ პროექტებსა და ინიციატივებში გრძელვადიანი მონაწილეობის საშუალებას აძლევს. პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, რელიგიური ორგანიზაციები და მათი ლიდერები არ არიან დამოკიდებული ხანმოკლე წარმატებებსა და პრობლემის არამდგრად გადაჭრაზე. რელიგიებს არამხოლოდ მშვიდობისა და დაზავების იდეის გავრცელების პოტენცია აქვთ, არამედ მრავალი მაგალითი არსებობს თანამედროვე კონფლიქტურ სიტუაციებში მათ მიერ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისა.

ყველა რელიგია გლობალიზაციის საკუთარ ხედვას გვთავაზობს და თითოეულ მათგანში ძირითადად ჩადებულია თვითგადარჩენისა და თვითშენარჩუნების გზები. გლობალიზაციისადმი საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის პოზიცია ნათლად არის გამო-

ხატული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეში (თბილისი, 2006), რომელიც რეალობის იგნორირებას კი არ ახდენს, არამედ გვთავაზობს მისდამი გონივრულ მიდგომას და გლობალიზაციის პროცესის იმგვარ გააზრებას, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურული და რელიგიური იდენტურობის შენარჩუნებას. ანგარიშგასანევია ის ფაქტი, რომ სეკულარიზაცია არ ნიშნავს რელიგიურობის გაქრობას.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართველმა ხალხმა სიყვარულით უპასუხა წმიდა ეკლესიას, განმტკიცდა მართლმადიდებლური სარწმუნოება, ყოველ დაბასა და სოფელში აიგო ახალი ეკლესიები, დაიდო შეთანხმება წმიდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, ეკლესია იღვწის იმისათვის, რომ ყოველ ინდივიდს, ერს, სახელმწიფოსა და კაცობრიობას დაანახვოს ცოდვების შეცნობისა და პრობლემების რეალური მიზეზები და დაუსახოს ჭეშმარიტი სულიერი განვითარების გზები, ასეთივე უნდა იყოს ცხოვრება და ისტორია ყოველი ადამიანისა, ერისა და სახელმწიფოსა, ზოგადად კაცობრიობისა. ასეთ მიდგომას, უნდა ემყარებოდეს ჭეშმარიტი მეცნიერება და განათლება, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი ილია მეორე წერს: „მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების მხრით კაცობრიობის განვითარებას“.

ერთიანი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ნიაღში საქართველოს ავტოკეფალურ, სამოციქულო ეკლესიას ისტორიულად თვალსაჩინო მისია აკისრია. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ცხოვრების სინერგიული მონესრიგების საღვთო საქმეში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია მეორის სიტყვებით: „რაც სულია სხეულისათვის, ეკლესია ის არის ერისათვის. როცა სული სხეულს შორდება, სხეული კვდება, ასევეა ერიც ეკლესიის გარეშე. ჩვენი ეკლესია იცავს და ინახავს არა მარტო სულიერ, არამედ ეროვნულ, ზნეობრივ და კულტურულ ფასეულობებს. ეკლესია და ერი განუყოფელია. ეკლესიის ძალა დიდია და ვიდრე იარსებებს დედამიწა მისი მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო მეტად გაიზრდება. საქართველომ ყველგან უნდა იქადაგოს ჭეშმარიტება, მაგრამ ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, ჯერ ჩვენ უნდა ვისწავლოთ რა არის ჭეშმარიტება, სად არის სიკეთე და სად ბოროტება“.

Ph.D. MAIA GURAMISHVILI
Professor of Technical University of Georgia

RELIGION AND POLITICS

There are a lot of religions and beliefs in modern world. The major religious traditions are Christianity, Islam, Judaism and Buddhism. They are the ancient (the oldest) religions. They always were the most important elements (items) of the social life of the mankind. Religion is the magnificent institution consisting social systems, values, habits, (traditions) beliefs, the standards of behavior.

There are many explanations of religion. but we can divide them in two ways: according to their contextual and functional meanings.

The famous French socialist E. Durkein said (marked) that religion is connected with the „holy things“. Religion is supposed as a Social phenomenon, which is able to unite the society. Max Webber is a foundre of its problems. The object of his research is the person, who with his values can make a great influence on religion.

Religion is the phenomenon uniting cultural, social personal systems in joined organized structure. It makes influence to change and develop the society. It is the organic part of life.

Religion makes influence on the state in politics; on international relationships and economycs, on society and individual families, on organizations with the help of the groups. But the influence of the religion is changeable according to its process.

მინდია ალაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი

**რელიგიური კონფლიქტების პრევენცია და
ინტერრელიგიური თანამშრომლობა**

მე ვარ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი მინდია ალაძე. დიდ მადლობას მოგახსენებთ შეკრებისათვის, ჩემთვის დიდი პატივია თქვენ წინაშე სიტყვით გამოსვლა. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ჩვენი მონვევისთვის დიდი მადლობა გადავუხადო, როგორც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, ასევე მის თავმჯდომარეს, ბატონ ზაზა ვაშაყმაძეს.

მე გახლავართ აჭარიდან, მოგეხსენებათ, რომ საქართველო არის მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური სახელმწიფო. სწორედ იმიტომ, რომ საქართველო არის მულტირელიგიური სახელმწიფო, მე და ჩემმა მეგობრებმა უნივერსიტეტში ავირჩიეთ საგანი: რელიგიის როლი სამშვიდობო პროცესებში.

ჩვენს აკადემიურ ხელმძღვანელთან ერთად მთელი წლის განმავლობაში ვმუშაობდით სხვადასხვა თემაზე და საბოლოოდ ჩამოვაცალიბეთ რელიგიური კონფლიქტების პრევენციისა და ინტერკონფესიური თანამშრომლობის ცენტრი, რომლის მიზანია საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე ნებისმიერი დაძაბულობის პრევენცია. ცენტრი უშუალოდ თანამშრომლობს კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტთან.

მე ვმუშაობდი თემაზე: რელიგიური ტერორიზმის მონიტორინგი საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ დასრულდა სასწავლო პროცესი, მე და ჩემი კოლეგები კვლავაც აქტიურად ვაგრძელებთ კვლევას სხვადასხვა თემაზე, სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ინდივიდუალურად, ასევე – გუნდურად. ცენტრში, ასევე, შექმნილია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს.

ჩვენი და ჩვენი უფროსი კოლეგების მიერ ჩამოყალიბებული ცენტრის მისიაა:

- არ დაუშვას არც ერთი სახის რელიგიური კონფლიქტის წარმოშობა და განვითარება;
- ხელი შეუწყოს საქართველოში ყველა სახის დისკრიმინაციის პრევენციასა და მათ სრულ აღმოფხვრას.

მიზანია:

- საქართველოს მრავალკონფესიურ და მრავალეთნიკურ საზოგადოებაში რელიგიის, რწმენის ნიადაგზე დისკრიმინაციის აღმოფხვრა და მშვიდობიანი, უსაფრთხო თანაარსებობა.

ამოცანებია:

- არსებული და შესაძლო რელიგიური კონფლიქტების სახეების დადგენა და მათი ანალიზი;
- რელიგიური კონფლიქტების მინიმალიზაცია, განსაკუთრებით – საქართველოს მრავალკონფესიურ რეგიონებში;
- ინტერკონფესიური თანამშრომლობის გაძლიერება და დიალოგის გამართვა.

გთავაზობთ იმ საკითხებს, რომლის ერთობლივი კვლევა შეუძლია სამომავლოდ სხვადასხვა კონფესიას:

- სუიციდი
- ნარკომანია
- გემბლინგი
- აბორტი
- პროსტიტუცია
- სექტანტიზმი
- ათეიზმი
- რელიგიური რადიკალიზმი
- რელიგიური ტერორიზმი
- სექსუალური პათოლოგიები
- რელიგიური სეპარატიზმი
- ბულინგი

რელიგიური კონფლიქტების პრევენციისა და ინტერკონფესიური თანამშრომლობის ცენტრი სამომავლოდ ასევე აპირებს ტრენინგების ჩატარებას, მრავალი მაგიდების მონყობას, აქტიურ მონიტორინგს საქართველოში და არა მარტო საქართველოში. მსოფლიოში მიმდინარე რელიგიური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შესწავლასა და მათი გადაჭრის გზების ძიებას, საზაფხულო სკოლების მონყობას და ამ სკოლებში არსებული სხვადასხვა აღმსარებლობის ახალგაზრდისათვის ტრენინგების ჩატარებას, რათა მოხდეს ახალგაზრდების ინტეგრირება სოციუმთან, რათა მაქსიმალურად შემცირდეს სხვადასხვა რელიგიებს შორის კონფლიქტები.

MINDIA ADADZE

Student of Caucasus International University

PREVENTION OF RELIGIOUS CONFLICTS AND INTERRELIGIOUS OPERATION

I am a student of International Relations, Faculty of Social Sciences. I am honored to stand in front of you. I want to thank the State Agency for Religious Issues and its Chairman, Mr. Zaza Vashakmadze. I'm from Adjara , as we know, Georgia is a multi- ethnic and multi- religious state and our country

will always have a place in a variety of denominations and controversy. Because of the fact, that Georgia is a multi- religious state , I and my friends have chosen the subject „The role of religion in peace processes“. I’m working on the topic of religious terrorism monitoring in Georgia. We have established a Religious Conflict Prevention center. The center is also designed for different target groups who are working in different directions. Our center cooperates with the Caucasus Institute of Regional Security. The main mission is to prevent any kind of religious conflicts. Our aim: Of the multi-confessional and multi-ethnic society, religious beliefs and to eliminate discrimination on the basis of peaceful coexistence.

მასმედის როლი რელიგიური კონფლიქტების პრევენციაში

დიდი ხანია ვმუშაობ თემაზე: „მასმედის როლი რელიგიური კონფლიქტების პრევენციაში“. მინდა ვისაუბრო პრობლემებზე, რომლებსაც მასმედის მხრიდან ვაწყდებით. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე ტერორიზმის მოვლენის გაშუქებას მედიაში. სიტყვა ტერორი ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს შიშს, საშინელებას. ტერორისტების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ შიშისა და პანიკის დათესვაა საზოგადოებაში. მედიის გამოყენებით ისინი, ძირითადად, აღწევენ ხოლმე ამ მიზანს.

ექსპერტები ეთანხმებიან ერთმანეთს, რომ დემოკრატიული ქვეყნების თავისუფალ პრესას ტერორისტები იყენებენ თავიანთი საქმიანობისათვის, საკუთარი მოთხოვნისა და მუქარის საჯაროობისათვის.

ტერორისტული აქტი ისეთი მოვლენაა, რომელიც შეიძლება საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეეხოს, შესაბამისად, მისი გაშუქების გარეშე დატოვება, ალბათ, წარმოუდგენელია, თუმცა, მსგავსი ძალადობრივი აქტების გაშუქებას მედია დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს, რადგან ძალადობის ტირაჟირება ხშირად ცუდად აისახება მის მაცურებელზე. გარდა ამისა, შესაძლოა, მედიამ უნებლიეთ, რელიგიურ დისკრიმინაციასაც შეუწყოს ხელი.

მედია უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის ინფორმირების უფლებას, მაგრამ როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია რელიგიური და პოლიტიკური ექსტრემიზმის შესახებ, ეს საკითხი ითხოვს სერიოზულ თვალყურსა და შესწავლას.

ზოგჯერ მედია ხელს უწყობს ექსტრემისტების მხრიდან საფრთხეების ტირაჟირებას, რაც ინვესტს მოსახლეობის დაშინებას, მათში პანიკის ზრდას და ამით აქეზებენ ადამიანებს, დახმარებით მიმართონ ალტერნატიულ რადიკალურ დაჯგუფებას, რაც, საერთო ჯამში, ამძაფრებს დაძაბულობას.

ამ მიმართულებით გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: ცალკეული ჟურნალისტების კომპეტენტურობის დაბალი დონე, ბრძოლა მაღალი რეიტინგისათვის და, როგორც წესი, საკუთარი მასალების საშუალებით სენსაციისა და აჟიოტაჟის შექმნა. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს ინფორმაციულ ძალადობას.

აუცილებელია შემუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც განავითარებენ ჟურნალისტების პროფესიონალიზმს და დახვეწენ მათ ტერმინოლოგიას. აუცილებელია განვითარდეს კრიტიკული და ანალიტიკური ჟურნალისტიკა.

მიზანი:

ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენს ჯანსაღი ეკოლოგიური ინფორმაციული გარემოს ჩამოყალიბება და ხელშეწყობა. ასევე, იმ საფრთხეების გაანალიზება, რომლებიც დაკავშირებულია ტერორიზმთან, სხვადასხვა მასმედიაში სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის გავრცელებასთან.

აღნიშნული პრობლემების შესამცირებლად აუცილებელია, ჩავატაროთ კონფერენცია და შევიმუშაოთ სახელმძღვანელოები, შესაბამისი დოკუმენტები. შევკრიბოთ მედიის წარმომადგენლები, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და ის პირები, ვინც ამზადებენ ინფორმაციას ინტერნეტგვერდებისათვის.

მისია:

მასმედიის როლის ზრდა პრობლემების მოგვარებაში და არა პირიქით.

ANUKI PHIPHIA

Student of Caucasus International University

THE ROLE OF MEDIA IN RELIGIOUS CONFLICT PREVENTION

The media plays an important role in society. Now I want to say something about problems, which exist in media. Especially I want to speak about Terrorism. Word Terros is Latin origin and it means fear, horror. One of the main goal of the terrorists are to spread fear and panic in society, they are using the media to reach this goal. Terrorism experts say that in democratic countries free press used by terrorists intimidation and publicity for their own requirements. A terrorists act of such a phenomenon, which can be applied to any members of the society, because that we can not left it behind the scenes, otherwise the media can stimulate religious discrimination.

We can see many problems in media: the low level of competence of journalists, struggle for the high rating. As a rule they want to create a stir. It is necessary to develop critical and analytical journalism. Our main aim is to establish a healthy ecological information environment.

We have to hold conference and invite the media, newspaper editors and persons who preparing informations for web pages.

Our mission is to increase the role of media to resolve problems, not vice versa.

კონფერენცია „ინტერრელიგიური დიალოგი გზვიდობისათვის“







ქონფერენციის მონაწილეება ჰაბივი მიაგას
ტირახების დროს დაღუპულთა ხსოვნას



ჯონჰარენციის მონაწილეება ხალი მონაწარეს დახლარაცის
„ინტარალიგიური დიალოგი მგვიდობისათვის“



ქონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“



